

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



კავკასია გზაჯვარედინზე
რეგიონალური სტაბილურობის გამოწვევები

CAUCASUS AT THE CROSSROADS
CHALLENGES OF REGIONAL STABILITY



მოცემართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE OF OFFICERS

ბორო, 2023

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



კავკასია გზაჯვარედინზე
რეგიონალური სტაბილურობის გამოწვევები

CAUCASUS AT THE CROSSROADS
CHALLENGES OF REGIONAL STABILITY

ოფიცერთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE OF OFFICERS

ბორი, 2023

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი დავით რაზმაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე

პოლკოვნიკი გიორგი ლალიაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი

ალექსი ბურდულაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ნანი არაბული

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

რომეო გალდავა

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი

ქეთევან ჭიაბრიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი

რუსუდან დალაქიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

თინათინ ჟორჟოლიანი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი

ლევან გეგეშიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2023

ISBN-

თინათინ კროპაძე სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

ნიკოლოზ ესიტაშვილი სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

ქეთევან კვესელავა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

ზურაბ სამხარაძე სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

რედაქტორი/კორექტორი

ზურაბ მჭედლიშვილი სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დავით სტეფანიშვილი სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის კურსების მთავარი სპეციალისტი

Editorial Board

Head of the Editorial Board

Colonel David Razmadze Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili Head of the Scientific Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze Head of Baccalaureate of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Aleksi Burduladze Acting Head of Informatics Program of Baccalaureate of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nani Arabuli Associate Professors of Informatics Program of Baccalaureate of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Romeo Galdava Associate Professor of Informatics Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Ioseb Turashvili Head of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Ketevan Chiabrishvili Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Rusudan Dalakishvili Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Tinatin Jorjoliani Associate Professor of Management Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze Head of Defence and Security Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Levan Gegeshidze Professor of Defence and Security Program of Baccalaureate, LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2023

Tinatin Kropadze Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nikoloz Esitashvili Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Ketevan Kveselava Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Zurab Samkharadze Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Editor/Corrector

Zurab Mchedlishvili Editor-in-Chief of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Computer Designer

Davit Stepanishvili Main Specialist in Training Courses of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

სარჩევი

სამხედრო შეთანხმება საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს შორის პოლკოვნიკი მამუკა სამხარაძე, შადიმან ბიწაძე	11
გაეროს გენერალური ასამბლეის 78-ე სესია და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა სეზისკვერაძე, ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოგოლიძე	20
რუსეთ-უკრაინის ომი, როგორც ბირთვული შანტაჟისა და ახალი მსოფლიო წესრიგის წინაპირობა ვიცე-პოლკოვნიკი დავით მარგიანი	25
კავკასიის რეგიონში ეკონომიკური განვითარება, როგორც სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი ფარანტი პოლკოვნიკი დავით ბიჭიკაშვილი	29
აშშ-ის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში (რას უნდა ველოდეთ მომავალში) ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი	34
რუსულ-თურქული ურთიერთობების ანატომია სამხრეთ კავკასიის რეგიონში ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე	43
საქართველოს როლი ამიერკავკასიის მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში ვიცე-პოლკოვნიკი არკადი ანთია	51
აზერბაიჯანი და სომხეთი: ერთდღიანი კონფლიქტიდან გრანადის ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მესამე სამიტამდე პოლკოვნიკი მამუკა სამხარაძე, მაიორი ნიკოლოზ გურეშიძე	61
კავკასია გზაჯვარედინზე-რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები (შუა დერეფანი) მაიორი ზვიადი აბუთიძე	72
აზერბაიჯანისა და სომხეთის შორის კონფლიქტის გეოპოლიტიკური მიზეზები და თვისებურებები პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე	79
დიდ სახელმწიფოთა მეტოქეობა და სტაბილურობის დილემა სამხრეთ კავკასიაში პოლკოვნიკი ჯამბულ ზალოშვილი	84
პრაგმატიზმსა და რეალპოლიტიკას შორის: აშშ-სა და თურქეთის ინტერესები და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ბესიკ ჯაჯანიძე	93

Content

Military Agreement Between the Government of Georgia and Azerbaijan Colonel Mamuka Samkharadze, Shadiman Bitsadze	12
The 78th Session of the United Nations General Assembly and Regional Security Issues Lt. Col. Gocha Sebiskveradze, Lt. Col. Levan Gogolidze	20
Russia-Ukraine War as a Prerequisite for Both Nuclear Blackmail and a New World Order Lieutenant Colonel Davit Margiani	25
Economic Development in the Caucasus Region as One of the Main Guarantees of Stability Colonel Davit Bichikashvili	30
US Policy in the South Caucasus (What to Expect in the Future) Lt. Col. Levani Gozalishvili	35
Anatomy of Russian-Turkish Relations in the South Caucasus Region Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze	43
Georgia's Role in Ensuring Peace and Stability in Transcaucasia Lieutenant Colonel Arkadi Antia	52
Azerbaijan and Armenia: From a One-Day Conflict to the Third Summit of the European Political Union in Granada Colonel Mamuka Samkharadze, Major Nikoloz Gureshidze	62
Caucasus at the Crossroads - Challenges of Regional Stability (Middle Corridor) Major Zviadi Abutidze	73
Geopolitical Reasons and Features of the Conflict Between Azerbaijan and Armenia Colonel Zurab Zerekidze	79
Great Powers Rivalry and Stability Dilemma in the South Caucasus Colonel Jambul Zaloshvili	85
Between Pragmatism and Realpolitik: The US and Turkey Interests and Policies in the South Caucasus Retired Lieutenant Colonel Besik Jajanidze	94

სამხედრო შეთანხმება საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს შორის

პოლკოვნიკი მამუკა სამხარაძე

სამეთაურო-სამშტაბო კოლეჯის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების კურსის უფროსი ინსტრუქტორი

შადიმან ბიწაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

ქვეყნებს შორის ახლო ურთიერთობების არსებობა რიგ შემთხვევებში განპირობებულია თანამშრომლობის ისტორიული წარსულით, რადგან გამოცდილება თანამშრომლობაში იძლევა სტიმულს, რათა ქვეყნებმა კიდევ უფრო გაამყარონ იგი.

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები არის როგორც სტრატეგიული, ისე რეგიონული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი. ნორმალურია, როდესაც ქვეყნები დებატობენ, ბჭობენ ანდა სულაც კამათობენ რიგ საკითხებზე და არ აქვთ ერთიანი მზაობა ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ხედავენ რა საკუთარი უსაფრთხოებისათვის სხვადასხვა გზებს და მაინც ერთმანეთთან მეგობრულ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ. მსგავსი ფორმულირებით შეგვიძლია დავახასიათოთ საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობა.

საბჭოთა რუსეთის შემოჭრამ გამოიწვია სრული უკუსვლა ქვეყნების განვითარებაში და ორივე ქვეყნის ისტორიკოსები თუ საზოგადო მოღვაწეები წარუმატებლობის მიზეზის განხილვისას ეხებიან თავდაცვის ფაქტსაც. საკუთარი აზრის დაფიქსირებისას ცდილობენ გარკვეული ისტორიული ობიექტურობანი უგულვებელყოფონ და მხოლოდ იმ ფაქტებით იხელმძღვანელონ, რომლებიც მათთვის არის მისაღები.

ჩვენ ნაშრომში ვეცადეთ მაქსიმალური აქცენტირებები გაგვეკეთებინა იმ არაპოპულარულ ფაქტებზე, რომელთა წარმოჩენასაც ვერიდებით. მაგალითად, ვცდილობთ არ შევეხოთ ისეთ ფაქტებს, როგორებიცაა:

აზერბაიჯანის ოკუპაციისას საქართველოს მთავრობის უმოქმედობა.

აზერბაიჯანში საბჭოეთის სამხედრო აგრესიის წარმატება და თურქეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობის „დამსახურებები“.

აზერბაიჯანულ არმიის მყოფი თურქი ოფიცრების ქმედებები წითელი არმიის აზერბაიჯანში შემოჭრისას. კერძოდ, მათი უმოქმედობა დამპყრობელის წინააღმდეგ და მუშაობა მტრის სასარგებლოდ.

ცხადია, ჩვენ არ უნდა მოვერიდოთ საუბარს ორ ქვეყანას შორის არსებულ ე.წ. „უხერხულ“ მოვლენებზე, არამედ პირიქით - ობიექტურად უნდა განვიხილოთ ისინი, გავაკეთოთ შესაბამისი რეაგირება, ანალიზი და რა თქმა უნდა სამომავლოდ გავითვალისწინოთ.

საკვანძო სიტყვები:

აზერბაიჯანი, საქართველო, საბჭოთა აგრესია, თურქეთი, რუსეთი.

Military Agreement Between the Government of Georgia and Azerbaijan

Colonel Mamuka Samkharadze

Command and Staff College, TMEC, GDF
Senior instructor of Defense and National Security Course

Shadiman Bitsadze

LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Associate Professor in the Master's Program of Security Studies

Abstract

In general, the close relations between the nations is regularly result of the noteworthy past of collaboration, as the experience gives countries the additional incentives for closer cooperation.

The attitude of Georgia-Azerbaijan's relationship has the both strategic and regional significance. It is ordinary when nations are debating, counseling or discussing a number of issues that don't have a common springboard of vision for own national security, they see distinctive methods for their own particular security, yet they still are companions with each other. The mentioned description portrays Georgia - Azerbaijanian relations quite well.

The invasion of the Soviet Union has led mentioned countries through the process of regress, in terms of development and the historians / public figures, in both countries, also, refer to the defense pact as one of the reasons of failure.

To support their own opinions and their perspective, they attempt to disregard certain historical objectives, considering only the facts acceptable for them. This paper, focuses on those unpopular facts which is basically ignored. For instance, the most research papers maintain intentional distance from such certainties as:

Inactivity of the Government of Georgia during Occupation of Azerbaijan;

Success of Soviet military aggression in Azerbaijan and "merits" of the Turkish national-liberation movement;

The actions of the Turkish officers in the Armed Forces of Azerbaijan during the invasion of the Red Army in Azerbaijan. In particular, their calls for not resisting the invaders worked in favor of the enemy.

In this manner, we shouldn't abstain from discussing the so-called "Awkward" phenomena, but we should review them objectively, respond properly and of course, make sure that we never repeat it in the future.

Keywords:

Azerbaijan, Georgia, Soviet aggression, Turkey, Russia.

შესავალი

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების ურთიერთობები თავისებურებების სრული კოლაჟია. მისი შესწავლა და გაანალიზება მოითხოვს მკვლევარების მხრიდან კოლექტივობის შენარჩუნების აუცილებლობას, ისტორიული წყაროების ობიექტურად გამოყენებას და რიგ შემთხვევაში საწინააღმდეგო მოსაზრებების ლოგიკურ ინტერპრეტაციას.

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების კვლევისას, მიუხედავად სიმწიფისა ჩვენ არ ვაწყდებით გადაულახავ პრობლემებს. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ქართველი და აზერბაიჯანელი მკვლევარები სამხედრო სფეროში თანამშრომლობას ერთ სიბრტყეში და ერთი და იგივე პოზიციებიდან განიხილავენ, მაგრამ თუკი ჩვენი რეგიონის კიდევ ერთ სახელმწიფოს სომხეთს შევხებით დავინახავთ, რომ როგორც ქართველ და სომეხ, მითუმეტეს სომეხ და აზერბაიჯანელ მკვლევარებს გააჩნიათ დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციები, რომელთა დაახლოება ერთი შეხედვით შეუძლებლად და შეიძლება მოგვეჩვენოს.

1920 წლის 27 აპრილი აზერბაიჯანის ისტორიის ტრაგიკული მონაკვეთია, როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთმა მცირე დროის განმავლობაში პრაქტიკულად წინააღმდეგობის გარეშე მოახდინა ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის სრული ოკუპაცია. აზერბაიჯანელი მკვლევარები დღეს ცდილობენ ამ ფაქტის შეფასებას და დაშვებული შეცდომების სააშკარაოზე გამოტანას. აღნიშნული საკითხების შესწავლის პროცესში აზერბაიჯანელი ისტორიკოსები სრულიად სამართლიანად სვამენ კითხვას - რატომ არ იმუშავა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებული ხელშეკრულებამ თავდაცვის სფეროში, რომელიც საგარეო აგრესიის შემთხვევაში ერთმანეთის დახმარებას ითვალისწინებდა მათ ხელში არსებული ნებისმიერი საშუალებით. როდესაც ხდება ქართული მხარის გარკვეულწილად დადანაშაულება ხელშეკრულების შეუსრულებლობის თაობაზე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მიუხედავად შეიარაღების დეფიციტისა საქართველო ინტენსიურად ეხმარებოდა მეზობელ ქვეყანას. გარდა მატერიალურ-ტექნიკური დახმარებისა, ბევრი გამოცდილი ქართველი სამხედრო პირი მსახურობდა აზერბაიჯანის არმიაში. მისასაღმებელია, რომ როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში არიან მკვლევარები, რომლებიც გამოთქვამენ საკმაოდ გაწონასწორებულ მოსაზრებებს ქართული მხარის მიერ ომში ვერ ან არ ჩაბმის თაობაზე. პოლკოვნიკი ათამალი შაჰბაზოვი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემიის ომის ისტორიის კათედრის დოცენტი) აღნიშნული საკითხის შეფასებისას აღნიშნავს, რომ „ქართული მხარე სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში თავისთავზე იღებდა ვალდებულებას დახმარების მიზნით აზერბაიჯანისათვის სამხედრო ქვედანაყოფების გაგზავნის თაობაზე, მაგრამ 1920 წლის აპრილში ისე სწრაფად განხორციელდა ბოლშევიკების შემოჭრა, რომ საქართველოსგან სამხედრო დახმარების მიღება შეუძლებელი გახდა“.¹

ვისურვებდით, რომ პოლემიკაში - საქართველო და აღნიშნული ხელშეკრულების პირობები და მისი შესრულება, ჩაერთონ როგორც ქართველი და აზერბაიჯანელი, ასევე უცხოელი მკვლევარებიც. ეს მოგვცემს საშუალებას, რომ საკითხი საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობის თანამშრომლობის არაკეთილმოსურნეებმა უარყოფითი დანიშნულებით არ გამოიყენონ.

ძირითადი ნაწილი

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის პირველი სამხედრო ხელშეკრულება

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო შეთანხმების ხელმოწერა განხორციელდა 1919 წლის 16 ივნისს, ქალაქ თბილისში. აქტზე ქართული მხრიდან ხელი მოაწერეს:

- საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა;
 - სამხედრო მინისტრმა ნ. რამიშვილმა;
 - სამხედრო მინისტრის თანაშემწემ, გენერალმა ალ. გედევანიშვილმა;
 - გენერალმა ი. ოდიშელიძემ.
- აზერბაიჯანული მხრიდან:
- საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ჯაფაროვმა;
 - სამხედრო მინისტრმა, გენერალმა ს. მეჰმანდაროვმა;
 - გენშტაბის უფროსმა, გენერალმა მ. სულკევიჩმა.

დოკუმენტის რატიფიცირება ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებმა მოახდინეს - საქართველომ 22 ივნისს, ხოლო აზერბაიჯანმა 27 ივნისს. აღნიშნული სამხედრო ხელშეკრულება დროული და შედეგზე ორიენტირებული იყო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ორივე ქვეყნის მთავრობისთვის აშკარა იყო NI მტრის ამპლუაში რუსეთის ყოფნა და რომ რუსეთი აუცილებლად დღეს თუ ხვალ შეეცდებოდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ძალის გამოყენებით დაპყრობას, შესაბამისად მსგავსი მცდელობა ლოგიკურად გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა-ცხადი იყო, რომ ცალკე აღებული ვერც აზერბაიჯანი და ვერც საქართველო ვერ შეძლებდნენ ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის მოგერიებას.

დოკუმენტზე ხელის მოწერით ორივე ქვეყანამ ხაზი გაუსვა ამიერკავკასიაში სტაბილური გარემოს შექმნის აუცილებლობას. კერძოდ, ხელმოწერით ქვეყნებმა დაადასტურეს, რომ ერთმანეთთან არ

1 <https://ordu.az/az/news/126515/azerbaycan-gurcistan-munasibetlerinde-herbi-diplomatiya-adr-dovru>

ექნებოდათ ტერიტორიული პრეტენზიები და სადავო საკითხების გადაჭრის შემთხვევაში არ გამოიყენებდნენ სამხედრო ძალას.

საქართველო და აზერბაიჯანი გამოთქვამდნენ სურვილს ხელშეკრულებას შეერთებოდა სამხრეთ კავკასიის მესამე სახელმწიფო სომხეთის სახით, რომელსაც ორივე ქვეყანასთან უკვე ჰქონდა სამხედრო კონფლიქტის „გამოცდილება“.

აღნიშნული შეთავაზება სწორედაც რომ დიპლომატიური ნაბიჯი იყო, ვინაიდან სომხეთი, რომელიც ცდილობდა დავების სამხედრო ჭრილში განხილვას, ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში იქნებოდა ერთგვარი გარანტი იმისა, რომ ის ნაკისრ ვალდებულებებს პინათლად შეასრულებდა და უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში თუკი რუსეთი თავს დაესხმებოდა საქართველოს ან აზერბაიჯანს, სომხეთი საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით არ მოერიდებოდა სამხედრო ძალის გამოყენებასაც.

ხელშეკრულების განხილვა

მუხლი N1

“ამ შეთანხმების დამდეგი სახელმწიფონი ვალდებულნი არიან ერთად გამოვიდნენ მათივე შეიარაღებული ძალებითა და სამხედრო საშუალებით თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც დაემუქრება ერთს ან მეორე რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას ან ტერიტორიალურ ხელშეუხლებლობას.

შენიშვნა: პარაგრაფი არ ვრცელდება კონფლიქტებზე, რომელიც შესაძლოა დაიწყოს საზღვრების გამო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ გამიჯვნის ნიადაგზე”.

არსობრივად, ეს მუხლი მიმართულია ორი ქვეყნის სამხედრო ინსტიტუციის მობილიზებისა და საერთო მტრის წინააღმდეგ გამოსვლისთვის. რა თქმა უნდა, ახლა ძნელია ახსნა იმისა, თუ რატომ არ იქნა აღსრულებული ეს უმთავრესი მუხლი, როდესაც აზერბაიჯანში შეიჭრა ბოლშევიკური რუსეთი და მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია. რეალური მოცემულობა გვაქვს, რომ ქართულმა მხარემ არ მიიღო შესაბამისი ზომები. ამის საპასუხოდ არსებობს სხვადასხვა არგუმენტი, თუ რატომ მოხდა ასე და რატომ არ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები დაუყოვნებლივ გადასროლილი აზერბაიჯანში, მაგრამ რაც არ უნდა დასაბუთებული იყოს ჩვენს მიერ მოყვანილი არგუმენტები, ფაქტი რჩება ფაქტად, რომ არ შესრულდა 1-ლი მუხლი და ფაქტიურად არ შესრულდა მთლიანად შეთანხმებაც.

მუხლი N2

“თუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო, უკვე დაწყებულ, პირველ პარაგრაფით ნაგულისხმევ, სამხედრო მოქმედების დროს, თავს დაესხმის ერთს ან ორივე მოკავშირეს საზღვრის გამო, ასეთი სახელმწიფო მეომარ მხარედ ჩაითვლება”.

აღნიშნული მუხლი 1-ლი მუხლის გაგრძელებაა და აკონკრეტებს საზღვრის ირგვლივ წამოჭრილ დავებში ხელმოწერი მხარეების ჩაურთველობას და ალბათ არის ნათელი განაცხადი იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეები ერთიანდებიან არა სომხეთის, ირანისა თუ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, არამედ რუსეთის წინააღმდეგ (ავტ.).

მუხლი N3

“ამ შეთანხმებას აქვს თავდაცვის ხასიათი და თუ ერთი მხარე თავისი ინიციატივით, წინასწარ შეუთანხმებლად გამოაცხადებს ომს ანდა სამხედრო მოქმედებას დაიწყებს, ამ შეთანხმების დამდეგი მეორე მხარე ვალდებული არ არის მონაწილეობა მიიღოს ამ სამხედრო მოქმედებაში”.

აღნიშნული მუხლით მხარეებმა თავი დაიზღვიეს ყოველგვარი გაუგებრობებისგან, რაც შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო ისეთი კონფლიქტის შემთხვევაში, რომელშიც ერთი ან მეორე მხარე ამკარად განსხვავებულ პოზიციაზე იქნებოდა. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ქართულ მხარეს აქცენტი გადატანილი ჰქონდა აზერბაიჯან-სომხეთს შორის არსებულ დამაბულ ვითარებაზე და კონფლიქტში მონაწილეობისგან თავის შეკავებაზე, რაც პრინციპში პირველ მუხლშიც იქნა დაფიქსირებული.

მუხლი N4

“ამ შეთანხმების დამდეგი მხარეები ვალდებულნი არიან ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას მათ შორის, შეთანხმებით ან არბიტრაჟის საშუალებით გადაწყვიტონ და ეს გადაწყვეტილება ორივე მხარისთვის მისაღები და საბოლოო უნდა იყოს”.

აღნიშნული მუხლი ნათელი დადასტურებაა ორი ერის ურთიერთმეგობრული განწყობის. ზოგადად კავკასიაში ყოველთვის არსებობდა აზრი სადავო ტერიტორიების კუთვნილების შესახებ. ამ მუხლით კი ქართველები და აზერბაიჯანელები უარს ამბობდნენ ურთიერთობების გართულებაზე. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თითოეულ სახელმწიფოს ჰქონდა პრეტენზიები გარკვეულ სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებით. საზღვრის დემარკაცია არ არსებობდა, რაც ხელს უშლიდა სასაზღვრო პრობლემატიკის მოგვარებას.

მუხლი N5

“შეთანხმება იდება სამი წლის ვადით. ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე, შეთანხმების დამდეგი მხარეებს უფლება ენიჭებათ გამოთქვან სურვილი შეთანხმების გაგრძელებაზე, ან სამომავლოდ შეწყვეტაზე”.

ნებისმიერ შემთხვევაში შეთანხმება ძალას კარგავს მხოლოდ ვადის ამოწურვის შემდეგ. ხელ-

მოწერისას მხარეები იმედოვნებდნენ, რომ სამი წელი იყო საკმარისი დრო იმისათვის, რომ ორივე ქვეყანა შეძლებდა ევროპულ ოჯახში გაერთიანებას და უსაფრთხოების კუთხითაც დაცულნი იქნებოდნენ.

მუხლი N6

„შეთანხმების დამდები მხარეები ვალდებულნი არიან სოლიდარობა გაუწიონ ერთურთს და აწარმოონ დიპლომატიური მოლაპარაკებები სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებების დაცვისა და მხარდაჭერისთვის“.

მხარეების ქმედებები საერთაშორისო ასპარეზზე შეთანხმებული და ორივე ქვეყნისათვის სარგებლის მომტანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რიგ შემთხვევებში ვხედავთ, რომ სეპარატისტული ქმედებები შეინიშნება როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის მხრიდანაც. კერძოდ, თუ გადავხედავთ აზერბაიჯან-თურქეთისა და საქართველო-თურქეთის იმ პერიოდის თანამშრომლობას, ამის თქმის საფუძველს აშკარად დავინახავთ.

მუხლი N7

“იმ შემთხვევაში თუ პირველსა და მეორე პარაგრაფში აღნიშნული პირობები შეიქმნება, შეთანხმების დამდები სახელმწიფონი ვალდებულნი არიან ომის დროს კოალიციაში მყოფი სახელმწიფოს მიერ მოწინააღმდეგესთან დადებული ზავი თავისი მოკავშირის თანხმობის გარეშე არ შეკრან”.

მხარეები გარკვეულწილად ინარჩუნებდნენ ერთგულებას. თუმცა საქართველო დასავლეთის რიგ ქვეყნებთან (იტალია, აშშ, ბრიტანეთი...), ხოლო აზერბაიჯანი დასავლეთთან და პლიუს ოსმალეთთან აწარმოებდა ინტენსიურ მოლაპარაკებებს.

მუხლი N8

“შეთანხმების დამდები მხარეები ვალდებულნი არიან არ შეკრან სამხედრო კონვენციები სხვა სახელმწიფოსთან წინასწარ შეუთანხმებლად”.

გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მხარეების ვალდებულება ერთმნიშვნელოვნად აღსანიშნია, რამეთუ ალიანსებისა და სამხედრო სამოკავშირეო პერიოდის განმავლობაში ერთმანეთის მიმართ ერთგული დამოკიდებულების შენარჩუნება საკმაოდ ძნელი გახლდათ.

გავიხსენოთ აზერბაიჯან-თურქეთის დამოკიდებულება, ისლამური არმიის როლი აზერბაიჯანის ცხოვრებაში და უპირობოდ ორი ქვეყნის მისწრაფება საერთო სახელმწიფოს (რომელიც ახლანდელ სინამდვილეშიც აქტუალურია) შექმნისკენ, რაც თავისთავად გულისხმობდა საერთო შეიარაღებული ძალების ყოლას, ან/და დასავლეთის ქვეყნების ფარულ ზრახვებს რეგიონში საკუთარი ჰეგემონიის დასამკვიდრებლად ადგილობრივ ხელისუფლებებთან.

მუხლი N9

“იმ შემთხვევაში, თუ მეხუთე პარაგრაფში აღნიშნულ ვადამდე დაარსდება ხალხთა ლიგა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მის მონაწილე სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და საზღვრების ხელშეუხლებლობას, მაშინ ეს შეთანხმება კარგავს ძალას”.

მხარეები ითვალისწინებდნენ რა მისწრაფებას ევროპულ ოჯახში შესვლასთან დაკავშირებით, მაინც მართებულად მიუთითებდნენ აღნიშნული შეთანხმების შეუსაბამობას. თუმცა კი შესაძლებელია ვიკამათოთ აღნიშნული მუხლის ასეთი ფორმით შემოთავაზებაზე. ვფიქრობთ, აუცილებლობას წარმოადგენდა არა მარტო ის ფაქტი, რომ ქვეყნებს შორის დადებული შეთანხმება მიმართული იყო კონკრეტულად თავდაცვისათვის, არამედ მთავარ აუცილებლობად განხილული უნდა ყოფილიყო ქვეყნის უსაფრთხოების პირამიდა და აღნიშნული შეთანხმება, როგორც ამ პირამიდის ერთი შემადგენელი ნაწილი.

მუხლი N10

“ამიერკავკასიის მესამე რესპუბლიკას - სომხეთს უფლება ეძლევა შეთანხმების ოფიციალურად შეტყობინების დღიდან, ორი კვირის განმავლობაში გამოთქვას მზაობა და შემოუერთდეს შეთანხმებას”.

სომხეთი არ შეუერთდა ხელშეკრულებას, თუმცა კი ჩვენს აზრით, გარკვეულწილად, აღნიშნულმა ხელშეკრულებამ დიდი როლი შეასრულა 1919 წლის ნოემბერს და ინდივიდუალურად აზერბაიჯანთან და საქართველოსთან დადებულმა ხელშეკრულებებმა.

მუხლი N11

“რატოფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს ქალაქ ბაქოში (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) ორი კვირის განმავლობაში ხელმოწერის დღიდან.”

მხარეებმა რატოფიცირება მოახდინეს დროულად, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნებს შორის შეთანხმება საერთაშორისო სამართლის წესების სრული დაცვით იქნა განხორციელებული.

მუხლი N12

“ეს შეთანხმება შედგენილია ორ დედნად”.

დედანი (რუსულ ენაზე) დაცულია ეროვნულ არქივში. ცნობილია, რომ ხელმოწერისთანავე ტექსტი ითარგმნა ქართულ, აზერბაიჯანულ, თურქულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

ხელმოწერები

ქალაქი ტფილისი

1919 წლის 16 ივნისი

რუსულ დედანთან სწორეა

საქართველოს დამფუძნებელ კრების იურიდიული კომისიის თავმჯდომარე რ. არსენიძე.²

2 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921. (1990). თბილისი,

ხელშეკრულების შედეგები

საქართველო და აზერბაიჯანი ხელშეკრულებას მთელი სერიოზულობით ეკიდებოდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ აშკარა იყო დასახული მიზნის შესრულებისთვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო ორგანო, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა შეთანხმების შესრულებას და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას.

ჩამოყალიბდა სამხედრო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული იყო საკმაოდ გამოცდილი გენერლებით.³ აზერბაიჯანულ მხარეს წარმოადგენდნენ გენერლები: მემედ ბეი სულკევიჩი და ალი ალა შიხლინსკი, ხოლო საქართველოს მხრიდან გენერლები: ილია ოდიშელიძე და კირილე ქუთათელაძე. გენერალ-ლეიტენანტი ქუთათელაძე ქართულ არმიაში ცნობილი იყო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პროფესიონალი მეთაური და მისი ჩართვა ხელშეკრულების აღსრულების ფაზაში მნიშვნელოვანი გახლდა.

აზერბაიჯანის მხარეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადაეცა გარკვეული რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღი, ქვემეხები და ტყვია-წამალი. საერთო მოცულობით არც თუ ისე დიდი რაოდენობის (20 ერთეული სამთო და მსუბუქი ქვემეხი, 3000 შაშხანა, 750 სხვადასხვა მცირე კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღი და ტყვია-წამალი).⁴ დახმარება იქნა გაცემული არსენალის საწყობებიდან. ხოლო რაც შეეხება საბჭოს მუშაობას, ამის შესახებ ინფორმაცია შედარებით მწირია. თუმცა ცნობილია, რომ მან შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს - საქართველოზე მტრის თავდასხმის შემთხვევაში, აზერბაიჯანის სამხედრო ნაწილები გადმოსროლილი იქნებოდა საქართველოში და ტრანსპორტირებისას გამოყენებული იქნებოდა რკინიგზის განჯა-თბილისის მონაკვეთი. აგრესიის დაწყებისთანავე საქართველოში გადაიზავენებოდნენ შემდეგი სამხედრო ნაწილები:

- ჯავანშირის პირველი პოლკი (პირველი მსროლელი დივიზია, ჰანკენდი);
- მეორე ზაქათალას პოლკი (ზაქათალა);
- განჯის მესამე პოლკი (განჯა);
- პირველი საარტილერიო ბრიგადის პირველი და მეოთხე ბატარეა (ჰაკენდი), მეორე და მესამე ბატარეა (განჯა);
- შტაბი (განჯის დივიზია);
- პირველი ყარაბახის პოლკი (ჰაკენდი);
- შეკინის მესამე პოლკი (განჯა);
- სამთო კავალერიის ბატარეა (განჯა).

საინტერესოა თურქი ისტორიკოსის სეფრილ სურმელის მოსაზრება ბოლშევიკური რუსეთის აზერბაიჯანში შეჭრასა და აზერბაიჯანის მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ 1920 წლის 27 აპრილს, როდესაც ბოლშევიკები დაიდრნენ ქაჯმასისკენ, აზერბაიჯანის მთავრობამ თხოვნით მიმართა თბილისში ინგლისის კომისარ ჰარი ლიუქს (Harry Luke), რათა მას ქართული მხარე დაერწმუნებინა ხელშეკრულების შესაბამისად ემოქმედა და ბაქოში სამხედრო ქვედანაყოფები გადაესროლა. პარალელურად აზერბაიჯანელები თხოვდნენ კომისარ ლიუქს, რომ ამ უკანასკნელს დაერწმუნებინა სომხები და აეღო მათგან გარანტია იმისა, რომ მას შემდეგ რაც აზერბაიჯანი სომხეთის საზღვრის გაყოლებიდან მოხსნიდა სამხედრო ქვედანაყოფებს, ის არ შემოუტევდა აზერბაიჯანს, რაც ქვეყანას მისცემდა საშუალებას საკუთარი სამხედრო შესაძლებლობებით ბოლშევიკების წინააღმდეგ ეფექტურად ემოქმედა. მოქმედებათა განვითარების ლოგიკით აშკარაა, რომ საქართველოს მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანიას, რომელიც დამფუძნებელი კრების წინაშე 30 აპრილს ანგარიშით გამოვიდა და განმარტებები მისცა იმის შესახებ, თუ რატომ არ შეასრულა ქართულმა მხარემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რბილად რომ ვთქვათ, აყალბებდა შექმნილ სიტუაციას და შეცდომაში შეყავდა კრების წევრები.

ნ. ჟორდანიას - „...ჩვენ ვთქვით, თუ გარეშე ძალა აზერბაიჯანის ერს ემუქრება, თუ ის მის საზღვრებში ძალით შემოდის, ეს არის აღმამფოთებელი დარღვევა ერის უფლებისა და ჩვენც მის გვერდით ვიქნებით. მაგრამ თუ ეს ასე არ არის, თუ თვით ერი, ხალხია მომხრე უცხო ძალის შემოყვანისა, მაშინ ამ ძალის წინააღმდეგ გალაშქრება ერის უფლების შელახვა იქნება ჩვენის მხრიდან და იმავე დროს გაგზავნილი ჯარის დაღუპვაც“. ამის შემდგომ ბატონი ჟორდანიას ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ აზერბაიჯანის მთავრობამ ვერ გადაჭრა აზერბაიჯანში არსებული პრობლემები და ხალხმა რუსის ჯარში მხსნელი ნახაო...

საქართველოს შესწევდა ძალა შექმნილი მდგომარეობა გამოეყენებინა და თუკი ვერ აღუდგებოდა წინ ბაქოს გაწითლებას, მაშინ მაქსიმალური სარგებელი მაინც მიეღო. კერძოდ, თავისუფლად შეიძლებოდა წინააღმდეგობის ხაზის შექმნა აზერბაიჯანული სამხედრო ქვედანაყოფებისაგან, რომლებიც გამოთქვამდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მზადყოფნას. თუნდაც ის ფაქტი, რომ 2 მაისს ქართულმა სამხედრო შენაერთებმა ყოველგვარი ძალების დამაბვის გარეშე მოახერხეს წითელ ხიდთან მრავალრიცხოვანი მტრის მოგერიება. ეს შემთხვევა უფრო აღრმავებს ეჭვს იმისა, რომ თუკი იქნებოდა ჰარმონიული, კონსოლიდირებული მოქმედებები აზერბაიჯანის მიმართულებით, მაშინ შესაძ-

კოპერატიული გამომცემლობა „ივერთა მხარე“. გვ. 275-277

3 2020 წლის იანვარში დაიწყო მოვალეობის შესრულება.

4 <http://dergipark.gov.tr/download/article-file/217872>

ლებელია 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგედია არ დამდგარიყო საქართველოში, ან/და გარკვეული დროით გადაწეულიყო. მართალია ხელშეკრულება დადებულ იქნა ძირითადად დენიკინის საფრთხის წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, შესაძლებელია ეს ხელშეკრულება ყოფილიყო ეფექტური წითელი არმიის წინააღმდეგ ორგანიზირებულ ბრძოლაში. ვფიქრობთ, იმ შემთხვევაში, თუ ორივე სახელმწიფო გადადგამდა სწორ ნაბიჯებს არსებული რისკებისა და გამოწვევების წინააღმდეგ, მაშინ შედეგი იქნებოდა დადებითი. ისტორიის გაკვეთილები აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ყოველივე აღნიშნულზე გვინდა მოვიყვანოთ ცნობილი თურქი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის რიზა ნურის შეფასება, რომელიც ამბობს, რომ „აზერბაიჯანელებს გული წყდებათ ერთ რამეზე და როგორც წესი, გახსენებისას მწარედ ტირიან:

„თქვენ ჩვენ გვასულმდგმულებდით და თქვენვე მოგვახრჩეთ“-ო.

შეიძლება აზერბაიჯანელებს რუსეთის წინააღმდეგ ებრძოლათ და მაინც დამარცხებულიყვნენ, მათი ქვეყანა ისედაც დაპყრობილი გამხდარიყო, მაგრამ ისინი იბრძოლებდნენ მაინც და თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებდნენ. იქნებ ყოფილიყო შანსი, რომ დაეცვათ საკუთარი დამოუკიდებლობა...“⁵

აზერბაიჯანელი ისტორიკოსი ვასიფ გაფაროვი 2010 წლის ნაშრომში - „რუსულ-თურქული დაახლოება და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა“ წერს შემდეგს, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველი დღიდანვე მუსტაფა ქემალ ფაშა ცდილობდა მიეღო რუსული დახმარება. ამ მიზნით, იგი 1919 წლის 25 მაისს ჩავიდა ქ. ჰაეზაში, სადაც შეხვდა საბჭოთა დელეგაციას. როგორც ირკვევა, შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა- მხარეები პრინციპულ საკითხებზე ადვილად შეთანხმდნენ.

იგივე ნაშრომში გაფაროვს მოყავს ათათურქის მიერ ქაზიმ ქარაბექირ ფაშისადმი გაგზავნილი ტელეფონოგრამა, რომელშიც თურქი ლიდერი აცხადებს, რომ „როდესაც ბოლშევიკები დაიპყრობენ კავკასიას და გაამყარებენ ურთიერთობებს, ევროპა ჩავარდება ძალიან ცუდ მდგომარეობაში...“⁶

ხოლო ათათურქის მიერ ლენინისადმი გაგზავნილ ტელეფონოგრამაში (ანგორა, 1920 წლის 26 მაისი) ვკითხულობთ:

- ვიღებთ ჩვენს თავზე ვალდებულებას, შევაერთოთ ჩვენი მუშაობა და ჩვენი ყველა სამხედრო ოპერაცია რუს ბოლშევიკებთან, რომელთა მიზანს წარმოადგენს იმპერიალისტურ მთავრობებთან ბრძოლა და ყველა დაჩაგრულის გათავისუფლება მათი ბატონობიდან.
- თუ საბჭოელები აპირებენ საქართველოს წინააღმდეგ წასვლას საომარი მოქმედებების დაწყებით ან ბოლშევიკური დიპლომატიური გზებით შეეცდებიან აიძულონ საქართველო შევიდეს კავშირის შემადგენლობაში და განდევნონ ინგლისელები კავკასიიდან, მაშინ ამ შემთხვევაში თურქეთის მთავრობა თავისთავზე იღებს ვალდებულებას, დაიწყოს საომარი მოქმედებები „იმპერიალისტური სომხეთის“ წინააღმდეგ და აიძულოს აზერბაიჯანის რესპუბლიკა შევიდეს საბჭოთა სახელმწიფოების კავშირში.
- იმისათვის, რომ პირველ რიგში განვდევნოთ იმპერიალისტური ძალები, რომლებსაც დაკავებული აქვთ ჩვენი ხალხის მიწა და მეორეც - რომ გავაძლიეროთ ჩვენი შინაგანი ძალები და გავაგრძელოთ ერთობლივი ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ვთხოვთ საბჭოთა მთავრობას, პირველადი დახმარების სახით გადმოგცეს ხუთი მილიონი თურქული ლირა ოქროთი, იარაღი და საბრძოლო მასალები, რომლის რაოდენობაც დადგინდება მოლაპარაკების პროცესში. გარდა ამისა - სამხედრო-ტექნიკური საშუალება და სანიტარული მასალები, ასევე სურსათი ჩვენი ჯარისთვის, რომლებიც საბჭოელებთან შეთანხმებით იმოქმედებენ აღმოსავლეთში.

გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი განსაკუთრებული სალამი და გულწრფელი გრძნობები.⁷

დიდი ეროვნული კრების პრეზიდენტი მუსტაფა ქემალი.

წერილი მოსკოვში ჩასულია 1 ივნისს და 2 ივნისს ჩიჩერინი (საგარეო საქმეთა სახკომი) უგზავნის საპასუხო წერილს, სადაც გამოთქვამს აღფრთოვანებას. აცხადებს, რომ სასწრაფოდ უნდა გამყარდეს საქმიანი თანამშრომლობა და უნდა დაიგეგმოს მაღალი დონის დელეგაციების ურთიერთგაცვლითი ვიზიტები, უნდა გაიხსნას დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები.

ცნობილი აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი იუსიფ ვაზირ ჩამან-ზამანლი (Yusif Vazir Chamanzamanli) 1919 წელს საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობის აუცილებლობაზე წერდა:

„საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მეგობრობა მომგებიანია ორივე მხარისათვის. ჭეშმარიტებაა, რომ ორივეს სურს იყოს დამოუკიდებელი. იმ შემთხვევაში თუკი საქართველოს დაემუქრება საშიშროება და შეიპყრობს შიში, იგი დაემუქრება აზერბაიჯანსაც. დამოუკიდებლობა ორივე ქვეყნისათვის ერთმანეთთან კავშირშია, რამეთუ თუკი ერთ-ერთი მათთაგანი დაკარგავს მას, მაშინ დაკარგავს მეორეც. ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიმუშაოთ ერთად, რათა დავიცვათ კავკასიის მთები შავ და კასპიის ზღვებს შორის.“⁸

აზერბაიჯან-სომხეთს შორის 1919 წლის 23 ნოემბერს ხელმოწერილ ხელშეკრულებას წინ უძღოდა აზერბაიჯან-სომხეთს შორის სამშვიდობო კონფერენცია. კონფერენციის მომზადება/ორგანიზებაში

5 კავკასია და გლობალიზაცია, რუსულ-თურქული დაახლოება და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა. გვ. 248

6 იქვე, გვ. 241

7 არჩილ ჩაჩხიანი, რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ- იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922). თბილისი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის აკადემია, 2015, გვ. 273-274

8 https://www.researchgate.net/publication/292149201_Azerbaijan-Georgian_relations_The_Foundations_and_Challenges_of_the_Strategic_Alliance

და ხელშეკრულების ტექსტის შედგენასა და ხელმოწერაში უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს მთავრობამ. საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი თვეების განმავლობაში მუხლჩაუხრელად მუშაობდა, რათა ორ მეზობელ ქვეყანას სწორი ნაბიჯები გადაეღდა.

აღნიშნული ხელშეკრულება იყო გაგრძელება იმ პოლიტიკისა, რომელსაც 1918 წლიდან მოყოლებული ქართული მხარე აწარმოებდა მეზობლებთან მიმართებაში. კერძოდ – უნდა შეწყვეტილიყო ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის სამხედრო დაპირისპირება, რაც მისცემდა ქვეყნებს იმის საშუალებას, რომ მთელი ყურადღება გადაეტანათ ჩრდილოეთიდან მომავალი საფრთხისაკენ. როგორც ვიცით, საქართველომ 1919 წლის დასაწყისში მოაწერა ხელი სომხეთთან მეგობრობისა და ტრანზიტის შესახებ ხელშეკრულებას, რაც ერთის მხრივ სომხეთს, გარკვეულწილად, თავშეკავების ვალდებულებას აკისრებდა. გაცილებით მარტივად იყო საქმე აზერბაიჯანთან, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება თავდაცვის სფეროში.

აზერბაიჯან-სომხეთის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა განხორციელდა თბილისში ქვეყნის ლიდერების იუსუფბეილისა და ხატისიანის მიერ. დოკუმენტი მოიცავდა შემდეგ პუნქტებს:

- არსებული პოლიტიკური ვითარების მოგვარებისათვის სამხედრო ძალის გამოყენებისაგან თავის შეკავება;
- ზანგეზურის რაიონის პრობლემატიკის მოგვარებისათვის მზაობა და გზების ძიება;
- 26 ნოემბერს სამშვიდობო მოლაპარაკებების ბაქოში გაგრძელება.

მოლაპარაკებები მართლაც გაგრძელდა მცირე დაგვიანებით. სომხურმა მხარემ მხოლოდ 3 დეკემბერს შეძლო მომზადებულიყო შეხვედრისათვის ბაქოს სწევოდა. ბაქოს სამშვიდობო კონფერენციას, მიუხედავად მოლოდინისა, შედეგი ნაკლები ჰქონდა.

ქვეყნების საგარეო ორიენტირის არჩევას გარკვეული რისკებიც გააჩნია, რომლებიც რიგ შემთხვევაში საბედისწეროა. მოცემულ მომენტში მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას არსებული პოლიტიკური ატმოსფერო და სამომავლო მდგრადობა, საზოგადოების მზაობა და უშუალოდ ქვეყნის შიდა მატერიალური რესურსი, რათა არჩეული პოლიტიკური კურსი და მიზანი შესრულებადი იყოს. სავარაუდოდ, ამიერკავკასიის ახალგაზრდა ქვეყნებს ზემოჩამოთვლილი წინაპირობები რომ გაეთვალისწინებინათ, შეიძლება საკუთარი დამოუკიდებლობის გახანგრძლივებაც მოეხერხებინათ.

საქართველომ და აზერბაიჯანმა (ნაკლებად ეხება სომხეთს) დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე მიიღეს მცდარი გადაწყვეტილება ისე, რომ მანვეერიებისთვის სივრცე და არეალი არ დაიტოვეს და აქცენტი ისეთ ქვეყნებზე გააკეთეს, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დროს გამარჯვებული კოალიციის საწინააღმდეგო ბანაკს წარმოადგენდნენ, რის შემდგომაც, ნებსით თუ უნებლიედ, გამარჯვებული ანტანტის მოწინააღმდეგე ქვეყნების რიგში ჩადგნენ, კერძოდ საქართველომ გერმანიაზე, ხოლო აზერბაიჯანმა ოსმალეთზე გააკეთეს აქცენტი.

საქართველოსთვის გერმანიის ფაქტორმა 1918 წლის ნოემბრამდე დადებითი შედეგები მოიტანა და მისი უშუალო დახმარებით გამოცხადდა დამოუკიდებლობა, აზერბაიჯანისთვის კი – ოსმალეთთან დაახლოებამ (თუ არ ჩავთვლით გარკვეულ ეტაპზე კავკასიის ისლამური არმიის დახმარება/გამოყენებას ბოლშევიკებისა და სომხების წინააღმდეგ) დომინანტური როლი ითამაშა და გარკვეულწილად საბედისწერო შედეგიც განსაზღვრა.

დასკვნა

აზერბაიჯანის გასაბჭოების პროცესში არსებობდა ყველა პირობა იმისა, რომ ქვეყანას სამხედრო წარმატებისათვის მიეღწია. ბოლშევიკები არასახარბიელო სიტუაციაში იმყოფებოდნენ. ცალკე ყირიმში გენერალ ვრანგელის გააქტიურება და ბოლშევიკების უზარმაზარი დანაკარგი, ცალკე პეტლიურა-პილსუდსკის საბრძოლო გააქტიურება დასავლეთის ფრონტზე იძლეოდა ასეთ შანსს. 1920 წლის მაისის დასაწყისში, როდესაც ბოლშევიკებმა საქართველოს საზღვარი გადმოკვეთეს და იმედი ჰქონდათ, რომ აზერბაიჯანივით ადვილად მოახდენდნენ ქვეყნის ოკუპაციას, ქართული სამხედრო შენაერთებისაგან მიიღეს სერიოზული დარტყმა. კონტრშეტევაზე გადასულ გენერალ კვინიტაძეს საქართველოს მთავრობამ მოსთხოვა საბრძოლო მოქმედებების შეჩერება, რადგან ამ დროს სამშვიდობო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა მოსკოვში. როგორც გენერალი კვინიტაძე მოგონებებში აღნიშნავდა, რესპუბლიკის მთავრობამ მცდარი ნაბიჯი გადადგა, როდესაც კონტრშეტევაზე გადასულს მოსთხოვა საომარი მოქმედებების შეჩერება. გენერალი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა – „სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტა დიდ პოლიტიკურ შეცდომათ მიმაჩნია. არ დავიწყებ მკითხაობას რა მოხდებოდა, მაგრამ ვიტყვი, რომ ეს იყო ამიერკავკასიაში ბოლშევიკების ყველაზე დიდი საშიშროების მომენტი. მომავალში ჩვენ აღარასოდეს გვეყოლებოდა ისეთი სუსტი მტერი, როგორც ახლა იყო.“⁹ მისივე თქმით, შესაძლებელი იყო სამხედრო-საბრძოლო წარმატებების მიღწევა და აზერბაიჯანის გათავისუფლებაც კი.

იმედია აღნიშნული საკითხის კვლევა მიუხედავად მისი დელიკატურობისა მომავალშიც გაგრძელდება, რაც ხელს შეუწყობს ჭეშმარიტების დადგენას და ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების გაღრმავებასა და განმტკიცებას.

9 კვინიტაძე გიორგი. (2018) ჩემი მოგონებები 1917-1921. ნაწილი I. თბილისი, თავდაცვის სამინისტროს გამომცემლობა. გვ. 171

გამოყენებული ლიტერატურა

- <http://www.ebooks.az/view/iDeYnxc8.pdf>. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, 1990წ., თბილისი, კოოპერატიული გამომცემლობა „ივერთა მხარე“.
- <http://dergipark.gov.tr/download/article-file/217872>. კავკასია და გლობალიზაცია.(2010). რუსულ-თურქული დაახლოება და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა.
- ჩაჩხიანი არჩილ, რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ - იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922), 2015წ., თბილისი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის აკადემია.
- https://www.researchgate.net/publication/292149201_Azerbaijan-Georgian_relations_The_Foundations_and_Challenges_of_the_Strategic_Alliance.
- კვინიტაძე გიორგი, ჩემი მოგონებები 1917-1921. ნაწილი I. 2018წ., თბილისი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
- Hasanli Jamil, Foreign Policy of the Republic of Azerbaijan The Difficult Road to Western Integration, 1918-1920. Routledge. 2015.

გაეროს გენერალური ასამბლეის 78-ე სესია და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები

ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა სებისკვერაძე
წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის
სამეთაურო სამტაბო კოლეჯის ლიდერობისა და მენეჯმენტის
კურსის უფროსი ინსტრუქტორი

ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოგოლიძე
წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის
სამეთაურო სამტაბო კოლეჯის ლიდერობისა და მენეჯმენტის
კურსის უფროსი ინსტრუქტორი

აბსტრაქტი

კაცობრიობა თავისი არსებობის საწყისიდან დღემდე, ყოველთვის უსაფრთხო პირობებისა და მშვიდი გარემოს შექმნისკენ მოისწრაფოდა. ქვეყნებს შორის ფორმდებოდა საზავო ხელშეკრულებები და იქმნებოდა გაერთიანებები, რომელთა მეშვეობითაც ისინი მშვიდობის მიღწევას და იმჟამინდელი გამოწვევების ეფექტურ მენეჯმენტს ცდილობდნენ. თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტების სიმრავლე და მრავალფეროვნება შესაბამისი ორგანიზაციების მხრიდან უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ქმედით გადაწყვეტილებებს მოითხოვს. რიგი გამოწვევების მიუხედავად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურაში, რაც კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საშუალებას წარმოადგენს.

წინამდებარე სტატიის მიზანია რეგიონული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირება, რუსეთ-უკრაინის და სომხეთ-აზარბაიჯანის დაპირისპირების ფონზე. ნაშრომში, ასევე, აღნიშნულია გაეროს 2023 წლის გენერალური ასამბლეის 78-ე სესიაზე წარმართული აქტუალური პროცესები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება რეგიონული რისკების წინააღმდეგ ადეკვატური ქმედებების განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები:

გაერო, რეგიონული უსაფრთხოება, კონფლიქტები, უსაფრთხოების არქიტექტურა.

The 78th Session of the United Nations General Assembly and Regional Security Issues

Lt. Col. Gocha Sebiskveradze

GDF TMAC CSC Leadership and Management Course
Senior Instructor

Lt. Col. Levan Gogolidze

GDF TMAC CSC Leadership and Management Course
Senior Instructor

Abstract

From the beginning of its existence, humanity has always strived to create safe conditions and a peaceful environment. Ceasefire agreements were made between countries and unions were formed through which they tried to achieve peace and effectively manage the current challenges. The abundance and variety of conflicts in the modern world require productive solutions from the relevant organizations to ensure security. Despite a number of challenges, the United Nations makes an important contribution to the architecture of international security and is a means of resolving conflicts in a peaceful way.

The purpose of this article is to identify challenges related to regional security issues in the background of Russia-Ukraine and Armenia-Azerbaijan conflicts. Current processes conducted at the 78th session of the UN General Assembly in 2023 are also mentioned, which are directly related to the implementation of adequate actions against regional risks.

Keywords:

United Nations, regional security, conflicts, security architecture.

შესავალი

მშვიდობიანი და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო),¹ როგორც ერთა ლიგის სამართალმემკვიდრის, ღვაწლი თვალშისაცემია.² მასში შემავალი ორგანიზაციებიდან მნიშვნელოვანია მუდმივმოქმედი უშიშროების საბჭოს პასუხისმგებლობა და როლი მსოფლიო მშვიდობის და უსაფრთხოების კონტექსტში, რაზეც ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სამშვიდობო მისიების მასშტაბები მეტყველებს.³ მართალია, იგი აქტიურადაა ჩართული უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემოს უზრუნველყოფის პროცესში, თუმცა რეგიონში არსებული რთული ვითარების ფონზე რეაგირების ეფექტურობა რიგ კითხვებს აჩენს. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ გაეროს 2023 წლის გენერალური ასამბლეას 78-ე სესიაზე, მსოფლიოს 193 ქვეყნის წარმომადგენლებმა რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთეს.⁴ აღნიშნული განცხადებები მოიცავდა არსებულ რისკებზე ადეკვატური ქმედებების შესახებ ნოვაციებს და მისი რეორგანიზაციის ეფექტურობას.

ფაქტია, რომ გაეროს უშიშროების საბჭო აუცილებელ რეფორმას საჭიროებს, ორგანიზაცია სამშვიდობო მისიას მხოლოდ შესაბამისი მანდატის არსებობის შემდეგ ახორციელებს, რომელიც უშიშროების საბჭოში შემავალი ხუთი ქვეყნის დასტურის შემდეგ მიიღება. მანდატის მიღების მიუხედავად გაეროს რეგულარული სამხედრო ძალა არ გააჩნია, მისიისათვის სამხედრო შემადგენლობა შემავალი ქვეყნებისაგან კომპლექტდება.

ძირითადი ნაწილი

2023 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 78-ე სესიაზე მნიშვნელოვანი განცხადებები გაკეთდა რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებების და სომხეთ-აზერბაიჯანის შორის დაძაბული მდგომარეობის მშვიდობიანი გზებით მოგვარებასთან დაკავშირებით, რაც რეგიონის უშიშროებისათვის გამოწვევაა. სესიაზე გამომსვლელი რიგი წამყვანი ქვეყნების ლიდერთა მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა კიდევ ერთხელ დაგვანახეს გაეროს სამოქმედო გეგმის, უშიშროების საბჭოს შემადგენლობის და ქმედითუნარიანობის გაზრდისათვის ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. გაეროს სტრუქტურული რეფორმირების საკითხი ახალი ნამდვილად არ არის და ხშირად განიხილებოდა აღნიშნული პრობლემატიკა სხვადასხვა ფორმატში.⁵ „ამერიკის შეერთებული შტატები მხარს დაუჭერს გაფართოვდეს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი და დროებითი ქვეყნების რიცხვი“, – განაცხადა გენერალურ დებატებზე სიტყვით გამოსვლისას აშშ პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა. გაეროს უშიშროების საბჭოში შემავალი მუდმივმოქმედი სახელმწიფოები, რომლებიც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე „ვეტოს“ დადების უფლებით სარგებლობენ, ხშირ შემთხვევაში საკითხების ეფექტურ მოგვარებას ართულებენ ვიწრო სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც აღნიშნა დებატებზე უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ: „გაეროს ინსტიტუტების რეფორმა აუცილებელია... ფაქტია გერმანია იმსახურებს ადგილს... ისევე როგორც წყნარი ოკეანის ქვეყნები.“

გარდა აშშ-ის და უკრაინისა, თურქეთის რესპუბლიკაც, როგორც რეგიონული მნიშვნელობის სახელმწიფო, სკეპტიკურად უყურებს გაეროს უშიშროების საბჭოს შემადგენლობას. ქვეყნის ლიდერმა რეჯეფ თაიპ ერდოღანმა გენერალურ დებატებზე გამოსვლისას განაცხადა: „ჩვენი გამოწვევაა შევექმნათ ისეთი საერთაშორისო სისტემა, რომელიც მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ იმუშავებს, უშიშროების საბჭო ვერ ასრულებს უსაფრთხოების გარანტიის როლს და ასახავს მხოლოდ ხუთი ქვეყნის პოლიტიკურ სტრატეგიას... მსოფლიო ხუთი სახელმწიფო არაა“. უშიშროების საბჭოს რეფორმირების საჭიროებას ასევე შეეხო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ოლაფ შოლცი, რომელმაც განაცხადა: „ნათელია, რომ აფრიკა იმსახურებს უფრო მეტ წარმომადგენელს, როგორც აზია და ლათინური ამერიკა“.

1 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაერო (ინგ:United Nations Organization) საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 წლის 26 ივნისს, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 51 სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას. წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს.

2 ერთა ლიგა (ინგ:League of Nations) პირველი საერთაშორისო, სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მსოფლიო მშვიდობის და სტაბილურობის დაცვა. ერთა ლიგა დაარსდა 1920 წლის 10 იანვარს.

3 უშიშროების საბჭოს 15 წევრი ჰყავს, მათგან 5 მუდმივი წევრია (აშშ, გაერთიანებული სამეფო, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი), 10 დროებითი (2023-2024წ: ეკვადორი, იაპონია, მალტა, მოზამბიკი, შვეიცარია, ალბანეთი, ბრაზილია, გაბონი, განა და არაბეთის გაერთიანებული ემირატები) კი ყოველ მეორე წელს აირჩევა გენერალური ასამბლეის მიერ. პროცედურულ საკითხებზე საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს მუდმივ წევრთა ერთსულოვანი არაპროცედურული საკითხების მიღება ასევე მოითხოვს 9 დადებით ხმას, მათ შორის ყველა მუდმივი წევრის თანხმობას. მუდმივი წევრის მიერ ხმის მიცემაზე თავის შეკავება არ ითვლება დამაბრკოლებელ გარემოებად არაპროცედურულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა, მუდმივ წევრს შეუძლია ვეტოს ძალაუფლების გამოყენება, რაც რეზოლუციის მიღებას შეუძლებელს ხდის.

4 აშშ-ში, ნიუ-იორკში გაიმართა გაეროს რიგით 78-ე სესია, გახსნის ცერემონია 5 სექტემბერს, ხოლო 19-26 ჩატარდა გენერალური დებატები.

5 გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ შემუშავებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმისროების საბჭოს სტრუქტურის რეფორმირება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1540256.html>

ცხადია, რომ რიგი სახელმწიფოები თავს მოიზარებენ სამომავლოდ რეორგანიზებულ გაეროში გაზრდილი უფლებებით, რაც გულისხმობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების კონტექსტში მეტი ჩართულობის შესაძლებლობას.⁶ მათი მიზანი განხორციელებადი გახდება იმ შემთხვევაში, თუ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი-ქვეყნების რაოდენობა არსებული ხუთის ნაცვლად გაიზრდება, ხოლო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, ნაცვლად ერთობლივისა, განხორციელდება ხმების უბრალო უმრავლესობის პრინციპით.

სესიაზე ყურადღება გამახვილებულ იქნა რეგიონის უსაფრთხოების ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევებზე, როგორებიცაა რუსულ-უკრაინული მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირება და აზერბაიჯან-სომხეთს შორის არსებული დამაბული მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ სესიაზე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის გამოსვლა გაჯერებული იყო ტრადიციული რუსული დიპლომატიისათვის დამახასიათებელი მანკიერებებით, რომლისთვისაც უცხო არ არის ცრუ რეალიების შექმნა და დანარჩენი სამყაროს დადანაშაულება.⁷ რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებების ფონზე მან მიმდინარე რეალური ფაქტებს დამახინჯებით სცადა რუსეთის ფედერაცია მართებულ პოზიციაში წარმოეჩინა. მან რუსეთ-უკრაინის საომარ მოქმედებების გაჩაღებაში ბრალი დასავლურ მხარეს დასდო და საერთაშორისო ურთიერთობებში მათ ორმაგ სტანდარტებზე მიუთითა.

გლობალური უსაფრთხოების გამოწვევებს შეეხნენ სესიაზე გამომსვლელი რიგი ლიდერები, რომლებმაც რუსი პირველი დიპლომატის მიერ გაკეთებული განცხადებების მართებულობა გააბათილეს და პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას დააკისრეს. შთამბეჭდავი იყო, აშშ პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის შეფასება: „რუსეთმა განახორციელა პროვოკაცია უკრაინის წინააღმდეგ... რუსეთი ერთპიროვნულად არის პასუხისმგებელი ამ ომში, მხოლოდ მას გააჩნია ძალა დაასრულოს ომი დაუყოვნებლივ... რუსეთის ფასი მშვიდობისათვის უკრაინის კაპიტულაცია, უკრაინის ტერიტორია და უკრაინელი ბავშვებია“.

არანაკლებ შთამბეჭდავი იყო 78-ე სესიის გენერალურ დებატებზე ევროკავშირის პრეზიდენტის შარლ მიშელის სიტყვით გამოსვლა. მან უკრაინას მხარდაჭერა აღუთქვა და რუსეთი გააკრიტიკა: „რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ, რაც, რა თქმა უნდა, არის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის დარღვევა... ჩვენ უნდა შევაჩეროთ კრემლი და მისი მომაკვდინებელი ავანტიურა... ევროკავშირი დაუჭერს მხარს უკრაინას თავდაცვის უფლებაში...“. პრეზიდენტის აღნიშნული განცხადება მნიშვნელოვანია უკრაინისთვის კოლექტიური დახმარების აღმოჩენის კუთხით, რაც სავარაუდოდ გაზრდის შანსს, რათა უკრაინამ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესორს. დასავლეთის პოზიცია რუსეთის ფედერაციის მიმართ არის ნათელი, რაც სესიის მიმდინარეობისას დადასტურდა. აღნიშნულის მაგალითია, ალბანეთის პრემიერ-მინისტრის ედი რამას პასუხი გაერო-ში რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენლის მიმართ.⁸

სესიაზე გარდა რუსულ-უკრაინული ომისა, განხილული იქნა მთიანი ყარაბაღის ირგვლივ მიმდინარე საშიში პროცესები. მთიანი ყარაბაღის საკითხის ირგვლივ გამომსვლელი ლიდერები თავიანთ განცხადებებში კონფლიქტის დარეგულირებას საერთაშორისო სამართლის ნორმების ფარგლებში განიხილავდნენ, რაც ნიშნავს აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობისადმი სოლიდარობას. ისინი აღნიშნავდნენ მთიანი ყარაბაღის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესაძლებლობას. თურქეთის რესპუბლიკის ლიდერმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სიტყვით გამოსვლისას ღიად დაუჭირა მხარი აზერბაიჯანს და აღნიშნა, რომ „მთიანი ყარაბაღი აზარბაიჯანია და სომხეთისგან ელის დაპირების შესრულებას“. ასევე საინტერესოა ერდოღანის განცხადება იმის შესახებ, რომ: „მთიანი ყარაბაღი აზარბაიჯანის შიდა პრობლემაა“.⁹ საინტერესოა, რომ აღნიშნულ იდეას იზიარებს რუსული მხარე.¹⁰ განსხვავებული მოსაზრება წარმოადგინა ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კატრინ კოლონამ 78-ე სესიის გენერალურ დებატებზე გამოსვლისას: „19 სექტემბერს აზერბაიჯანმა გადაწყვიტა დაეწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რომელმაც მოახდინა სახმელეთო და საჰაერო საშუალებების მასობრივი მობილიზება, რომლის შედეგადაც დაზარალდა მშვიდობიანი მოსახლეობა, არავის სჯერა, რომ ეს არ იყო წინასწარ დაგეგმილი“. კრიტიკის მიუხედავად, მან ხაზი გაუსვა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას, ასევე სომეხი მოსახლეობის დახმარებას და საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. მსგავსი კონფლიქტების პრობლემატიკის ეფექტურად გადაჭრაში ორგანიზაციის მაღალი დონის ტრიბუნა დადებით როლს თამაშობს.

სესიაზე მონაწილე ქვეყნების ლიდერების მიერ ორმხრივი შეხვედრები გამოყენებული იქნა უსაფრთხოების საკითხების დასარეგულირებლად და შეხვედრების ურთიერთგაცვლისათვის. უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა აშშ პრეზიდენტთან ჯოზეფ ბაიდენტან.¹¹ გარდა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებისა, შეხვედრაზე განიხილეს უკრაინისათვის საარ-

6 განსაკუთრებით ინდოეთი, იაპონია, ბრაზილია, გერმანია, თურქეთი.

7 <https://tg.ru/2023/09/20/faktami-dal-otvet-zapadu-lavrov-vystupil-na-sovete-bezopasnosti-oon.html>

8 <https://www.open.online/2023/09/20/onu-edi-rama-vs-russia-guerra-ucraina-zelensky-video/>

9 ერდოღანის აზერბაიჯანის მარდამჭერი გამოსვლა აზერბაიჯანმა დააფასა და სამადლობლო წერილიც კი მისწერა.

10 დიმიტრი პესკოვმა აშშ-ს ინიციატივაზე საერთაშორისო მისიის შექმნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველანაირმა მისიამ შეიძლება იარსებოს მხოლოდ ბაქოსთან შეთანხმებით.

11 <https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2023/09/21/remarks-by-president-biden-and-president-volodymyr-zelensky-of-ukraine-after-expanded-bilateral-meeting/>

ტილერიო საშუალებების, საბრძოლო მასალების, ტანკსაწინააღმდეგო სისტემების და Abrams-ის ტიპის ტანკების მიწოდება.¹² შეხვედრაზე ასევე განიხილეს საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდა, რაც საშუალებას მისცემს უკრაინას დაიცვას კრიტიკული ინფრასტრუქტურა. დახმარებების მხრივ ასევე მნიშვნელოვანი იყო ზელენსკის შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერთან ოლაფ შოლცთან. შეხვედრისას, კანცლერმა უკრაინას ფართო არიალის მხარდაჭერა აღუთქვა.¹³

სესიის ფარგლებში ასევე მნიშვნელოვანი იყო ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით გამართული ორმხრივი შეხვედრები. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არარატ მირზოიანმა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კატრინ კოლონამ შეხვედრისას განიხილეს აზერბაიჯანის მოქმედებები და ყარაბაღის მშვიდობიანი მოსახლეობის მდგომარეობა, ასევე ევროკავშირის მზადყოფნა შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის კუთხით.¹⁴ დაახლოებით მსგავსი შინაარსის მატარებელი იყო მირზოიანის შეხვედრა ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ჯოზეფ ბორელთან.¹⁵ უნდა ითქვას, რომ ევროპის ორივე მაღალი რანგის პოლიტიკოსი ყარაბაღელი სომეხი მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას და საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობას უსვამს ხაზს.

სესიის გენერალურ დებატებზე საქართველო წარმოდგენილი იყო პრემიერ-მინისტრის რანგით. გამოსვლისას ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონში არსებულ უსაფრთხოების საკითხებზე გაამახვილა ყურადღება. დამსწრე აუდიტორიას გააცნო საქართველოს მხრიდან უკრაინისადმი დასხმარებლად გადადგმული ნაბიჯები. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა საქართველოს როლს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში და მზაობა გამოთქვა აზერბაიჯან-სომხეთს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღებაზე: „ ჩვენ მზად ვართ ჩავართოთ ჩვენი მეზობლები და მეგობრები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, რათა საბოლოოდ დაამყარონ ხანგრძლივი მშვიდობა სამხრეთ კავკასიაში“.¹⁶ პრემიერის გამოსვლა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ საქართველო აზერბაიჯან-სომხეთს შორის ფეთქებად საკითხებთან უშუალო შემხებლობაშია, რაც ზომიერ და დაბალანსებულ მიდგომას მოითხოვს, ხოლო ამ პროცესში ჩართულობა მედიატორის როლით დამატებით სარგებლის მომტანი შეიძლება გახდეს. ასევე, უნდა აღინიშნოს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიის ფარგლებში გამართული ორმხრივი შეხვედრები, სადაც რეგიონული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განცხადებები გაკეთდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეჯეფ თაიპ ერდოღანის ორმხრივი შეხვედრისას ხაზი გაესვა რეგიონში არსებულ უსაფრთხოების საკითხებს და განხილული იქნა როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი ეკონომიკური პროექტები.

დასკვნა

ამრიგად, უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით რეგიონში მიმდინარე კონფლიქტები ახალ გამოწვევებს ავლენენ. მათი ეფექტურად მოგვარება კი ურთულესი პროცესია და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. უნდა ითქვას, რომ ლიდერების მიერ გენერალურ ასამბლეაზე გაკეთებული განცხადებები ცალსახად მიგვანიშნებენ უსაფრთხოების გამოწვევების რეგულირების ახალი გზების და მეთოდების აუცილებლობაზე.

ისმის კითხვა: მოახერხებენ კი მსოფლიო ლიდერები შეთანხმდნენ, რათა განახორციელონ ცვლილებები და ჩამოაყალიბონ გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი სტრუქტურა, ისე რომ ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ქმედითი და ამასთანავე ეფექტური გახდეს? სესიამ დატოვა შთაბეჭდილება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემაჯავლი ქვეყნები შეძლებენ მიაღწიონ კონსენსუსს და იგი გადააქციონ გაცილებით ქმედითუნარიან ინსტიტუტად. აღნიშნული მოიაზრებს რეგიონში მიმდინარე რუსეთ-უკრაინული და აზერბაიჯანულ-სომხური პრობლემატიკის დარეგულირებას.

12 27 სექტემბერს ზელენსკიმ გააკეთა განცხადება Abrams-ის ტიპის ტანკების უკრაინისათვის გადაცემის შესახებ.

13 <https://eodaily.com/ru/news/2023/09/21/sholc-poobeshchal-zelenskomu-prodolzhit-podderzhku-ukrainy>

14 <https://ru.armradio.am/2023/09/23>

15 https://www.mfa.am/ru/press-releases/2023/09/19/Mirzoyan_Borrell_UNGA/12213

16 2023 წლის 8 ოქტომბერს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის საქართველოში ვიზიტისას პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა მზაობა გამოთქვა აზერბაიჯან-სომხეთს შორის არსებული საკითხის მოგვარების პროცესში მედიაციის ან ფასილიტაციის როლი შეესრულებინა, თუმცა სომხეთის პრემიერი ნიკოლ ფაშინიანი აღნიშნული კონფლიქტის მოგვარებას საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით განიხილავს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბაიდენი, ჯოზეფ. გაეროს დებატები. 19 სექტემბერი 2023 წელი. ა.შ.შ. ნიუ იორკი. <https://gadebate.un.org/en/78/united-states-america> უკანასკნელი ნახვა: 30.10.2023 წელი
- ზელენსკი, ვოლოდიმირ. გაეროს დებატები. 19 სექტემბერი 2023 წელი. ა.შ.შ. ნიუ იორკი. <https://gadebate.un.org/en/78/ukraine> უკანასკნელი ნახვა: 30.10.2023 წელი
- კატერინ, კოლონა. გაეროს დებატები. 21 სექტემბერი 2023 წელი. ა.შ.შ. ნიუ იორკი. <https://gadebate.un.org/en/78/france> უკანასკნელი ნახვა: 30.10.2023
- ლავროვი, სერგეი. გაეროს დებატები. 23 სექტემბერი 2023 წელი. ა.შ.შ. ნიუ იორკი. <https://gadebate.un.org/en/78/russian-federation> უკანასკნელი ნახვა: 30.10.2023
- მიშელი, შარლ. გაეროს დებატები. 21 სექტემბერი 2023 წელი. ა.შ.შ. ნიუ იორკი. <https://gadebate.un.org/en/78/european-union> უკანასკნელი ნახვა: 30.10.2023
- ოლაფ, შოლც. გაეროს დებატები. 19 სექტემბერი 2023 წელი. ა.შ.შ. ნიუ იორკი. <https://gadebate.un.org/en/78/germany> უკანასკნელი ნახვა: 30.10.2023
- რეჯევ თაიფ, ერდოღანი. გაეროს დებატები. 19 სექტემბერი 2023 წელი. ა.შ.შ. ნიუ იორკი. <https://gadebate.un.org/en/78/turkiye> უკანასკნელი ნახვა: 30.10.2023 წელი
- დარიბაშვილი, ირაკლი. გაეროს დებატები. 22 სექტემბერი 2023 წელი. ა.შ.შ. ნიუ იორკი. <https://gadebate.un.org/en/78/georgia> უკანასკნელი ნახვა: 30.10.2023

რუსეთ-უკრაინის ომი, როგორც ბირთვული შანტაჟისა და ახალი მსოფლიო წესრიგის წინაპირობა

ვიცე-პოლკოვნიკი დავით მარგიანი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის ფაკულტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კოლაფსის შემდგომ, ევროპისა და დასავლეთის ქვეყნებში პოლიტიკური განცდა გაჩნდა იმის შესახებ, რომ ეკონომიკურად, სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით შესუსტებული რუსეთის ფედერაცია იძლებული გახდებოდა იმ თანამედროვე პოსტ-ცივიომისეული ლიბერალური წესწყობილებაში ჩაბმულიყო, რომელიც სხვა დანარჩენ სამყაროს დიდ ნაწილს ახასიათებდა. მათი მოლოდინებით რუსეთის ფედერაცია სხვა წამყვან ბირთვულ სახელმწიფოებთან ერთად დაიწყებდა ახალ, გლობალურ უსაფრთხოების პროცესებში აქტიურ მონაწილეობას. ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც რუსეთ-დასავლეთთან ურთიერთობების დათბობის პროცესში განხორციელდა იყო ბირთვული იარაღის შემცირებისა და გაუვრცელებლობის შესახებ 1991 წლის ხელშეკრულება¹ (START-I 1991) და 1993 წლის (START-II)² შეთანხმებები. გარდა ამისა, 1994 წელსვე, დასავლეთის ქვეყნების შუამდგომლობით, რუსეთის ფედერაციას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის გაფორმდა მემორანდუმი (**ბუდაპეშტის ხელშეკრულება**),³ რომლის მიხედვითაც ოთხივე სახელმწიფო კისრულობდა ვალდებულებას, უკრაინის ბირთვული განიარაღების სანაცვლოდ, უზრუნველყოთ მისივე ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი გაეროს მანდატის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე რუსეთის საგარეო ურთიერთობების ვექტორი „ხისტი პოლიტიკიდან“ შედარებით „რბილ პოლიტიკაზე“ გადავიდა, მან დიდხანს არსებობა ვერ შეძლო და საბოლოოდ ჩეჩნეთთან ორი,⁴ საქართველოსთან ერთი საომარი მოქმედებებით დასრულდა, რომლის შედეგში გაგრძელებაც სირიისა და უკრაინის საომარი მოქმედებები იყო.

საკვანძო სიტყვები:

რუსეთის ფედერაცია, უსაფრთხოება, დასავლეთი, საქართველო, რუსეთ-უკრაინის ომი, ბირთვული შეიარაღება.

Russia-Ukraine War as a Prerequisite for Both Nuclear Blackmail and a New World Order

Lieutenant Colonel Davit Margiani
Doctoral student of the Faculty of History
Sokhumi State University

Abstract

After the end of the Cold War and the collapse of the Soviet Union, there was a political expectation in Europe and the West that the economically, militarily, and politically weakened Russian Federation would be forced into the modern post-Civilian liberal order that characterized much of the rest of the world. They expected that the Russian Federation, together with other leading nuclear states, would begin active participation in new global security processes. The most important fact that happened in the process of “warming relations” between Russia and the West was the 1991 treaty on the reduction and non-proliferation of nuclear weapons (START-I 1991) and 1993 (START-II) agreements. Besides, in 1994, at the request of Western countries, a memorandum (**Budapest Treaty**) was signed between the Russian Federation, the United States of America, France and Great Britain. According to the agreement all four states took their obligation to ensure its territorial integrity and sovereignty within the framework of the UN mandate in exchange for the nuclear disarmament of Ukraine, At the initial stage, the vector of Russia’s foreign relations shifted from “hard policy” to relatively “soft policy”, but it was not able to exist for a long time and finally it ended with two hostilities with Chechnya and one with Georgia. After that, further military actions of Russia continued with Syria and Ukraine

Keywords:

Russian Federation, security, West, Georgia, Russia-Ukraine war, nuclear weapons.

1 <https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/pcw/104210.htm> უკანასკნელად ნანახია 21.09.2023წ.

2 <https://armscontrolcenter.org/strategic-arms-reduction-treaty-ii/> უკანასკნელად ნანახია 21.09.2023წ.

3 <https://treaties.un.org/Pages/showDetails.aspx?objid=0800000280401fbb> უკანასკნელად ნანახია 21.09.2023წ.

4 https://ciaotest.cc.columbia.edu/olj/sa/sa_aug00bag01.html უკანასკნელად ნანახია 21.09.2023წ.

შესავალი

საერთაშორისო საზოგადოება თანხმდება, რომ, ზემოთ ხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე, თანამედროვეობაში მათ უწევთ გამკლავება რუსეთის ლიდერების „იმპერიულ რეალობასთან,“ რომელიც მათთვის ისტორიულ, გენეტიკურ მახსოვრობას წარმოადგენს, ხოლო მეორეს მხრივ უწევთ მისთვის ანგარიშის გაწევა, რადგანაც ამ უკანასკნელს გააჩნია ბირთვული შეიარაღება, ბუნებრივი რესურსები, ხოლო მისი ტერიტორიები გადაჭიმულია ევრაზიის ტერიტორიაზე და მოიცავს ევროპის დიდ ნაწილსაც, შესაბამისად რუსეთი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის განვითარებაზე.⁵ სწორედ ამიტომ, ერთგვარ დილემას წარმოადგენს დასავლეთის ქვეყნებისათვის მასთან ურთიერთობებში ეგრეთწოდებული „წითელი საზღვრების“ არსებობა, რომელთა გავლენაც, სამწუხაროდ დღემდე რეალურად ძალიან წელი ტემპით მიმდინარეობს.

აღნიშნული საკითხის სირთულიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე, შევეცდებით საკითხში მნიშვნელოვანი თეზისები ჩამოვყალიბოთ და ჩვენეული ხედვით გავცეთ პასუხი შემდგომ კითხვას: **„რა ზეგავლენას იქონიებს რუსეთ-უკრაინის ომი და ბირთვული შანტაჟი ახალ მსოფლიო წესრიგზე“**, ჩამოვყალიბოთ შესაძლო სცენარები და ვარიანტები ობიექტური მიდგომების საფუძველზე.

ძირითადი ნაწილი

რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებები, სწორედ, რომ 2008 წელს საქართველოში განხორციელებული ექსპანსიონისტური პოლიტიკისა და საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის „უუნარობის“ შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ქართველი და უცხოელი მეცნიერები 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებს **(ის რომ რუსეთმა ვერ შესძლო საქართველოს მთლიანი ტერიტორიის ოკუპაცია ანდაც მთავრობის ცვლილება)** დასავლური პოლიტიკის გამარჯვებად მიიჩნევენ, რუსული თვალსაწიერიდან გამომდინარე - სხვაგვარად მიიჩნევა. რუსეთმა ნაკლები ეკონომიკური თუ ადამიანური რესურსების ხარჯზე ფაქტიურად შესძლო სამი მნიშვნელოვანი რამ:⁶

1. შეანელა ქართული შეიარაღებული ძალების განვითარების სწრაფი ტენდენციები.
2. მნიშვნელოვნად გააჭიანურა ქვეყნის დასავლურ ორგანიზაციებში ინტეგრაცია.
3. საერთაშორისო საზოგადოებაში გააჩინა განცდა, რომ მას აქვს საგარეო პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები, უნდა იყოს ანგარიშგასაწევი ძალა და ის რომ მის პოლიტიკას ზურგს უმაგრებს სამხედრო ძალა, რომლის გამოყენების გადაწყვეტილებაც მისთვის ბევრად მარტივია, სხვა დიდ სახელმწიფოებთან შედარებით.

თუ საკითხს ობიექტურად შევხედავთ, 2008 წელმა საერთაშორისო საზოგადოებაზე რუსული თვალსაწიერიდან გარკვეული ზეგავლენა მოახდინა, რომელსაც შემდგომ მოჰყვა სირიისა და უკრაინის პირველი და მეორე საომარი მოქმედებები. ამათგან 2022 წელს უკრაინაში დაწყებული ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები აშკარად გამოსაყოფია, რომლის **საბაზსაც**, როგორც 2014 წელს, ისევე 2022 წელს „ნატოს“ გაფართოების საფრთხე წარმოადგენდა.⁷ აღნიშნული საფრთხე, მათი გადმოსახედიდან, საქართველოსთან მიმართებაშიც არსებობს. რაც შეეხება **მიზეზს**, იგი რუსული პოლიტიკური ელიტის იმპერიალისტური ზრახვებითაა განპირობებული და მათი შეხედვით „ერთი ერის გაერთიანების“⁸ წინაპირობაა. თუმცა არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ 2008 წლის პოსტმისიულ პერიოდში ნატოსთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებში უკრაინასთან ერთად საქართველოს⁹ სახელიც ფიგურირებდა.

როგორც ყველა საომარ მოქმედებებს, რა თქმა უნდა, რუსეთ-უკრაინის შემთხვევაშიც ომს ყავს დაინტერესებული მხარეები, რომლებიც თავიანთი ეროვნული და რეგიონალური ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო მათი ჩართულობა და ზეგავლენა საომარ მოქმედებებზე განსაკუთრებით დიდია. გამოვყოფთ რამდენიმე ბირთვულ სახელმწიფოს და შევეცდებით მათი მიზნების ობიექტურ განსაზღვრას.

ამერიკის შეერთებული შტატები და „ნატო“-ს ბირთვული ქვეყნები: შეერთებული შტატების მხრიდან უკრაინაში ჯერ კიდევ 2014 წელს დაწყებული რუსული ჰიბრიდული ომიდან დღემდე 46.56 მილიარდი დოლარის ინვესტირება მოხდა, საიდანაც სუბსიდირების 90% სწორედ 2022 წლიდან დღემდე არის გადანაწილებული.¹⁰ რა თქმა უნდა შტატების ინტერესები გაცილებით დიდია, ვიდრე უშუალოდ უკრაინის სამხედრო და მატერიალური მხარდაჭერა. მის მთავარ მიზანი კი რამდენიმე მიმართულებით არის ჩამოყალიბებული:

1. მსოფლიო პოსტცივილიზაციული წესწყობილების შენარჩუნება, სადაც დომინანტურ როლს შეასრულებს.

5 <https://fas.org/initiative/status-world-nuclear-forces/> უკანასკნელად ნანახია 21.09.2023წ.

6 გამოთქმულია ავტორისეული შეხედულებები

7 Address by the president of the Russian Federation <http://en.kremlin.ru/events/president/news/67843> უკანასკნელად ნანახია 21.09.2023წ.

8 სიტყვა ეკუთვნის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ვ.პუტინს <https://www.prlib.ru/en/article-vladimir-putin-historical-unity-russians-and-ukrainians> უკანასკნელად ნანახია 21.09.2023წ.

9 <https://carnegieeurope.eu/strategieurope/90137> უკანასკნელად ნანახია 21.09.2023წ

10 https://www.state.gov.translate.google.com/translate/u-s-security-cooperation-with-ukraine/?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc უკანასკნელად ნანახია 21.09.2023წ.


- საერთაშორისო ავტორიტეტისა და ზეგავლენის სფეროების შენარჩუნება, რაც მკვეთრი და ხისტი საგარეო პოლიტიკის წარმოების გარეშე შეუძლებელია ამ ეტაპზე,
- რუსული ექსპანსიონისტური ამბიციების შემცირება ევრაზიის კონტინენტსა და მის გარეთ, გამოფიტვისა და ეკონომიკური ბლოკადის ხარჯზე.

რა თქმა უნდა ზემოხსენებული მიზნებისა და უკრაინის საომარი მოქმედებების შედეგები ერთმანეთზე იმდენად მჭიდროდაა გადაჯაჭვული, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს და მოქმედებს პრონციპით: „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“, და არა პრინციპით „ჩემი მეგობრის მტერი ჩემი მტერია“. რაც შეეხება სხვა „ნატოს“ წევრ ბირთვულ სახელმწიფოებს - დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, მათი უკრაინის საომარ მოქმედებებში აქტიური ჩართულობა, ჩვენი აზრით, უფრო ამერიკული ლობისტობითა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგობრივი განწყობებით არის განპირობებული და იმ სავარაუდო შედეგებით, რომლებიც შესაძლოა უკრაინის დამარცხებას მოჰყვეს, რაც შეგვიძლია გავამყაროთ იგივე სირიასა და აფრიკაში წარმოებულ მოქმედებებში მათი ჩართულობის ნაკლები ინტენსივობით. მეორეს მხრივ, რუსეთი საერთაშორისო ბლოკადის საფუძველზე ცდილობს ალტერნატიული კავშირების შექმნას, სადაც, ერთის მხრივ, ცდილობს შეიყვანოს ბირთვული სახელმწიფოების ნაწილი: ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, ინდოეთი და მათთან საერთო ინტერესები გამონახოს სამხედრო თანამშრომლობის მიმართულებით, რომელიც ამ ეტაპზე არც თუ ისე ქმედითუნარიანად ფუნქციონირებს. თუ გადავხედავთ ომის ქრონოლოგიას, დავინახავთ, რომ პირველი ეტაპის(პირველი მობილიზაცია) შემდგომ, როდესაც რუსეთს გაუჭირდა არსებული სამხედრო მიზნების მიღწევა, მუდმივად დაიწყო ბირთვული იარაღით შანტაჟი, რასაც დასავლეთიდან მყისიერი რეაგირება მოჰყვა და ამ ეტაპზე მისი გამოყენების ალბათობაც კი ძალიან დაბალია რამდენიმე მიზეზიდან გამომდინარე:¹¹


- რუსეთის ფედერაცია იყენებს მასიური განადგურების ოპერატიულ ან სტრატეგიულ იარაღს უკრაინაში, რაც არამარტო უკრაინულ გეოგრაფიაზე, არამედ ზეგავლენას ახდენს, მათ შორის, რუსეთისა და სხვა ევროპული სახელმწიფოების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.
- ჩინეთი და ინდოეთი დიდი სამხედრო ძალით ეხმარებიან რუსეთს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს იგივე ტაივანისათვის ან ისრაელისათვის (რომელთანაც ჯერ ოფიციალურად არ მტკიცდება ბირთვული იარაღის არსებობა) ბირთვული შეიარაღების გადაცემა, იგივე პაკისტანის სამხედრო მხარდაჭერა ინდოეთის წინააღმდეგ და ა.შ.
- ჩრდილოეთ კორეის მხრიდან რუსეთის დიდმა სამხედრო მხარდაჭერამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს სამხრეთ კორეისთვის ან იაპონიისათვის ა.შ.შ.-ს მხრიდან ბირთვული შეიარაღების გადაცემა.

რა თქმა უნდა ეს ყველაფერი ერთმანეთს იმდენად აბალანსებს, რომ უკრაინის ომში წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი სხვა ბირთვული სახელმწიფოების აქტიური ჩართულობის შანსი ძალიან დაბალია. გარდა ამისა, თუ გადავხედავთ იხ. სურ. #1 უკრაინის მხარდამჭერი სახელმწიფოების(მხოლოდ ა.შ.შ.) ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და რუსეთის ფედერაციის სავარაუდო მხარდამჭერების შესაძლებლობებს დავრწმუნდებით, რომ სხვაობა საკმაოდ დიდია:¹²

საერთო სამხედრო ბიუჯეტი (სავარაუდო)



შედარებითი შკალა



■ რუსეთი ■ ჩინეთი ■ ინდოეთი ■ ჩრდილოეთ კორეა

■ რუს.ფედერაციის მხარდამჭერები ■ შეერთებული შტატები

სურ. #1

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მაგალითებისა და მსჯელობისა, რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებების დასრულების შანსი ამ ეტაპისათვის, მოკლევადიან პერიოდში, წარმოუდგენელ აქსიომად რჩება, რამდენიმე მიზეზიდან გამომდინარე:

* რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური და ადამიანური რესურსების დანახარჯები იმდენად დიდია,

11 გამოთქმულია ავტორისეული შეხედულებები

12 <https://commonslibrary.parliament.uk/defence-spending-pledges-by-nato-members-since-russia-invaded-ukraine/>

რომ საყოველთაოდ განცხადებულ მიზნებზე უარის თქმა და საომარი მოქმედებების შეწყვეტა ავტომატურად გამოიწვევს არსებული რეჟიმის ჩამოშლას, რაც ამ ეტაპზე აქსიომას წარმოადგენს;

- უკრაინის მიერ ომში ასევე გაწეული ხარჯები და მატერიალური შედეგები იმდენად დიდია, რომ საომარ მოქმედებებში კაპიტულაცია ან ომის მოცემული შედეგებით დასრულება შეუძლებელ აქსიომად რჩება;
- დასავლეთის მიერ სამხედრო-ფინანსურად მხარდაჭერილი უკრაინის მიერ კონკრეტული შედეგების არარსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს გარკვეული უკმაყოფილება საერთაშრისო საზოგადოებაში, ხოლო უკრაინის მუდმივმა მხარდაჭერამ გარკვეულ დონეზე გამოფიტოს დასავლური რესურსები, რომლებიც დღესდღეისობით რუსეთის რესურსებზე დიდია;
- დასავლეთის ქვეყნების მიზანს რუსული ექსპანსიონისტური პოლიტიკის შესუსტება წარმოადგენს, რომელიც ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებული რუსეთის სახითაა შესაძლებელი. იმის მოლოდინი, რომ ამ უკანასკნელს იმდენად დაასუსტებენ, რომ შესძლებენ მის „დაშლას“, დასავლურ ლიდერებს, რა თქმა უნდა, არ გააჩნიათ და არც ამის სურვილი აქვთ.

ზემოხსენებული ავტორისეული შეხედულებებიდან გამომდინარე, ვთანხმდებით, რომ საომარმა მოქმედებებმა არამხოლოდ ადამიანური და მატერიალური რესურსების განადგურება გამოიწვიოს, არამედ ვერ გამოიღეს ის შედეგები, რომლებსაც, შესაძლოა, დასავლელი ლიდერები დროის ამ მონაკვეთში ელოდებოდნენ. სწორედ ამიტომ, ამ ეტაპისათვის შესაძლო გამოსავლად საომარ მოქმედებებში მხარდაჭერის გაგრძელება მიგვაჩნია, რომლის ალტერნატივაც მხოლოდ რუსეთ-უკრაინის საომარ მოქმედებებზე შედარებით ფართო მასშტაბის პროცესებზე ყურადღების გადატანა შესაძლოა იყოს. მანამდე კი „მხოლოდ დალუპულებს უნახავთ ომის დასასრული.“^{*13}

დასკვნა

რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობის პროცესში ნათლად გამოიკვეთა მსოფლიო ბირთვული ქვეყნების ინტერესის სფეროები, რომლებიც, ერთის მხრივ უკრაინის მხარდამჭერ, ხოლო მეორეს მხრივ რუსეთის ფედერაციის მხარდამჭერთა რიგებში აღმოჩნდნენ. მიუხედავად სამხედრო ძალებისა და შესაძლებლობების დიდი სხვაობისა, „შეჩერების“ პოლიტიკის ერთ - ერთ მთავარ გარანტად ამ ეტაპისათვის, სწორედ ის ფაქტი გვევლინება, რომ დაპირისპირებულ მხარეებს გააჩნიათ ბირთვული შეიარაღება, რასაც ამ მდგომარეობით მინიმუმამდე დაჰყავს იმის თეორიული დაშვება, რომ რომელიმე მხარემ მასიური განადგურების შეიარაღება საომარ მოქმედებების მიმდინარეობის პროცესში გამოიყენოს. საომარი მოქმედებები კი ამ ეტაპისათვის აქტიურ ფაზაშია, რომლის დასრულების თეორიული შანსი უახლოეს მომავალში არ იკვეთება, ხოლო ანტიდასავლური გაერთიანებების ან ორგანიზაციების შექმნის რაიმე მცდელობა მხოლოდ მინიმუმამდეა დაყვანილი, რომელიც ისევ და ისევ ბირთვული სახელმწიფოების ეროვნული ინტერესებითაა განპირობებული.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/pcw/104210.htm> უკანასკნელად ნანახია 21.09.2023წ.

<https://armscontrolcenter.org/strategic-arms-reduction-treaty-ii/> უკანასკნელად ნანახია 21.09.2023 წ.

<https://treaties.un.org/Pages/showDetails.aspx?objid=0800000280401fbb> უკანასკნელად ნანახია 21.09.2023 წ.

https://ciaotest.cc.columbia.edu/olj/sa/sa_aug00bag01.html უკანასკნელად ნანახია 21.09.2023 წ.

13 *ფრაზა ეკუთვნის პლატონს.

კავკასიის რეგიონში ეკონომიკური განვითარება, როგორც სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი გარანტი

პოლკოვნიკი დავით ბიჭიკაშვილი

განათლების სარდლობის სამეთაურო-სამტაბო კოლეჯის უფროსი ინსტრუქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამხედრო ინჟინერიის პროგრამის დოქტორანტი

აბსტრაქტი

რეგიონი, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, წარმოადგენს კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების სიმდიდრეს. იგი ყოველთვის იპყრობდა მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას თავისი უნიკალური ადგილმდებარეობითა და უზარმაზარი ბუნებრივი რესურსებით. გეოპოლიტიკურმა ვითარებამ, უკიდურესად მდიდარმა ისტორიამ და რამდენიმე ყოფილი დიდი იმპერიის მეზობლობამ რეგიონი საინტერესო და რთულ დამაკავშირებლად ჩამოაყალიბა ევროპასა და აზიას შორის, ის დასახლებულია 50-ზე მეტი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფით, რომლებიც 100-ზე მეტ ენაზე საუბრობენ.¹

ასეთი მრავალფეროვნება კავკასიას ისტორიულად მოსდევს, მას ხშირად ხალხთა მუხეუმს უწოდებენ, პლინიუს უმცროსის სიტყვით, რომელსაც კავკასიაში 80 თარჯიმანი სჭირდებოდათ, არაბი გეოგრაფები კი კავკასიონს „ენათა მთას“ უწოდებდნენ.²

ისტორიულად, კავკასია სხვადასხვა ცივილიზაციათა შეხვედრისა და შეჯახების ადგილი იყო. აქ გადაჯაჭვულია მრავალი ეთნიკური ჯგუფი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ქრისტიანობისა და ისლამის კულტურები. რეგიონი ემსახურებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებს შორის ცოდნის, კულტურული იდეებისა და სხვადასხვა ტვირთების გაცვლის გზას. თუმცა, როგორც ნებისმიერი ადგილი, სადაც სხვადასხვა ინტერესები იკვეთება, კავკასიაც კონფლიქტებისა და დამაბულობის მომსწრე იყო. რეგიონში არასტაბილურობის წყაროდ იქცა ეთნიკური კონფლიქტები, რელიგიური განსხვავებები და გეოპოლიტიკური წინააღმდეგობები.

არასტაბილურ და გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან კავკასიის რეგიონს, მათ შორის ისეთ ქვეყნებს, როგორცაა: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი, კონფლიქტებისა და დამაბულობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ რეგიონში უსაფრთხოება და სტაბილურობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ მდგომარეობასთან. მისი განვითარება და სტაბილურობა კავკასიის რეგიონში ურთიერთდაკავშირებულია, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რომელიც რეგიონში შეამცირებს სოციალური დამაბულობის საერთო დონეს. ამ ნაშრომში განვიხილავთ, თუ რატომ არის დამოკიდებული კავკასიის უსაფრთხოება ეკონომიკურ განვითარებაზე და რა ფაქტორები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს რეგიონის მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

საკვანძო სიტყვები:

საქართველო, კავკასიის რეგიონი, ეკონომიკური უსაფრთხოება, სტაბილურობა.

1 <https://crp-infotec.de/kaukasus-land-und-leute/>

2 <http://openlibrary.ge/bitstream/123456789/102/4/religia%20da%20kultura.pdf>

Economic Development in the Caucasus Region as One of the Main Guarantees of Stability

Colonel Davit Bichikashvili

Defense Forces of Georgia, Education Command,
Command and Staff College, Senior Instructor
Technical University of Georgia

Doctoral student in the Military Engineering Program

Abstract

The region, located at the crossroads of Europe and Asia, is a wealth of cultural, ethnic and religious diversity. It has always attracted the attention of the world community with its unique location and huge natural resources. The region's geopolitical situation, extremely rich history and neighborhood of several former great empires have made the region an interesting and complex link between Europe and Asia, inhabited by more than 50 different ethnic groups speaking more than 100 languages. Such diversity follows the history of the Caucasus, it is often called a museum of peoples, according to Pliny the Younger, the Romans needed 80 translators in the Caucasus, and Arab geographers called the Caucasus "the mountain of languages". Historically, the Caucasus was a place where different civilizations met and clashed. Many ethnic groups, cultures of East and West, Christianity and Islam are intertwined here. The region served as a way to exchange knowledge, cultural ideas and various cargoes between different parts of the world. However, like any place where different interests intersect, the Caucasus is full of conflicts and tensions was a witness. Ethnic conflicts, religious differences and geopolitical contradictions have become a source of instability in the region. The volatile and geopolitically important Caucasus region, including countries such as Georgia, Armenia, Azerbaijan and Russia, has a long history of conflict and tension. Security and stability in this region are closely related to the economic situation. Its development and stability in the Caucasus region are interconnected, which contributes to the growth of the population's well-being and the creation of new jobs, which will reduce the overall level of social tension in the region. In this paper, we discuss why the security of the Caucasus depends on economic development and what factors play an important role in ensuring the peace and stability of the region.

Keywords:

Georgia, Caucasus region, economic security, stability.

შესავალი

კავკასიის რეგიონი განასახიერებს ისტორიულ და გეოპოლიტიკურ სირთულეს, რომელიც მდებარეობს ევროპასა და აზიას შორის და წარმოადგენს სხვადასხვა კულტურის, ეროვნებისა და ინტერესების კვეთას. ეს რეგიონი მართლაც მრავალი გზისა და გავლენის გზაჯვარედინია. გამოთქმა „კავკასიის გზაჯვარედინზე“ ხაზს უსვამს იმას, რომ კავკასია კრიტიკულ გეოპოლიტიკურ წერტილშია, მნიშვნელოვანი არჩევანისა და გადაწყვეტილებების წინაშე დგას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის მომავალზე. ეს გადაწყვეტილებები კი მოიცავს ტერიტორიული მთლიანობის, ეთნიკური კონფლიქტების, ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის საკითხებს.

ძირითადი ნაწილი

ბუნებრივი რესურსებითა და კულტურული მრავალფეროვნებით მდიდარი კავკასიის რეგიონი ისტორიულად იქცა სხვადასხვა ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის კონფლიქტებისა და დაძაბულობის ასპარეზად. ეს რეგიონი თავისი სტრატეგიული მდებარეობითა და გეოპოლიტიკური მნიშვნელობით რჩება მსოფლიო პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ყურადღების ცენტრში. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარება შეიძლება გახდეს კავკასიაში სტაბილიზაციისა და მშვიდობის მიღწევის საკვანძო ფაქტორი.³

ურთიერთობები კავკასიაში შეიძლება განვიხილოთ შიდა და გარე სამკუთხედის სახით. შიდა სამკუთხედს საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ქმნიან, მათი უსაფრთხოების საკითხებში კონსენსუსის მიუღწევლობა კი გარე სამკუთხედის გააქტიურებას იწვევს, რომელსაც ისტორიულად რუსეთი, თურქეთი და ირანი წარმოადგენენ. თუმცა ამ სამკუთხედებში აშშ-ს, ევროპისა და აზიის ქვეყნების ჩარევამ უფრო გაზარდა კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა.⁴

„რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“ არის კონცეფცია, რომელიც აღწერს სხვადასხვა ფაქტორებს, მოვლენებსა და პროცესებს, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან კავკასიის რეგიონში სტაბილურობას. ეს გამოწვევები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და მოიცავს შემდეგს:

1. პირველი მნიშვნელოვანი გამოწვევა კავკასიისთვის არის ეთნიკური მრავალფეროვნება. რეგიონში ბევრი ეთნიკური ჯგუფია დასახლებული, მათ შორის სომხები, აზერბაიჯანელები, ქართველები, ჩეჩნები, ოსები და მრავალი სხვა. ეთნიკური კონფლიქტები ამ ჯგუფებს შორის დაძაბულობისა და ძალადობის წყაროა.
2. მეორე გამოწვევა არის რელიგიური მრავალფეროვნება. კავკასიის რეგიონი ასევე ცნობილია თავისი რელიგიური ლანდშაფტით, მათ შორის არიან ისლამი და ქრისტიანობა მისი სხვადასხვა ფორმით. რელიგიურმა განსხვავებებმა შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტები, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონულ სტაბილურობას.
3. მესამე გამოწვევა არის გეოპოლიტიკური ინტერესი. კავკასია არის ისეთი დიდი სახელმწიფოების ინტერესების ცენტრში, როგორებიცაა რუსეთი, თურქეთი, აშშ და ევროკავშირი. ეს ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებიან რეგიონზე გავლენისა და კონტროლისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი და დაძაბულობა.
4. მეოთხე გამოწვევა არის ეკონომიკური დამოკიდებულება ენერგორესურსებზე. კავკასიის მრავალი ქვეყანა დამოკიდებულია ენერგორესურსების ექსპორტზე, როგორცაა ნავთობი და გაზი. ეს რეგიონს დაუცველს ხდის ენერჯის ფასების რყევებისა და ეკონომიკური კრიზისის მიმართ.

მთიან ყარაბაღში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტებმა დაძაბულობა გამოიწვია და უარყოფითად იმოქმედა რეგიონის სტაბილურობაზე, თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების ძალისხმევამ, ასევე მოლაპარაკებებში ადგილობრივი ლიდერების მონაწილეობამ შესაძლებელი გახადა ამ კონფლიქტების ზოგიერთი ნაწილის მოგვარება. სტაბილურობა კავკასიის რეგიონში მჭიდროდ არის დაკავშირებული რეფორმებთან, რომლებსაც ამ რეგიონის ქვეყნები ახორციელებენ. ეს რეფორმები მიზნად ისახავს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, ადამიანის უფლებების პატივისცემას და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას.

კავკასიის რეგიონში სტაბილურობის დამყარებაში განსაკუთრებულ როლს ეკონომიკური განვითარება თამაშობს. მზარდი ეკონომიკა და სიღარიბის შემცირება ქმნის უფრო მდგრად საზოგადოებას. რეგიონის ქვეყნები ავითარებენ სოფლის მეურნეობას, ინფრასტრუქტურასა და ენერჯეტიკას. ბოლო ათწლეულების განმავლობაში კავკასიის რეგიონის ქვეყნებმა, როგორებიცაა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, მიაღწიეს საოცარ ეკონომიკურ ზრდას. ეს განპირობებულია სხვადასხვა სექტორის, მათ შორის სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, ტურიზმისა და ენერჯეტიკის განვითარებით.

კავკასიის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება. მრავალმა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ენერჯეტიკის განვითარების პროექტებში ჩადო ინვესტიციები, ეს კი ხელს შეუწყობს რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ექსპორტის გაზრდას. გრძელვადიანი

3 <https://www.mid.ru/tv/?id=1712302&lang=ru>

4 http://research.ciu.edu.ge/uploads/images/ekaterine_1.pdf

ინვესტიციები არის სახსრებისა და რესურსების ჩადება რეგიონის ეკონომიკასა და ინფრასტრუქტურაში მომავალში მოგების მიღების მიზნით, კერძოდ:

- მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასა და ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებას, რაც გამოიწვევს მეტ სამეწარმეო საქმიანობასა და ახალი ინვესტიციების მოზიდვას;
- ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, როგორებიცაა გზები, რკინიგზა, აეროპორტები და პორტები, ხელს შეუწყობს კავკასიის რეგიონის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციას;
- ინვესტიციები განათლებაში, სამეცნიერო კვლევებსა და ტექნოლოგიების განვითარებაში კავკასიის ქვეყნებს დაეხმარებათ შექმნან განათლებული და კვალიფიციური სამუშაო ძალა, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს გლობალურ ეკონომიკას. ეს კი ხელს შეუწყობს მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიებისა და ინოვაციური პროექტების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილურობას.

ინვესტიციის ძირითადი ასპექტია მისი მდგრადობა და გრძელვადიანი ბუნება, რაც საშუალებას აძლევს რეგიონს მრავალი წლის განმავლობაში განვითარების ეტაპები შეინარჩუნოს. კავკასიაში უკვე არსებობს წარმატებული გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტების მაგალითები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების დაწყებას:

- სარკინიგზო პროექტი, როგორცაა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელმაც რეგიონში სატრანსპორტო ლოჯისტიკისა და ვაჭრობისთვის ახალი შესაძლებლობები შექმნა;
- ენერგეტიკაში ინვესტიციები, როგორებიცაა ნავთობსადენის, გაზსადენისა და ელექტროსადგურების მშენებლობა, კავკასია უფრო დამოუკიდებელი გახდა ენერგომომარაგებისგან და ხელი შეუწყო უფრო მეტ ეკონომიკურ სტაბილურობას;
- ტურიზმის განვითარებაში და კულტურულ, გაცვლით პროექტებში ინვესტიცია ხელს უწყობს კავკასიის ქვეყნების ურთიერთგაგების გაუმჯობესებას და სხვადასხვა კულტურის ერთმანეთთან დაახლოებას.

ეკონომიკური განვითარების პროცესი პირდაპირ და ირიბად გავლენას ახდენს მოსახლეობაზე, აყალიბებს საზოგადოებას, მის სტრუქტურას, ჯანმრთელობასა და განათლებას. მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება შეამცირებს სოციალურ დაძაბულობასა და კონფლიქტებს. სამუშაოს მქონე ადამიანებს შეუძლიათ უზრუნველყონ, როგორც საკუთარი თავი, ასევე ოჯახის წევრები, გაიუმჯობესონ საყოფაცხოვრებო პირობები და სხვადასხვა ხარისხიან მომსახურებაზე წვდომა. ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა. შემოსავლის ზრდას ხშირად თან ახლავს ცხოვრების დონის გაუმჯობესება, უკეთესი ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა, რომელსაც, თავის მხრივ, შეუძლია გამოიწვიოს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაუმჯობესება.

ეკონომიკური განვითარება გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე. კავკასიის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა გამოიწვევს შობადობის სტიმულირებას. ვინაიდან სიღარიბის დონე ეცემა, ამან შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის სწრაფი ზრდა, რაც ასევე მოითხოვს შესაბამის ზომებს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ეკონომიკური განვითარება ასევე გავლენას ახდენს მიგრაციაზე. უკეთესი შესაძლებლობების საძიებლად, ადამიანები შეიძლება გადმოვიდნენ ნაკლებად განვითარებული რეგიონებიდან კავკასიის ქვეყნებში. ამან შეიძლება ზეწოლა მოახდინოს შრომის ბაზარზე და ინფრასტრუქტურაზე კავკასიის რეგიონში, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდის წყარო მასპინძელ ქვეყნებში.

კავკასიის უსაფრთხოებაზე გავლენის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა და როლი ენერგორესურსების ტრანსპორტირებაში. კავკასიის რეგიონი არის მნიშვნელოვანი სატრანზიტო დერეფანი კასპიის რეგიონიდან ევროპისა და მსოფლიოსკენ ნავთობისა და ბუნებრივი აირის მიწოდებისთვის. ეს მას მსოფლიო ძალებისა და ენერგეტიკული კომპანიების ყურადღების ცენტრში აქცევს. მათთვის კი საიმედო ენერგომომარაგების უზრუნველსაყოფად კავკასიაში სტაბილურობა და უსაფრთხოება გადამწყვეტია.

დასკვნა

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის რეგიონი, მიუხედავად წარსული სირთულეებისა, ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობისკენ სვლას აგრძელებს. ამ მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდა, ინვესტიციები, პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტების მოგვარება. ამ ფაქტორების ეფექტურად მართვა ხელს შეუწყობს რეგიონის გრძელვადიან მდგრადობასა და კეთილდღეობას. ეკონომიკური განვითარება ახალ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს უქმნის მოსახლეობას, რაც გავლენას ახდენს შემოსავლის დონეზე, ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, დემოგრაფიულ პროცესებსა და მიგრაციაზე. მას შეუძლია რეგიონს დაეხმაროს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, სოციალური დაძაბულობის საერთო დონის შემცირებაში, უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში და ეკონომიკის მოდერნიზებაში.

მრავალფეროვანი ეკონომიკური სექტორების განვითარება და რესურსების გონივრული მართვა

ხელს შეუწყობს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გაზრდას კავკასიაში. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდა რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური ასპექტია, ეს არის ერთადერთი საიმედო და მდგრადი გზა კავკასიის შიდა სამკუთხედის მოსახლეობის კეთილდღეობის განვითარებისათვის, რომელიც შემდგომში სტაბილურობის აუცილებლობაზე აისახება.

გამოყენებული ლიტერატურა

- რელიგია და კულტურა სამხრეთ სამხრეთკავკასიაში. <http://openlibrary.ge/bitstream/123456789/102/4/religia%20da%20kultura.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.09.2023წ.
- სამხრეთ კავკასია — დიდი მოთამაშეების ინტერესთა დაპირისპირების ობიექტი. http://research.ciu.edu.ge/uploads/images/ekaterine_1.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.09.2023წ.)
- <https://crp-infotec.de/kaukasus-land-und-leute/> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.09.2023წ.)
- Научно-практическая конференция “Мир и развитие на Кавказе” <https://www.mid.ru/tv/?id=1712302&lang=ru> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.09.2023წ.)
- კავკასია. https://geofauna.ge/index.php?page=geo_nature_single&id=87 (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.09.2023წ.)
- კვიციანი ჯ. კავკასია და კავკასიელები. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“. 2012წ. 164გვ.
- Социально-экономическое развитие республик Северного Кавказа. http://www.ecoross.ru/files/atlas/sev_kav.shtml (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.09.2023წ.)
- A STABILITY PACT FOR THE CAUCASUS. https://aei.pitt.edu/32563/1/2._A_Stability_Pact_for_the_Caucasus.pdf. (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.10.2023წ.)

აშშ-ის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში (რას უნდა ველოდოთ მომავალში)

ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის
უსაფრთხოების კვლევების მიმართულების უფროსი

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში, თუ რას უნდა ველოდოთ მომავალში. კვლევის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები სამხრეთ კავკასიის მიმართ მომავალში უფრო გაღრმავდება და გამლიერდება ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანების პერსპექტივით.

სტატიაში განხილულია, თუ რატომ გაიზრდება დასავლეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მდებარეობა და მისი სატრანზიტო პოტენციალი. შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორია რუსეთის საზღვრებთან მიახლოება და სამხრეთის მიმართულებიდან მისი იზოლირება, ფაქტიურად ზღვაში გასვლის მოქმედებების შეზღუდვა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ირანი, სწორედ ამ რეგიონში აშშ-ის და ირანის ინტერესები იკვეთება. აშშ-ის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია ირანის შეკავება ან, თუ ეს შესაძლებელია, იზოლირება. შესაბამისად, რეგიონში დასავლეთის ინტერესების გაზრდით ერთი მხრივ შემცირდება რუსეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში და მეორეს მხრივ ნატო მიუახლოვდება ირანის საზღვარს.

ნაშრომში ასევე აღწერილია რუსეთის როლი აშშ-სა და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობაში, მათი ინტერესების საწყისები და განვითარების დინამიკა. აშშ-ს მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა რუსეთის მიმართ პირდაპირ კავშირშია და გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიის რეგიონში დასავლეთის ინტერესებზე. როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა იყო შერბილებული რუსეთის/საბჭოთა კავშირის მიმართ, მაგალითად, როგორც იყო ე.წ. „დეტანტის“ ანუ „გადატვირთვის“ პოლიტიკა, ამ შემთხვევაში სამხრეთ კავკასიის რეგიონში ინტერესები აშშ-ის მხრიდან მცირდებოდა. ხოლო როდესაც პირიქით, აშშ ატარებდა უკომპრომისო პოლიტიკას რუსეთის მიმართ, როგორცაა „კონფრონტაციის“ ან „არ დათმობის“ პოლიტიკა, ამ პერიოდში პარალელურად იზრდებოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში აშშ-ის ინტერესები.

საბოლოოდ წარმოდგენილია რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა რეგიონზე, ასევე ვარაუდები და რეკომენდაციები. რუსეთმა 2000-იანების დასაწყისში ვერ შეძლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ხელი შეეშალა ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებისათვის. დასავლეთმა მოახერხა ნატოს და ევროკავშირის ორგანიზაციებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მასიური გაწევრიანება. დიდი ალბათობით უკრაინაში ომის დასრულებისას რუსეთი გამოიფიტება. იგი ვერ შეძლებს აშშ-ს ინტერესების ხელის შეშლას სამხრეთ კავკასიის რეგიონში. შესაბამისად, აშშ-ს მხრიდან გამლიერდება პოლიტიკური თანამშრომლობა. აქედან გამომდინარე, რეგიონის სახელმწიფოებისთვის ეს არის ე.წ. „შესაძლებლობის ფანჯარა“, რომელიც უნდა გამოიყენონ. მათ უნდა გააღრმავონ თავიანთი პოლიტიკური კავშირები დასავლეთთან, რადგან გლობალური გამოწვევების ფონზე, რეგიონის სტაბილურობის გარანტი, შესაძლოა მხოლოდ დასავლეთი იყოს.

საკვანძო სიტყვები:

აშშ-ის პოლიტიკა, სამხრეთ კავკასიის რეგიონი, რუსეთის პოლიტიკა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთ-უკრაინის ომი, დასავლეთი.

US Policy in the South Caucasus (What to Expect in the Future)

Lt. Col. Levani Gozalishvili

LEPL-David Agmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Head of the Master's Department in Security Studies

Abstract

The article presents the policy of the United States of America in the South Caucasus and what to expect in the future. Based on the research, it can be said that the interests of the United States of America in the South Caucasus will deepen and strengthen in the future with the prospect of joining the Euro-Atlantic organizations.

The article discusses why Western interests in the South Caucasus will increase. One of the main factors is the geopolitical location of the South Caucasus and its transit potential. The next important factor is the approach to Russia's borders and its isolation from the south, literally limiting the actions of going to the sea. Another important factor is Iran, the interests of the US and Iran intersect. One of the strategic goals of the US is to contain or, if possible, isolate Iran. Accordingly, by increasing the interests of the West in the region, on the one hand, Russia's influence in the South Caucasus will decrease, and on the other hand, NATO will move closer to Iran's border.

The paper also describes the role of Russia in the relationship between the USA and the South Caucasus, the origins of their interests and the dynamics of development. The US foreign policy towards Russia is directly related to and affects the interests of the West in the South Caucasus region. When US policy was softened towards Russia/Soviet Union, such as the so-called "détente" or "reset" policy, in this case US interests in the South Caucasus region decreased. And when, on the contrary, the USA pursued an uncompromising policy towards Russia, such as the "confrontation" or "non-concession" policy, the interests of the USA in the South Caucasus region grew simultaneously.

Finally is presented, the impact of the Russia-Ukraine war on the region, as well as assumptions and recommendations. In the early 2000s, Russia failed to prevent Eastern European countries from joining the Euro-Atlantic organizations. The West managed to massively join the Eastern European countries in the NATO and EU organizations. Most likely, Russia will be exhausted by the end of the war in Ukraine. It will not be able to hinder US interests in the South Caucasus region. Accordingly, from the side of the USA, political cooperation will be strengthened. Therefore, for the states of the region, this is the so-called "window of opportunity" that should be used. They need to deepen their political ties in the West, because in the face of global challenges, the stability of the region can only be guaranteed by the West.

Keywords:

US policy, South Caucasus region, Russian policy, Georgia, Azerbaijan, Armenia, Russia-Ukraine war, the West.

შესავალი

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე, ჩვენის აზრით, უპრეცედენტოდ გაძლიერდება. თუმცა, ვიდრე ვისაუბრებდეთ აშშ-ს პოლიტიკის შესახებ სამხრეთ კავკასიაში და თუ რას უნდა ველოდოთ მომავალში, მანამდე აღსანიშნავია რუსეთის როლი აშშ-სა და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობებში, ასევე მათი ინტერესების საწყისები და განვითარების დინამიკა. ცივი ომის დასრულებამდე აშშ სამხრეთ კავკასიის რეგიონს განიხილავდა მხოლოდ რუსეთის გავლენის სფეროდ. აღნიშნული ხედვა შეიცვალა სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების მიერ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. აშშ-ს ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში წარმოადგენდა როგორც პოლიტიკური, ასევე ენერგეტიკული მიმართულებები. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რეგიონის ქვეყნებმა აშშ-სთან ჩამოაყალიბეს ინდივიდუალურ პოლიტიკა; მაგალითად, საქართველო აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორი გახდა, ხოლო აზერბაიჯანს ვაშინგტონის მიმართ კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი უსაფრთხოების გარანტიად რუსეთს განიხილავდა, მაინც სომხეთმა ამერიკასთან შეინარჩუნა კარგი ურთიერთობა.¹ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ურთიერთობა გაგრძელდა ობამას პრეზიდენტობამდე.

ობამას პრეზიდენტობის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში საგრძნობლად შეამცირა პოლიტიკური ინტერესები. დიდი ალბათობით ეს გამოწვეული იყო რუსეთთან ურთიერთობის დალაგების, ეგრეთ წოდებული „გადატვირთვის პოლიტიკით“ (აღნიშნული პოლიტიკა გატარდა ობამას პრეზიდენტობის დროს).² წარსულთან პარალელს თუ გავავლებთ, დაახლოებით ისეთი პოლიტიკა განმეორდა, როგორც იყო „დეტანტის“ პოლიტიკა (საბჭოთა კავშირთან დათბობის პოლიტიკა, დაიწყო ნიქსონის პერიოდში და დამთავრდა რეიგანის პრეზიდენტობის დროს).³ აქაც აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორივე: დეტანტის პოლიტიკა (საბჭოთა კავშირთან) და „გადატვირთვის“ პოლიტიკა (რუსეთთან), მოსკოვმა აღიქვა, როგორც დასავლეთის სისუსტე, ხოლო თავისი თავი, როგორც ძლიერი და ანგარიშგასაწევი სუბიექტი. ორივე პოლიტიკის დასასრულად მიჩნეულია საბჭოთა კავშირის ავღანეთში 1979 წელს და რუსეთის უკრაინაში 2014 წელს განხორციელებული ინტერვენცია. თუმცა, მათი ურთიერთობის შემდგომი განვითარება ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება. რეიგანის გაპრეზიდენტების შემდეგ, აშშ-მა გააცნობიერა, რომ საბჭოთა კავშირთან დათბობის პოლიტიკა არ იყო ეფექტური, პირიქით მათ მიიღეს უკუშედეგი. აშშ-მა „დათბობის“ პოლიტიკა შეცვალა „კონფრონტაციის“ პოლიტიკით. რეიგანის მიზანი იყო არანაირი დათმობა! მხოლოდ ერთ მხარეს გამარჯვება და ეს ერთი მხარე აშშ უნდა ყოფილიყო.

შეიძლება ითქვას, რომ კონფრონტაციის პოლიტიკის გატარებამ საბჭოთა კავშირის მიმართ გაამართლა, რადგან რეიგანმა მიზანს მიაღწია - საბჭოთა კავშირი დაიშალა 1991 წელს. როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა რეგიონში ინტერესი აშშ-ის მხრიდან, თუმცა ამერიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონს კვლავ განიხილავდა, როგორც რუსეთის უკანა ეზოს. სამაგიეროდ, სულ სხვა ვითარებაში აღმოჩნდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, აშშ-მა და ევროკავშირმა ისარგებლეს რუსეთის სისუსტით (შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები) და მოახერხეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწევრიანებით ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არა/ვერ მოახერხა დესტაბილიზაციის შექმნა, თუმცა კარგად გამოუვიდა სამხრეთ კავკასიაში. მოსკოვმა მოახდინა დესტაბილიზაცია როგორც საქართველოში (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი), ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანში (მთიანი ყარაბაღი). აღნიშნული ქმედებით, ნატოს მე - 5 მუხლის გათვალისწინებით, სამხრეთ კავკასიის ვერცერთი სახელმწიფო ვერ გახდებოდა ნატოს წევრი თუ არ მოაგვარებდა ტერიტორიული მთლიანობის საკითხს. აქედან გამომდინარე, ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის გარკვეული პერიოდით არ განიხილებოდა.

დავუბრუნდეთ რუსეთის 2014 წლის უკრაინაში ინტერვენციას და განვიხილოთ რეიგანის პოლიტიკისგან განსხვავებით, თუ რა რეაგირება მოყვა დასავლეთის მხრიდან ამ ფაქტს. ამ შემთხვევაში დასავლეთმა რუსეთს დაუწესა სანქციები, თუმცა უმნიშვნელოდ. რადგან ევროპამ გააგრძელა ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან, აღნიშნულ პოლიტიკას ეწოდა „არ გაღიზიანების პოლიტიკა“. რუსეთი კვლავ აღმოჩნდა თითქოს და ტაქტიკურად მომგებიან პოზიციაზე. მიუხედავად აშშ-ს მხრიდან რუსეთის მიმართ დათმობის პოლიტიკის გატარებისა, რწმენა იმისა, რომ რუსეთი გახდებოდა დემოკრატიული სახელმწიფო, მცდარი აღმოჩნდა. ამასთან, რუსეთი მუდამ ახდენდა დასავლეთის მანიპულირებას ენერგორესურსებით (განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში). ამერიკელმა ჟურნალისტმა პიტერ ბეიკერმა, რომელიც ჯერ „ვაშინგტონ პოსტისთვის“ და შემდეგ „ნიუ იორკ ტაიმსისთვის“ აშუქებდა თეთრ სახლს, რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუს დროს განაცხადა: „აშშ-ის ხუთივე პრეზიდენტის მთავარი შეცდომა, რომელთაც რუსეთის პრეზიდენტთან მოუწიათ ურთიერთობა, იყო იმედი და უფრო

1 “პირობითი ჩართულობა აშშ-ის საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში | ჰაინრიკ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.”

2 “U.S.-Russia Relations.”

3 Editors, “Détente.”

სწორად მცდარი რწმენა, რომ შეეძლოთ პუტინი მეგობრად ჰყოლოდათ”.⁴

ამასთანავე, დასავლეთი, არგალიზიანების პოლიტიკის პარალელურად, აწარმოებდა მოლაპარაკებებს საქართველოსთან და უკრაინასთან ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ, გამოწვევის სახით ნატოს მე-5 მუხლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე დროებით არ გავრცელების პირობით.⁵ აღნიშნული, როგორც გამოიკვეთა, რუსეთისთვის აღმოჩნდა წითელი ხაზი, მან 2022 წელს დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის მიმართ. აღნიშნული ომი, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთისთვის არის დიდი შეცდომა, რადგან დიდი ალბათობით ეს ომი მისთვის იქნება მეორე „ავღანეთი“. როგორც საბჭოთა კავშირი დაიშალა ავღანეთში შეჭრის შემდეგ, გამოიფიტა ეკონომიკურად და ამით ისარგებლეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა და გახდნენ ევროატლანტიკური ორგანიზაციის წევრები, ასევე გამოიფიტება რუსეთი უკრაინაში და **დასავლეთის მხრიდან სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური ურთიერთობა გაღრმავდება ევროატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების პერსპექტივით.**

ძირითადი ნაწილი

თუ რატომ გაღრმავდება პოლიტიკური ურთიერთობა სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის მხრიდან, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მდებარეობა და მისი სატრანზიტო პოტენციალი. როგორც აღინიშნა, რუსეთ-უკრაინის 2022 წლის ომამდე სამხრეთ კავკასიაში შეერთებულ შტატებს გააჩნდა მნიშვნელოვანი, თუმცა არა სასიცოცხლო ინტერესები, რაც მოიცავდა რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნებას, გაყინული კონფლიქტების განახლების პრევენციას, დემოკრატიული ცვლილებებისა და უკეთესი მმართველობის, ასევე სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციის მხარდაჭერას.⁶ საერთო ჯამში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აშშ-ის ჩართულობამ სამხრეთ კავკასიაში ხელი შეუწყო მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას რეგიონში, განსაკუთრებით საქართველოში. მაგალითის სახით აღსანიშნავია 2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, როდესაც საქართველოს მიენიჭა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პაკეტი(SNGP). აღნიშნული უპირველესად მოიცავდა 13 ინიციატივას და მის მიზანს წარმოადგენდა ნატოში გაწევრიანების მომზადების პროცესის მხარდაჭერა. აღნიშნული პაკეტი განიცდის პერმანენტულ განახლებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის თავდაცვის გაუმჯობესების, ლოგისტიკური შესაძლებლობების განვითარების, კიბერთავდაცვის, სტრატეგიული კომუნიკაციების, კრიზისების მართვის და სხვა მიმართულებებით.⁷ მსგავსი ტიპის დახმარებები და პაკეტები ასევე არის გათვალისწინებული რეგიონის დანარჩენი სახელმწიფოების მიმართ.

ზემოაღნიშნული აშშ-ს მიდგომა სამხრეთ კავკასიის მიმართ, უპირველესად მიმართულია საქართველოს ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანების მხარდაჭერისკენ. თუმცა, ამავდროულად, ემსახურება რეგიონში უსაფრთხოების შენარჩუნებას. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს შუა დერეფნის შეფერხების გარეშე ფუნქციონირებას და კასპის ზღვის აუზში არსებული ენერგორესურსების დივერსიფიკაციას აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით ევროპაში. ვაშინგტონის ინტერესში მუდამ იყო კასპის ზღვის აუზის ენერგორესურსები. იგი 2016 წელს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ განხილვის საგანს წარმოადგენდა. იყო ვარაუდი, რომ კასპის ენერგორესურსებს შეეძლოთ შეემცირებინათ ევროპის დამოკიდებულება რუსულ ენერგეტიკულ იმპორტზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საკითხს იმ პერიოდისთვის არ მოჰყოლია დიდი ინტერესი, რადგან პროექტს არ გამოუჩნდა სპონსორი, რომელიც გამოყოფდა შესაბამის რესურსებს ადეკვატური ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

ევროპა იმ პერიოდში ძლიერად იყო დამოკიდებული რუსეთზე - 2016 წელს ევროკავშირის მიერ რუსეთის გაზის მოხმარება 34 პროცენტს შეადგენდა. ევროპა ფიქრობდა, რომ მართალია მნიშვნელოვანი ცვლილებები არის გასაკეთებელი მათ ენერგომომარაგებაში, თუმცა კასპის რეგიონს არ ჰქონდა რესურსი შესაბამისი ცვლილების განსახორციელებლად. აქედან გამომდინარე, იმ პერიოდში, რუსეთსა და ევროპას შორის დაიწყო ახალი მილსადენების მშენებლობის მოლაპარაკებები (ჩრდილოეთ ნაკადი 2).⁸ თუმცა, უკვე 2022 წლის რუსეთის უკრაინაში ინტერვენციის შემდეგ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა, შეიძლება ითქვას, რომ უბრალოდ დაჩქარდა პროცესი, რადგან ინტერესი სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის მხრიდან ადრე თუ გვიან მაინც გაიზრდება.

რაც შეეხება რუსეთის ფართომასშტაბიან სამხედრო კამპანიას უკრაინის მიმართ, როგორც გამოიკვეთა, იყო რუსეთის მხრიდან წითელი ხაზის გადაკვეთა. მსოფლიოს უმეტესი სახელმწიფოები უმოკლეს დროში, მათ შორის, აშშ და ევროპის უმეტესი ნაწილი გაერთიანდნენ რუსეთის წინააღმდეგ და მას დაუწესეს სანქციები. სანქციების სერიაში, რა თქმა უნდა, მოხვდნენ ზემოთ აღნიშნული ევროპასთან მანამდე გაფორმებული ენერგო მაგისტრალები (ჩრდილოეთ ნაკადი 1 და 2). აღნიშნული ცხადყოფს, რომ დასავლეთმა გაანალიზა რუსეთთან ურთიერთობა, მისი მხრიდან მუდმივი ენერგომანიპულირების წნეხი და დიდი ალბათობით მათ სამუდამოდ გადაწყვიტეს ეთქვათ უარი რუსულ ენერგორესურსებზე.

დასავლეთის უარმა რუსულ ენერგორესურსებზე, რუსეთში მალევე გამოიწვია უარყოფითი

4 “პიტერ ბეიკერი: “ზაიდენმა ცხადყო, რომ რუსეთის მარცხი უკრაინაში აშშ-ის მთავარი პრიორიტეტია”.”

5 Nikoladze, “NATO.”

6 Stronski, “U.S. Policy Toward the South Caucasus.”

7 “Substantial NATO-Georgia Package - MOD.GOV.GE.”

8 Stronski, “U.S. Policy Toward the South Caucasus.”

შედეგები. 2023 წელს რუსეთის გაზის ინდუსტრია ისტორიაში ყველაზე დაბალ ნიშნულზეა და ფაქტიურად „გაზპრომის“ გაყიდვები სსრკ-ს დონემდე დაეცა. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ გაზპრომის მუშაობის სტატისტიკა ადრე თვეში ორჯერ ქვეყნდებოდა, თუმცა ეს პრაქტიკა 2023 წლის დასაწყისში შეწყდა. დიდი ალბათობით, რუსეთის ხელისუფლებას სურს დამალოს კოლაფსის რეალური ზომა კომპანიის საქმიანობაში. ბოლო დროს გაზპრომმა მონაცემები 2022 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში წარადგინა: მათ აჩვენეს, რომ წლის ბოლო თვის 2 კვირაში გაზის წარმოება წლიურად 24%-ით შემცირდა, ექსპორტი კი 60%-ით. ამავდროულად, მიწოდებამ თურქეთსა და ევროპის ქვეყნებში შეადგინა მხოლოდ 85 მილიარდი კუბური მეტრი და გახდა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რუსეთის ფედერაციის თანამედროვე ისტორიაში. შედარებისთვის: ყოველწლიურად 70-110 მილიარდი კუბური მეტრი ექსპორტი იყო 1985-1991 წლებში, როდესაც სსრკ დაიშალა. საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტოს ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ მომავალ წელს რუსეთის ექსპორტი ევროპასა და თურქეთში შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს - 60 მილიარდ კუბურ მეტრამდე, რაც ყველაზე დაბალი დონე იქნება 1980-1985 წლების შემდეგ. საბჭოთა კავშირის სიცოცხლის ბოლო წლებში ქვეყნის სავალუტო შემოსავალი საგრძნობლად შემცირდა, რაც გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ მსგავსი ბედი შესაძლოა მალე დაემართოს რუსეთს.⁹

ევროპამ რუსულ ენერგო რესურსებზე დამოკიდებულების შემცირების ფონზე, დაიწყო ალტერნატიული ენერგორესურსების მოძიება. მათ რუსული ენერგორესურსების უდიდესი ნაწილი ჩაანაცვლეს ამერიკის შეერთებული შტატების ენერგორესურსებით.¹⁰ პარალელურად ევროპაში გაიზარდა სამხრეთ კავკასიის გავლით, კასპიის ზღვის აუზიდან ენერგოტრანზიტი როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ასევე ბაქო-თბილისი-ერზრუმის და ფოთის მიმართულებებით. მომავალში დაგეგმილია აღნიშნული მარშრუტებზე გაზისა და ნავთობის მოცულობის ეტაპობრივად გაზრდა, ევროპის რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით. 2022 წელს ურსულა ფონ დერ ლაიენმა აზერბაიჯანში გამართულ პრესკონფერენციაზე ხაზი გაუსვა კასპიის ზღვის აუზის ენერგო რესურსებს და აზერბაიჯანის როლს ამ საქმეში. მისი თქმით, ევროკავშირმა გადაწყვიტა „დივერსიფიცირება მოახდინოს რუსეთისგან და ძალისხმევა მიემართოს უფრო სანდო პარტნიორებისკენ, მათ შორის აზერბაიჯანის ჩათვლით. თქვენ [აზერბაიჯანი] ნამდვილად ხართ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პარტნიორი და ყოველთვის იყავით სანდო“.¹¹ გარდა ამისა, 2022 წლის 18 დეკემბერს რუმინეთმა, უნგრეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის შესახებ კასპიის ზონიდან რუმინეთში ელექტროენერჯის ტრანსპორტირებისთვის. ხელმოწერის ცერემონიაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „აზერბაიჯანს სჭირდება გასასვლელი იმ უზარმაზარი რესურსებისთვის, რაც მას აქვს. დღეს ჩვენ ვიწყებთ ახალი „ხიდის“ მშენებლობას აზერბაიჯანიდან ევროპაში. აზერბაიჯანი გახდება ევროპისთვის ელექტროენერჯის, განსაკუთრებით მწვანე ენერჯის მნიშვნელოვანი მიმწოდებელი“.¹²

ბოლოს ასევე აღსანიშნავია 26-27 ოქტომბერს თბილისში გამართული „აბრეშუმის გზის“ ფორუმი, რომელიც რიგით მეოთხე იყო და მასში მონაწილეობა მიიღეს მაღალი რანგის პოლიტიკოსებმა, მათ შორის აზერბაიჯანის, სომხეთის და მონტენეგროს პრემიერ - მინისტრებმა, ფორუმში ჩართული იყო სამოცზე მეტი სახელმწიფო და 2.000 მდე დელეგატი: „ფორუმის მთავარი თემები იყო „დაკავშირებადობა“ და „შუა დერეფნის“ მზარდი როლი. ასევე გაიმართა პანელური დისკუსიები სატრანსპორტო-ლოგისტიკური კავშირების განვითარებაზე, ფინანსურ სექტორზე, ენერგეტიკაზე, ტურიზმზე, ტექნოლოგიებსა და სხვა საკითხებზე. რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ „აბრეშუმის გზა“ სულ უფრო მიმზიდველი ალტერნატივა ხდება როგორც აზიური, ისე ევროპული ქვეყნებისთვის, რამეთუ ეს მარშრუტი სწორედ ამ ორ კონტინენტს აკავშირებს, ფაქტობრივად, შუაში მყოფ საქართველოს კი სტრატეგიული მდებარეობა გამოარჩევს“.¹³ აქვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ფორუმს ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი რანგის პოლიტიკოსები. როგორც საქართველოს პარლამენტარმა ნიკოლოზ სამხარაძემ აღნიშნა, აშშ-ის დელეგატების მიერ ფორუმის შეხვედრის თემები და შედეგები დადებითად იქნა შეფასებული.

თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომელიც კასპიის აუზის ენერგორესურსების დივერსიფიცირებას ევროპაში ეჭვქვეშ აყენებს. მაგალითად, რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებამ შესაძლოა შუა დერეფნის განვითარების პერსპექტივას შეუქმნას საფრთხე, რადგან ევროპა სავარაუდოთ უკან დაუბრუნდება რუსეთის ენერგორესურსების ათვისებას. აღნიშნული ნაკლებად სავარაუდოა, რადგან უპირველესად დასავლეთი ამას აღარ დაუშვებს, გამომდინარე მისი რუსეთთან არასასურველი წარსული გამოცდილებიდან. მეორე, ომის დამთავრების შემდეგ, მარტივი არ იქნება რუსეთის და უკრაინის, მათ შორის დასავლეთის ურთიერთობების დათბობა. გარდა ამისა, შუა დერეფანი არა მარტო ენერგორესურსების უზრუნველყოფისათვის იქნება გათვალისწინებული, არამედ შუა აზიიდან ტვირთების ტრანზიტის სახით უკრაინის ეკონომიკის ხელახალი აღორძინებისთვისაც.¹⁴ ეს კი ნიშნავს წლების

9 Dialog.ua, “Продажи ‘Газпрома’ рухнули до уровня СССР перед его развалом.”

10 Nagarajan, “The US Will Emerge as the World’s Largest Natural-Gas Exporter This Year, a Top Energy Market Historian Says.”

11 “Azerbaijan, EU Sign New Energy Partnership Deal to Increase Gas Supplies to Europe.”

12 Network, “Quadrilateral Agreement Inked on Black Sea Electric Cable.”

13 ჩაკვეტაძე, “თბილისის „აბრეშუმის გზის ფორუმის“ შედეგები | ყველაფერი, რაც უნდა იცოდეთ, Forbes Georgia.”

14 “ჭარაია - შუა დერეფანი გვამღევს საშუალებას როგორც ეკონომიკურად მივიღოთ შემოსავალი, ასევე ჩვენი როლი დავანახოთ ევროპას.”

განმავლობაში შუა დერეფნის შენარჩუნებას და საბოლოოდ განვითარებას. აქედან გამომდინარე, საჭირო იქნება შუა დერეფნის განვითარება და დაცვა, რომელიც თავისთავად უზრუნველყოფს რეგიონში უსაფრთხო გარემოს შექმნას. ამ ვითარების პარალელურად, რუსეთი კვლავ შეეცდება რეგიონში დესტაბილიზაციის შექმნას, თუმცა აქ გადაიკვეთება დასავლეთის და რუსეთის ინტერესები. დიდი ალბათობით რუსეთი ვერ შეძლებს ხელის შეშლას და თავისი მიზნების მიღწევას რეგიონში. თავის მხრივ აშშ შეინარჩუნებს და გააძლიერებს გავლენებს სამხრეთ კავკასიაში.

შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორია რუსეთის საზღვრებთან მიახლოება და სამხრეთის მიმართულეებიდან მისი იზოლირება, ფაქტიურად ზღვაში გასვლის მოქმედებების შეზღუდვა. რუსეთის 2022 წლის ინტერვენციის თავდაპირველი სტრატეგია მიზნად ისახავდა 4 დღეში კიევის აღებას, თუმცა ამ გეგმამ კრაზი განიცადა. შემდეგ მოსკოვმა შეუმუშავა ისეთი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ინტენსიური საბრძოლო მოქმედებებით „გადაღლას“ როგორც უკრაინის, ასევე დასავლეთის მხრიდან, მეორენაირად რომ აღინიშნოს - უკრაინის და მისი მოკავშირეების გამოფიტვას. თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოფიტვის სტრატეგია მოითხოვს დიდ რესურსს და გამძლეობას. დიდი ალბათობით, რუსეთს გაუჭირდება ომის ხანგრძლივი პერიოდით განხორციელება, მითუმეტეს აქტიური საბრძოლო მოქმედებებით.

რუსეთი ვერ შეძლებს გამოფიტვის სტრატეგიის აღსრულებას, გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთი უპრეცედენტოდ სანქცირებულია და მას არ შესწევს ახალი ტექნოლოგიური შეიარაღების თუ სისტემების წარმოება ქვეყანაში. იგი შეეცდება დასავლეთის მაღალტექნოლოგიურ შეიარაღებას დაუპირისპიროს არსებული მოძველებული ტექნიკის და საბრძოლო მასალის რაოდენობრივი უპირატესობა, რომელიც სავარაუდოდ არაეფექტური იქნება. რაც შეეხება დახმარებას, იგი მხარდაჭერას მიმდინარე ეტაპისთვის იღებს ირანიდან (უპილოტო საფრენი აპარატები) და ჩრდილოეთ კორეიდან. სავარაუდოდ, აღნიშნული დახმარება სტრატეგიულ ცვლილებას საბრძოლო მოქმედებებში ნაკლებად შეიტანს, რადგან რუსეთის მოკავშირე ზემოაღნიშნული ქვეყნებიც დასანქცირებულები არიან და მათ, ამასთანავე, არ აქვთ წვდომა მაღალ ტექნოლოგიებთან.

რაც შეეხება უკრაინას, შეიძლება ითქვას, რომ მისთვის უფრო მისაღებია გამოფიტვის სტრატეგია, რადგან უკრაინას ფაქტიურად ომის დაწყებიდანვე დასავლეთი აქტიურად აწვდის მაღალი ტექნოლოგიების შეიარაღებას, მართალია ეტაპობრივად, თუმცა ყველა ტიპის, მათ შორის შეტევითი ხასიათისა (მაგ. ჰაიმარსები). ეტაპობრივად შეიარაღების მიცემას დასავლეთიდან უკრაინაში ყავს მოწინააღმდეგეები. უკანასკნელები დასავლეთის მხრიდან გაჭიანურებულად შეიარაღების უკრაინისთვის გადაცემას უარყოფითად აფასებენ. თუმცა აღნიშნულ პოლიტიკას დასავლეთის მხრიდან აქვს გამართლება. რადგან, იმ შემთხვევაში თუ დასავლეთი ომის დაწყებიდანვე რამდენიმე თვეში მისცემდა ერთდროულად ყველა იმ შეიარაღებას, რაც 1 წლის განმავლობაში მიუცია უკრაინისთვის, დიდი ალბათობით გამოიწვევდა რუსეთის პროვოცირებას და შესაძლოა კონფლიქტი გადასულიყო უფრო ფართო, ბირთულ დაპირისპირებაში. აღნიშნულ საკითხზე ასევე ისაუბრა პიტერ ბეიკერმა, იგი ხაზს უსვამს ბაიდენის სიმტკიცეს უკრაინის მიმართ. ასევე აღნიშნავს, რომ მისი დამსახურებაა უკრაინის საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ალიანსის ერთიანობის და საშინაო კონსენსუსის შენარჩუნება. თუმცა აქვე იგი განმარტავს, თუ რატომ დააწესა ბაიდენმა გარკვეული საზღვრები და რატომ არ აკეთებს ყველაფერს უკრაინისთვის რასაც იგი სთხოვს. ეს არის კონფრონტაციის თავიდან აცილება, ისეთი ბალანსის შენარჩუნება, როდესაც ერთდროულად უკრაინა მოახერხებს შეტევის მოგერიებას და ამასთანავე თავიდან იქნება აცილებული ბირთული საფრთხე. მართალია, უკრაინელები ხშირად უკმაყოფილოები არიან შეიარაღების გადაცემაზე, თუმცა ბაიდენმა ცხადყო, რომ რუსეთის მარცხი უკრაინაში ამერიკისთვის მთავარი პრიორიტეტია.¹⁵

მაგალითად, 2023 წლის დასაწყისისთვის დასავლეთი არ განიხილავდა საფრენი აპარატების F-16-ის გადაცემას უკრაინისთვის. უფრო მოგვიანებით, მსგავსად F-16, ასევე არ განიხილებოდა გერმანული ტანკების „ლეოპარდების“ გადაცემა.¹⁶ თუმცა მოგვიანებით, უკრაინამ მიიღო ლეოპარდის ტიპის ტანკები. აქედან გამომდინარე, არის ვარაუდი, რომ მსგავსად ლეოპარდებისა, დადგება შესაბამისი პერიოდი, როდესაც უკრაინა ასევე მიიღებს F-16 -საც F 36-თან ერთად.

F-16-ის არ გადაცემის გადაწყვეტილებაზე განცხადება გაავრცელა 2023 წელს მაშინდელმა უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ალექსეი რეზნიკოვმა, მან აღნიშნა: „დახმარების ყველა სახეობას გაუვლია „არა“-ს ეტაპი. ეს ნიშნავს „არა“-ს დღეის მდგომარეობით.“ მინისტრმა აღნიშნა, რომ „არა“-ს შემდეგ ტექნიკური შესაძლებლობების განხილვა იწყებოდა, შემდეგ - ეკიპაჟების მომზადება და, შედეგად, ამა თუ იმ სისტემების გადაცემა. ასე იყო HIMARS-თან, 155 მმ არტილერიასთან, იგივე Bradley-სთან. გერმანულ Leopard-ებთანაც თავდაპირველად „არა“ იყო, ახლა კი სატანკო კოალიცია გვაქვს. ამიტომ მე მჯერა შემდეგი თვითმფრინავების კოალიციის“- განაცხადა მინისტრმა.¹⁷

აღნიშნული მომარაგების არტერია, საიდანაც მუდმივად იღებს უკრაინა შეიარაღებას, უსაფრთხოა. ამას ცხადყოფს ის, რომ რუსეთმა ერთი წლის შემდეგაც ვერ მოახერხა მისი ბლოკირება. სავარაუდოდ, რუსეთი ნაკლებად მოახერხებს დასავლეთიდან პოლონეთის გავლით მომარაგების მთავარი მარშრუტის არათუ ბლოკირებას, არამედ შეზღუდვასაც კი. აქედან გამომდინარე, გამოფიტვის სტრატეგია დიდი ალბათობით უარყოფითად აისახება რუსეთზე. ხოლო, მართალია დიდი ფასის სანაცვლოდ (ცოცხალი

15 “პიტერ ბეიკერი, “ბაიდენმა ცხადყო, რომ რუსეთის მარცხი უკრაინაში აშშ-ის მთავარი პრიორიტეტია.”

16 “Ukraine Will Get German Leopards Earlier than US Abrams, White House Says.”

17 “ოლექსი რეზნიკოვი F-16-ებზე - დახმარების ყველა სახეობას გაუვლია ‘არა’-ს ეტაპი, ეს ნიშნავს ‘არა’-ს დღეის მდგომარეობით.”

ძალა და სამოქალაქო მსხვერპლი), თუმცა საბოლოოდ დადებითად იმოქმედებს უკრაინაზე. ძნელია ომის დამთავრების კონკრეტული თარიღის დასახელება, სამაგიეროდ, დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი საგრძნობლად დასუსტდება და საბოლოოდ გამოიფიტება, აღნიშნული კი იქნება ომის დასრულების საწინდარი.

ომის დასრულება, ისე რომ რუსეთს მოუწევს თავისი შეიარაღებული ძალების გაყვანა უკრაინის ტერიტორიიდან, ასევე მოლდოვადან, საქართველოდან და ყარაბაგიდან. აღნიშნულ საკითხზე ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმა ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთი გაჩერებას არ აპირებს, მან სთქვა: „უკრაინის შემდეგ ჩვენ გავანეიტრალებთ რუსეთის შემდგომი აგრესიის საფრთხეს საქართველოში, მოლდოვაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, მთელ აღმოსავლეთ ევროპაში“.¹⁸ ამ სცენარის განვითარების შემთხვევაში აღნიშნული სახელმწიფოებისთვის შეიქმნება ევროატლანტიკური ორგანიზაციებში გაწევრიანების რეალური პერსპექტივა ე.წ. „შესაძლებლობის ფანჯარა“. სხვა კუთხიდან რომ აღვნიშნოთ, ეს იქნება ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების უდიდესი მეორე ტალღა 2004-2006 წლების შემდეგ. როგორც ისარგებლეს რუსეთის სისუსტით 2000 წლების დასაწყისში დასავლეთმა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა და მათ მოახდინეს ორგანიზაციების უპრეცედენტო გაფართოება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწევრიანებით, ასევე ისარგებლებენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, მათ შორის უკრაინა, მოლდოვა და სავარაუდოდ გახდებიან ევროატლანტიკური ორგანიზაციის ღირსეული წევრები.

აღნიშნულით რუსეთი მოექცევა სამხრეთიდან ნატოს რკალში, რითაც რუსეთს შეეზღუდება ზღვაზე მოქმედების თავისუფლება. შესაბამისად, რუსეთი ფაქტიურად გარდაიქმნება კონტინენტურ სახელმწიფოდ, უფრო სწორედ კონტინენტურ იმპერიად. იმპერიას კი საციცოცხლოდ ესაჭიროება ზღვა, რადგან ზღვა არის იმპერიის „ფილტვები“. აქედან გამომდინარე იმპერია, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ ექნება, განწირულია კრახისათვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი თუ რატომაც გაღრმავდება აშშ-ს და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობა, არის ირანია. აშშ-ს და ირანის ინტერესები იკვეთება. აშშ-ს ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიზანია ირანის შეკავება ან, თუ ეს შესაძლებელია, იზოლირება (მას თურქეთზე, აშშ-ს სტრატეგიულ მოკავშირესა და ნატოს წევრზე დამოკიდებულს გახდის).¹⁹ რეგიონში დასავლეთის ინტერესების გაზრდით, ერთი მხრივ, შემცირდება რუსეთის გავლენა სამხრეთ კავკასიაში და მეორეს მხრივ, ნატო მიუახლოვდება ირანის საზღვრებს. ამისათვის საჭიროა ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება, მისი გადაჭრით დამყარდება სომხურ-აზერბაიჯანული და თურქული ურთიერთობები. რაც მთავარია, ფუნქციას დაკარგავს სომხეთში რუსული შეიარაღებული ძალების ყოფნა. გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში რუსეთის გავლენის შესამცირებლად აუცილებელია რეგიონში არსებული ყველა კონფლიქტის მოგვარება, ამასთანავე სომხეთ-თურქული ურთიერთობების გაღრმავება, რათა შეერთებულმა შტატებმა შეძლოს „მოიპოვოს რეგიონული გავლენა და სამხრეთ კავკასიაში შევიდეს ექსკლუზიურად თურქეთის კარიბჭით“.²⁰ ამ ეტაპისთვის შეიძლება ითქვას, რომ ყარაბაღის კონფლიქტი, დიდი ალბათობით, დარეგულირებულია. 2023 წელს აზერბაიჯანმა 29 წლიანი კონფლიქტი 24 საათში, 20 სექტემბერს გადაწყვიტა, აღნიშნულს მედიასამუალებებმა უწოდეს „ყველაზე სწრაფი ომი მსოფლიოში“.²¹ დღესდღეობით აზერბაიჯანი სრულად აკონტროლებს ყარაბაღს. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და ევროკავშირისთვის მთავარია ყარაბაღის კონფლიქტის ყოვლისმომცველი და გრძელვადიანი გადაწყვეტა, რასაც ჩვეულებრივ ამერიკელი ოფიციალური პირები ხშირად ხაზს უსვამენ.

სომხეთის ხელისულებამ ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ, 2020 წელს, დიდი ალბათობით გადახედა საგარეო პოლიტიკას, რადგან რუსეთმა ვერ უზრუნველყო მისი უსაფრთხოების დაცვა. მათ დაიწყეს აქტიურად, ალტერნატიულ პარტნიორებთან კომუნიკაცია დასავლეთში. სხვადასხვა საკითხთან მიმართებით კავშირები სომხეთსა და დასავლეთს შორის მანამდეც იყო - მაგალითად, სომხეთის შეიარაღებული ძალები ავღანეთის რესპუბლიკაში ნატოს ეგიდით ხშირად იღებდნენ მონაწილეობას, თუმცა რუსეთის მიმართ არ გაღიზიანების პოლიტიკასაც ითვალისწინებდნენ. ყველაფერი მალევე რადიკალურად შეიცვალა. ამის ნათელი მაგალითია 2022 წელს სომხეთში გამართული რუსეთის ხელმძღვანელობით სამხედრო ბლოკის - კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ლიდერების სამიტის შედეგები. პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა უარი თქვა დეკლარაციის ხელმოწერაზე, რომელიც ითვალისწინებდა ერევანში სომხეთისთვის თავდაცვითი დახმარების გაწევის შესახებ შეთანხმებას.²² ასევე, 2022 წელს სომხეთმა უარი თქვა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო წვრთნების მასპინძლობაზე, რომელიც უნდა ჩატარებულიყო რუსეთის ხელმძღვანელობით.²³ აღნიშნული ასახავს ერევნის მზარდ დამაბულობას მოსკოვთან.

სამაგიეროდ, სომხეთმა ნატოს ძალებს დართო ნება ჩატარებინათ სამხედრო წვრთნები. 2023 წლის 10-20 სექტემბერს სომხეთში ჩატარდა სამშვიდობო სწავლება „Eagle Partner 2023“.²⁴ ნატოს განცხადებით,

18 “A Conversation with Boris Johnson.”

19 Stronski, “U.S. Policy Toward the South Caucasus.”

20 Stronski.

21 “ყველაზე სწრაფი ომი მსოფლიოში - ალიევმა 24 საათში ყარაბაღის 29-წლიანი პრობლემა საბოლოოდ გადაწყვიტა?”

22 “Pashinyan Refuses to Sign CSTO Declaration after Bloc’s Failure to Help Armenia.”

23 “Armenia Cancels Military Drills of Russian-Led Alliance.”

24 Armenia, “Eagle Partner Exercise Builds Upon Longstanding U.S.-Armenian Security Cooperation.”

აღნიშნული წვრთნები არის სომხეთთან მათი ხანგრძლივი პარტნიორობის დასტური და ეფუძნება ათწლეულების განმავლობაში წარმატებულ სამშვიდობო და უსაფრთხოების თანამშრომლობას. მომავალში დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ სომხეთი გააგრძელებს მსგავსი ტიპის პარტნიორობას დასავლეთთან და მას სანდო პარტნიორად განიხილავენ. აქედან გამომდინარე, აშშ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მჭიდრო სტრატეგიული პოლიტიკური ურთიერთობის ჩამოყალიბებით მიუახლოვდება, როგორც რუსეთის საზღვარს, ასევე ირანის. ეს კი ნიშნავს, ერთის მხრივ რუსეთის და ირანის ერთმანეთთან კავშირის შეზღუდვას, ხოლო მეორეს მხრივ, მათი გავლენების შემცირებას რეგიონში.

დასკვნა

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები მომავალში უფრო გაღრმავდება და გაძლიერდება სამხრეთ კავკასიის მიმართ. თუ საბჭოთა კავშირის დაშლამდე აშშ რეგიონს განიხილავდა, როგორც რუსეთის უკანა ეზოს, დღევანდელი გეოპოლიტიკური ცვლილებებიდან გამომდინარე, სხვა ვითარებაა. აშშ-ს ინტერესები რეგიონში არსებული სახელმწიფოების მიმართ მართალია ამ ეტაპისთვისაც ინდივიდუალურია, თუმცა საგრძნობლად გაზრდილია.

ამასთანავე, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აშშ-ს მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა რუსეთის მიმართ, პირდაპირ კავშირშია და გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიის რეგიონში დასავლეთის ინტერესებზე. როდესაც აშშ-ს პოლიტიკა იყო შერბილებული რუსეთის (საბჭოთა კავშირის) მიმართ, მაგალითად, როგორც იყო „დეტანტის“ ან „გადატვირთვის“ პოლიტიკა, ამ შემთხვევაში სამხრეთ რეგიონში ინტერესები აშშ-ს მხრიდან მცირდებოდა. ხოლო, როდესაც აშშ ატარებდა უკომპრომისო პოლიტიკას, როგორც იყო „კონფრონტაციის“ ან „არ დათმობის“ პოლიტიკა რუსეთის მიმართ, ამ პერიოდში პარალელურად იზრდებოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში აშშ-ს ინტერესები. დღეს აშშ-ს მეთაურობს ისეთი პოლიტიკოსი, რომლის თანამდებობზე ყოფნის პერიოდმა გაიარა როგორც დათმობის, ასევე კონფრონტაციის პოლიტიკა. იმ წლიდან, როდესაც 1972 წელს 29 წლის ასაკში ბაიდენი აირჩიეს აშშ-ს სენატში, იგი გახდა მეხუთე ყველაზე ახალგაზრდა სენატორი ისტორიაში.²⁵ სენატორის თანამდებობიდან მოყოლებული აშშ-ს პრეზიდენტობამდე, ბაიდენი აშშ-ს პოლიტიკაში იკავებდა სხვადასხვა საკვანძო პოზიციებს. აქედან გამომდინარე, მან იცის, რომ რუსეთთან ურთიერთობა შედეგიანია მაშინ, თუ აშშ ატარებს კონფრონტაციის პოლიტიკას და არა დათმობის. შესაბამისად, აშშ-ს პრეზიდენტის ბაიდენის დღევანდელი პოლიტიკა რუსეთის მიმართ უკომპრომისოა. აღნიშნული დამოკიდებულება გაგრძელდება მანამდე, სანამ რუსეთი არ გამოიფიტება, ისე როგორც ავღანეთის ომში გამოიფიტა. რუსეთ-უკრაინის 2022 წლის ომი რუსეთისთვის დიდი ალბათობით იქნება მეორე ავღანეთი.

რუსეთმა 2000-იანების დასაწყისში ვერ შეძლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ხელი შეეშალა ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებისათვის. შესაბამისად, დასავლეთმა მოახერხა ნატოს და ევროკავშირის ორგანიზაციებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მასიური გაწევრიანება. დიდი ალბათობით, უკრაინაში ომის დასრულებისას, რუსეთი გამოიფიტება. იგი ვერ შეძლებს აშშ-ს ინტერესების ხელის შეშლას რეგიონში და პირიქით გაძლიერდება პოლიტიკური თანამშრომლობა აშშ-ს მხრიდან. აღნიშნულით შეუზღუდავენ რუსეთს ზღვაზე გასვლას, თავისუფალ მოქმედებას შავი ზღვის და სამხრეთ რეგიონში. ასევე დასავლეთი კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსების კავკასიის გავლით დივერსიფიკაციით, მოახდენს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირებას. ბოლოს შეუზღუდავენ ირანის და რუსეთის კავშირებს და გავლენებს რეგიონში. ზემოაღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან აშშ-ს ინტერესების შენარჩუნებას და გაღრმავებას, რაც საბოლოოდ მოემსახურება რეგიონის კეთილდღეობას და სამომავლოდ, ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანების პერსპექტივას. აქედან გამომდინარე, რეგიონის სახელმწიფოებისთვის ეს არის ის ე.წ. „შესაძლებლობის ფანჯარა“, რომელიც უნდა გამოიყენონ. მათ უნდა გააღრმავონ თავიანთი პოლიტიკური კავშირები დასავლეთთან, რადგან გლობალური გამოწვევების ფონზე, რეგიონის სტაბილურობის გარანტიას შესაძლოა მხოლოდ დასავლეთი წარმოადგენდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Al Jazeera “Armenia Cancels Military Drills of Russian-Led Alliance.” Accessed November 7, 2023. <https://www.aljazeera.com/news/2023/1/10/armenia-cancels-russian-led-military-drills-amid-conflict>.
- Armenia, U. S. Mission. “Eagle Partner Exercise Builds Upon Longstanding U.S.-Armenian Security Cooperation.” U.S. Embassy in Armenia, September 15, 2023. <https://am.usembassy.gov/eagle-partner/>.
- Atlantic Council. “A Conversation with Boris Johnson: Sustaining Support to Ukraine.” Accessed February 6, 2023. <https://www.atlanticcouncil.org/event/conversation-with-boris-johnson-sustaining-support-ukraine/>.
- “Azerbaijan, EU Sign New Energy Partnership Deal to Increase Gas Supplies to Europe.” Accessed February 6, 2023. <https://caspiannews.com/news-detail/azerbaijan-eu-sign-new-energy-partnership-deal-to-increase-gas-supplies-to-europe-2022-7-18-0/>.

Dialogb ua. “Продажи ‘Газпрома’ рухнули до уровня СССР перед его развалом: статистику экстренно

25 “Joe Biden | Biography, Family, Policies, & Facts | Britannica.”

- засекретили.” Диалог.UA. Accessed February 7, 2023. https://news.dialog.uahttps://news.dialog.ua/267383_1675601241.
- Editors, History.com. “Détente.” HISTORY, October 11, 2022. <https://www.history.com/topics/cold-war/detente>.
- Heinrich-Böll-Stiftung. “პირობითი ჩართულობა აშშ-ის საკმეიანობა სამხრეთ კავკასიაში | ჰაინრიჰ ბოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.” Accessed January 29, 2023. <https://ge.boell.org/ka/2018/02/06/pirobiti-chartuloba-ashsh-sakmianoba-samxret-kavkasiashi>.
- “Joe Biden | Biography, Family, Policies, & Facts | Britannica,” February 3, 2023. <https://www.britannica.com/biography/Joe-Biden>.
- Nagarajan, Shalini. “The US Will Emerge as the World’s Largest Natural-Gas Exporter This Year, a Top Energy Market Historian Says.” Markets Insider. Accessed February 6, 2023. <https://markets.businessinsider.com/news/commodities/us-largest-natural-gas-exports-russia-eu-replace-energy-sources-2022-3>.
- Network, CGTN, China Global Television. “Quadrilateral Agreement Inked on Black Sea Electric Cable.” Accessed February 6, 2023. <https://news.cgtn.com/news/2022-12-18/Quadrilateral-agreement-inked-on-Black-Sea-electric-cable-1fRavSrmcbC/index.html>.
- nikoladze, Tatia. “NATO: Georgia Cannot Become NATO Member with Collective Defense Article Not Covering Occupied Regions.” English Jamnews (blog), December 7, 2021. <https://jam-news.net/nato-georgia-cannot-become-nato-member-with-collective-defense-article-not-covering-abkhazia-s-ossetia/>.
- “Pashinyan Refuses to Sign CSTO Declaration after Bloc’s Failure to Help Armenia.” Accessed February 6, 2023. <https://www.msn.com/en-us/news/world/pashinyan-refuses-to-sign-csto-declaration-after-blocs-failure-to-help-armenia/ar-AA14xzNF>.
- Stronski, Eugene Rumer, Richard Sokolsky, Paul. “U.S. Policy Toward the South Caucasus: Take Three.” Carnegie Endowment for International Peace. Accessed January 31, 2023. <https://carnegieendowment.org/2017/05/31/u.s.-policy-toward-south-caucasus-take-three-pub-70122>.
- “Substantial NATO-Georgia Package - MOD.GOV.GE.” Accessed January 31, 2023. <https://mod.gov.ge/en/page/65/substantial-package>.
- “Ukraine Will Get German Leopards Earlier than US Abrams, White House Says.” Accessed February 6, 2023. <https://english.nv.ua/nation/leopards-to-come-sooner-than-abrams-says-white-house-for-ukraine-news-50300456.html>.
- whitehouse.gov. “U.S.-Russia Relations: ‘Reset’ Fact Sheet,” June 24, 2010. <https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/us-russia-relations-reset-fact-sheet>.
- კვირის პალიტრა. “ყველაზე სწრაფი ომი მსოფლიოში - ალიევმა 24 საათში ყარაბაღის 29-წლიანი პრობლემა საბოლოოდ გადაწყვიტა?!” September 20, 2023. <https://kvirispalitra.ge/article/108065-qvelaze-scrapi-omi-msoplioshi-alievma-24-saatshi-qarabagis-29-cliani-problema-sablood-gad-acqvita/>.
- “რეზნიკოვი ოლექსი F-16-ებზე - დახმარების ყველა სახეობას გაუვლია ‘არა’-ს ეტაპი, ეს ნიშნავს ‘არა’-ს დღეის მდგომარეობით,” January 31, 2023. <https://www.interpressnews.ge/ka/article/743007-oleksi-reznikovi-f-16-ebze-daxmarebis-qvela-saxeobas-gauvliara-s-etapi-es-nishnavs-ara-s-dgeis-mdgomareobit/>.
- “ბეიკერ პიტერი: “ზაიდენმა ცხადყო, რომ რუსეთის მარცხი უკრაინაში აშშ-ის მთავარი პრიორიტეტია.”” Accessed February 7, 2023. <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A3-%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0-%E1%83%91%E1%83%94%E1%83%98%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C/32180358.html>.
- ჩაკვეტაძეკახი, “თბილისის „აბრეშუმის გზის ფორუმის“ შედეგები | ყველაფერი, რაც უნდა იცოდეთ • Forbes Georgia.” Forbes Georgia (blog), October 30, 2023. <https://forbes.ge/thbilisis-abreshumis-gzis-phorumis-shedegebi-qhvelapheri-rats-unda-itsodeth/>.
- “ჭარაია - შუა დერეფანი გვაძლევს საშუალებას როგორც ეკონომიკურად მივიღოთ შემოსავალი, ასევე ჩვენი როლი დავანახოთ ევროპას,” January 25, 2023. <https://bfm.ge/news/sazogadoeba/charaia-shua-derefani-gvadzlevs-sashualebas-rogorcs-ekonomikurad-mivighot-shemosavali-aseve-chveni-rolidavanakhot-evropas>.

რუსულ-თურქული ურთიერთობების ანატომია სამხრეთ კავკასიის რეგიონში

ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის

ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი

აბსტრაქტი

სტატიში განხილულია ორი ქვეყნის - რუსეთის და თურქეთის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ასპექტები. კვლევა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტორებსა და გარემოებებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ორი ქვეყნის ურთიერთობებზე. ნაშრომი ხაზს უსვავს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ენერგეტიკულ და უსაფრთხოების თანამშრომლობას. აქცენტი გაკეთებულია მათ საერთო ხედვაზე ურთიერთთანამშრომლობის გამოყენებით პოლიტიკური ავტონომიის ხარისხის ამაღლების და საგარეო პოლიტიკური კურსის უფრო ეფექტურ წარმართვასთან დაკავშირებით. კვლევაში ასევე განხილულია რუსეთ-თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები. კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა კონკრეტული ფაქტორები განაპირობებენ ორი ქვეყნის სურვილს გაღრმავდეს არსებული ურთიერთობები და როგორ იმოქმედებს ეს საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე. კვლევის ფარგლებში ასევე განალიზებულია რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა და შედეგები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის საკითხებზე.

საკვანძო სიტყვები:

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება, სამხრეთ კავკასიის რეგიონი, რუსეთის სტრატეგიული ინტერესები, თურქეთის სტრატეგიული ინტერესები.

Anatomy of Russian-Turkish Relations in the South Caucasus Region

Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze

LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Head of Defence and Security Program of Baccalaureate

Abstract

The article discusses important aspects of the relationship between the two countries, Russia and Turkey. The study focuses on the factors and circumstances that affect the relations between the two countries. The paper highlights the economic, political, energy and security cooperation between the two countries. Emphasis is placed on their common vision of using mutual cooperation to increase the degree of political autonomy and more effectively guide the foreign policy course. The geopolitical interests of Russia-Turkey and challenges related to security are also discussed in the study. Within the framework of the research, an important emphasis is placed on what specific factors determine the desire of the two countries to deepen the existing relations and how this will affect the security environment of Georgia. Within the framework of the study, the impact and consequences of the Russia-Ukraine war on the issues of the relationship between the two countries are also analyzed.

Keywords:

national security of Georgia, South Caucasus region, strategic interests of Russia, strategic interests of Turkey.

შესავალი

რუსულ-თურქული ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე მრავალმხრივი მიმართულებით გამოირჩევა. რეგიონის ორი მძლავრი ქვეყანა ტერიტორიული, ადამიანური, ბუნებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, გეოგრაფიული რესურსებით რეგიონსა და მსოფლიოში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხები, განსაკუთრებით იმ ასპექტში, როდესაც ორივე სახელმწიფო გეოგრაფიულად ერთ გეოპოლიტიკურ სიბრტყეშია წარმოდგენილი და ისტორიულად რეგიონში დომინირებისათვის ერთმანეთის მთავარი კონკურენტები იყვნენ. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის ფონზე, დასავლეთის მიერ რუსეთზე დაწესებული სანქციების და უკრაინისადმი სამხედრო, ფინანსური, ლოჯისტიკური, პოლიტიკური მხარდაჭერის პარალელურად, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს რუსულ-თურქული თანამშრომლობა. თურქეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრია და ნატოს წინაშე გარკვეული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები გააჩნია. ამავდროს, იგი არ უერთდება რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, აგრძელებს და აღრმავებს რუსეთთან თანამშრომლობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, უსაფრთხოების სფეროებში; ასევე თურქეთი უკრაინის მხარდაჭერაზეც არ ამბობს უარს.¹ ზემო აღნიშნულის უკეთ გასააზრებლად მნიშვნელოვანია განხილულ იქნას მცირე გეოპოლიტიკური და ისტორიული ექსპურსი რეგიონის ორი უძლიერესი ქვეყნის ურთიერთობის შესახებ.

ძირითადი ნაწილი

1453 წ. ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღებას, აღმოსავლეთ სივრცეში უძველესი რომაულ-ბერძნული ცივილიზაციის განადგურება მოჰყვა, რამაც საფუძველი დაუდო რეგიონში ოსმალთა, ხოლო შემდგომში თურქთა სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ინტერესებს. დაპყრობითი ომების შედეგად ოსმალეთი აფართოვდა პოლიტიკურ გავლენასა და ტერიტორიულ საზღვრებს აღმოსავლეთ ევროპაში, ბალკანეთში, კავკასიაში.² ოსმალეთის სამხედრო ექსპანსიის პარალელურად ჩრდილოეთში ყალიბდება ახალი სახელმწიფო „მოსკოვის სამთავრო“. კიევის რუსეთის სამართალმემდკვიდრე მოსკოვის რუსეთი წარმოადგენდა ერთის მხრივ აღმოსავლეთ ევროპული, ბიზანტიური კულტურის მატარებელს, ხოლო მეორეს მხრივ კი მონღოლური მართვისა და იმპერიული აზროვნების სტილზე დაფუძნებულ სახელმწიფოს. ორი დომინანტური ძალის ფორმირებამ ბუნებრივად განაპირობა განსხვავებული ცივილიზაციური ელემენტების მატარებელი იმპერიების დაპირისპირება. მოცემულ ფაქტს ადასტურებს რუსულ-ოსმალურ ომებიც. რუსულ-თურქული გეოპოლიტიკური ინტერესები გადაიკვეთა კავკასიაში, შავ ზღვაში, ახლო აღმოსავლეთში, ბალკანეთში, აღმოსავლეთ ევროპაში, თანამედროვე ეტაპზე კი, ცენტრალურ აზიაშიც. ქვეყნებმა ერთმანეთში 14 სრულმასშტაბიანი ომი აწარმოეს, რომელშიც ძირითადად, რუსები იმარჯვებდნენ. აღნიშნულმა ფაქტორმა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ განწყობაზე მნიშვნელოვანი ასახვა ჰქოვა, რაც გამოიხატება რუსეთისადმი გარკვეული შიშებისა და კომპლექსების არსებობით.³

რუსეთის სამეცნიერო წრეებში დომინირებს აზრი, რომ ცივილიზაციური თვალსაზრისით, რუსეთი ევროპაა, ხოლო გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ევრაზია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რუსეთს ორივე ელემენტი სჭირდება საკუთარი მნიშვნელობის წარმოსაჩენად. რადგან „ევროპული“ კულტურული ტრადიციის გარეშე რუსეთი არ იქნება მიმზიდველი აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის, ხოლო ევრაზიული გეოპოლიტიკური პოტენციალის გარეშე ის უინტერესო იქნება ევროპისათვისაც. შესაბამისად, რუსეთი ყოველთვის ცდილობდა ცივილიზაციური თვალსაზრისით „ევროპული“ სახელმწიფოს სტატუსი დაემკვიდრებინა. მისი ინტერესებიც ძირითადად აღმოსავლეთისაკენ იქნებოდა მიმართული, სადაც გაავრცელებდა ეგრედ წოდებულ „ევროპულ“ იდეებს. დასავლეთთან ურთიერთობაში კი რუსეთი უნდა ყოფილიყო ევრაზიული სახელმწიფო გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რაც მისი გეოპოლიტიკური ამოცანების ბუნებით იქნებოდა განპირობებული.⁴

ზოგიერთი მეცნიერის შეფასებით რუსეთი უნდა იყოს პოსტსაბჭოთა სივრცეში წამყვანი როლის მატარებელი. მათი აზრით, რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა დასავლეთთან მიმართებაში დაბალანსებული უნდა იყოს, თუმცა ყურადღება უნდა გამახვილდეს აღმოსავლეთის მიმართულებით რუსული სახელმწიფოს პოზიციების გაძლიერების აუცილებლობაზე. ასევე, მათი აზრით, დასავლეთთან რუსეთის პროდუქტიული ურთიერთობები რუსეთის ეკონომიკური მომავლისათვისა აუცილებელი, მაგრამ ამავდროულად, ტერიტორიული მდებარეობის გათვალისწინებით მოსკოვს არ შეუძლია უფულებელყოს მისივე წამყვანი როლი ამ რეგიონში. რუსეთი არასოდეს არ უნდა აღმოჩნდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ

1 Tziarras, Zenonas, The Ukraine War and Turkey as a “Third Pole” in a New International Order, PRIO Cyprus Centre Policy Brief, 1. Nicosia: PRIO Cyprus Centre, 2022.

2 U. UZER, “IDENTITY AND TURKISH FOREIGN POLICY The Kemalist Influence in Cyprus and the Caucasus, New York, .” International Journal of Middle East Studies, 2011.

3 მაია მანჩხაშვილი, თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.

4 ერეკლე ურუშაძე, „ რუსეთის საგარეო პოლიტიკური აზროვნება პოსტსაბჭოთა პერიოდში“, პოლიტიკის კვლევის ჯგუფი. თბილისი, 2006.

მოუწიოს არჩევანის გაკეთება დასავლეთს, აღმოსავლეთსა და სამხრეთის მეზობლებს შორის.⁵

ცივი ომის დასრულების პარალელურად, კომუნისტური ბანაკისა და სსრკ-ს დაშლამ განაპირობა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური ძლიერების დასუსტება. 1990-იან წლებში რუსეთი ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, რასაც მოყვა დასავლური ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გავრცელება პოსტ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. აღნიშნულმა ვითარებამ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ჩამოაყალიბა განწყობა, რომ დასავლეთმა რუსეთს თავს მოახვია მისთვის არასასურველი ეკონომიკური დღის წერტილი. „არასწორმა ეკონომიკურმა პროგრამებმა გამოიწვია რუსული ეკონომიკის მკვეთრი დაცემა და მასობრივი სიღარიბის ზრდა. პოლიტიკური თვალსაზრისით, დასავლეთმა ისარგებლა რუსეთის დროებითი სისუსტით და განავრცო პოლიტიკური გავლენა იმ გეოგრაფიულ ტერიტორიებზე, რომელიც რუსულ მმართველ ელიტებში მიიჩნეოდა განსაკუთრებული, პრივილეგირებული ინტერესების სფეროდ“.⁶

პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩამოყალიბდა გეოპოლიტიკური ხედვა, რომლის მიხედვითაც რუსეთი არის ევრაზიული ცივილიზაციის მატარებელი ქვეყანა. ამ „განსაკუთრებული იდენტობიდან“ და გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარეობს მისი დაპირისპირება დასავლეთთან. ეს არ გამოორიცხავს რუსეთის თანამშრომლობის საკითხებს დასავლურ ქვეყნებთან, მეტიც, 2000-იანი წლების დასაწყისში აქცენტი კეთდებოდა დასავლეთთან პარტნიორული, თანაბარი, არაკონფრონტაციული ურთიერთობის გაძლიერების საკითხებზე, სადაც რუსეთი წარმოდგენილი იქნებოდა, როგორც თანაბარი პარტნიორი ქვეყანა და აღიარებული იქნებოდა მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესები რეგიონში.⁷

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ემყარება შემდეგ საკითხებს: 1. მულტიპოლარული მსოფლიო სისტემის ფორმირება, სადაც რუსეთი წარმოდგენილი იქნება, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი გლობალური ძალა, ხოლო რეგიონში იგი იქნება გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ცენტრი. 2. ენერგეტიკული და ეკონომიკური გავლენის სფეროების დივერსიფიცირება, რაც რუსულ ეკონომიკას მისცემს განვითარებისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების შესაძლებლობას. 3. პოსტ-საბჭოთა სივრცეში რუსეთის დომინირების გავრცობა და განმტკიცება, რაც წარმოდგენილი იქნება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში. 4. ენერგეტიკულ რესურსებზე და სატრანზიტო მიმართულებებზე კონტროლის მოპოვება. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად, რუსულ ენერგეტიკულ რესურსებზე დასავლური და სხვა რეგიონის ქვეყნების დამოკიდებულების ზრდა. 5. დასავლური გავლენის შეჩერების უზრუნველყოფა აღმოსავლეთით. 6. ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებში ანტიამერიკული განწყობების გაღვივება.

აშშ-ის ერაყში შესვლამ (2003 წ.), რევოლუციებმა საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში (2003, 2004 და 2005 წწ.), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატოში გაწევრიანებამ, იუგოსლავიაში განვითარებულმა პროცესებმა და სხვა რიგმა საკითხებმა ხელი შეუწვეს დასავლეთის მიერ რუსეთის სახელმწიფოს მიზანმიმართული დასუსტების შესახებ განწყობის ფორმირებას რუსულ პოლიტიკურ ელიტაში. მოსკოვის აზრით დასავლეთს სჭირდება არა ძლიერი, არამედ მათი პოლიტიკური კურსის გამტარებელი რუსეთი, რომელიც ამავედროულად იქნება მზა ბუნებრივი რესურსების ექსპორტიორი და დასავლურ პროდუქციაზე დამოკიდებული სახელმწიფო. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მაღალი რანგის სამხედრო პირები მხარს უჭერენ რუსეთის მიერ დასავლეთთან ე.წ. „წითელი ხაზები“-ს შემოღებას. ეს აისახა რუსულ-უკრაინული ომის დაწყებისა და შემდგომ განვითარებულ პროცესებშიც. უშიშროების საბჭოს თავჯდომარის ყოფილი მოადგილის იური ბალუევსკის ხელმძღვანელობით, სამხედროების მიერ შემოთავაზებულ იქნა სამხედრო დოქტრინა, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია დასავლეთისა და სხვა სახელმწიფო აქტორებისაგან წამოსულ სამხედრო, კონვენციურ საფრთხეებზე. რუსული პოლიტიკური ელიტების ხედვით, რუსეთის დაუცველობას ისტორიულად განაპირობებდა მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც გამოიხატებოდა სახელმწიფო საზღვრის დაუცველობასა და რუსეთის პერიფერიებზე დასავლეთის მუდმივი ზეგავლენით.⁸

რუსულ საგარეო პოლიტიკურ კონტექსტში საყურადღებოა რუსულ-თურქული თანამშრომლობის საკითხები. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, საინტერესოა რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნები თურქეთთან მიმართებაში მაშინ, როდესაც თურქეთი ორივე დაპირისპირებულ მხარესთან აფართოებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო კავშირებს. რუსეთი ცდილობს მოძებნოს ალტერნატიული წყაროები, ბაზრები მსოფლოში, რათა ერთგვარად დააბალანსოს მის წინაშე მდგარი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გამოწვევები. საერთაშორისო სანქციების ფონზე თურქეთი რუსეთისათვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. თურქეთთან თანამშრომლობით, ახლო პერსპექტივაში, რუსეთს სურს შეამსუბუქოს დასავლეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციებიდან მომდინარე ზიანი.

5 Luke March. "Nationalism." In ROUTLEDGE HANDBOOK OF RUSSIAN FOREIGN POLICY., by Edited by Andrei P. Tsygakov, 2018, p. 80-98 . New York: Taylor and Francis group, Routledge.

6 John Berryman, "Geopolitics and Russian foreign policy." In HANDBOOK OF RUSSIAN FOREIGN POLICY., by Edited by Andrei P. Tsygankov, 2018, p. 60-79. New York.

7 კახა ფუტყარაძე, რელიგიური კონფლიქტების პრევენცია საქართველოში (აჭარელ მუსლიმთა მაგალითზე), სადისერტაციო ნაშრომი, 2021.

8 კახა ფუტყარაძე, რელიგიური კონფლიქტების პრევენცია საქართველოში (აჭარელ მუსლიმთა მაგალითზე), სადისერტაციო ნაშრომი, 2021.

რუსეთი მიზნად ისახავს ისეთ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავებას, რომლებიც ამჟღავნებენ დასავლეთისგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარების სურვილს. რუსულ-თურქული თანამშრომლობა ეკონომიკურ, ენერგეტიკულ და უსაფრთხოების სექტორებში სავარაუდოდ აიხსნება თურქეთში ანტიამერიკული და ანტიდასავლური განწყობების გაღვივებისა და ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის უთანხმოების ჩამოგდების სურვილით. თურქეთთან ურთიერთობის ფარგლებში რუსეთი ცდილობს უზრუნველყოს რეგიონიდან დასავლეთის გაძევება და დომინანტური პოზიციის განმტკიცება. მეორეს მხრივ რუსეთი, თურქული გავლენების დასაბალანსებლად აქტიურად თანამშრომლობს ირანთან და შემოთავაზებულ პლატფორმებში აქტიურად განიხილავს ირანის ჩართულობის საკითხს. თურქეთის მიმართ რუსეთი ახორციელებს რბილი ძალის ინსტრუმენტის ფორმირებას, რომელიც საჭირო დროს საშუალებას მისცემს მოახდინოს ზეგავლენა თურქეთზე. რუსეთი შეეცდება უფრო მეტად დააპირისპიროს თურქული და დასავლური გეოპოლიტიკური ინტერესები. რუსეთისათვის კატეგორიულად მიუღებელია თურქეთის მიზანი ჩამოყალიბდეს ენერგეტიკულ ჰაზად. რუსეთი ცდილობს არ დაუშვას, მისი გვერდის ავლით, ცენტრალური აზიისა და კასპის ზღვის აუზში არსებული ბუნებრივი რესურსების მიწოდება ევროპისკენ. რუსეთის მცდელობების შედეგად ჩაიშალა ნაბუკოს სტრატეგიული პროექტი.⁹

რუსულ-თურქული ინტერესების თანხვედრაა ორივე ქვეყნის მხრიდან უსაფრთხოების შეგრძნების არქონა. რუსეთს არ აქვს ისეთი ბუნებრივი ბარიერები, რომლებიც დაიცავს ევროპული სახელმწიფოების მხრიდან წარმოებული სამხედრო ოპერაციებისგან. ანალოგიურად, თურქეთსაც თავისი გეოგრაფიული დაუცველობის გამო ჩამოუყალიბდა განწყობა, რომლის მიხედვით, თურქეთი გარშემორტყმულია მტრულად განწყობილი ქვეყნებით. ისინი ცდილობენ გამოიყენონ თურქეთის სისუსტეები და დაშალონ ეს ქვეყანა. რუსეთისათვის თუ დღეისათვის მტერია დასავლეთი, თურქებისათვის მტერია დასავლური პოლიტიკით მხარდაჭერილი ქურთული ანკლავი ჩრდილოეთ სირიასა და ერაყში.¹⁰

რუსეთის უკრაინაში შეჭრის პარალელურად, რუსეთ-თურქეთის საპრეზიდენტო შეხვედრებმა ნათლად აჩვენა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ტაქტიკაში გარკვეული ცვლილებები. მოსკოვი თურქეთს უყურებს, როგორც მნიშვნელოვან პარტნიორს დასავლეთთან დაპირისპირების პროცესში. მოსკოვის ხედვით თურქეთს შეუძლია მნიშვნელოვანდ შეუწყოს ხელი რეგიონში მისი პოზიციების გაძლიერებას. შეიძლება ითქვას, რომ ანკარამ რუსეთისათვის სათანადო მხარდაჭერის სანაცვლოდ ერთგვარი დათმობები მიიღო ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით.

რუსეთისათვის მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის საკითხი, რომელიც გეოპოლიტიკური დაპირისპირების საგანია რუსეთს, თურქეთსა და აშშ-ს შორის. რუსული ხედვით, ვაშინგტონის ინტერესი ამ რეგიონში ემყარება ენერგეტიკული პლურალიზმის იდეას, ანუ ალტერნატიული გზების მოძიებას - ნავთობისა და გაზის ევროპაში მიწოდებისთვის. რუსეთის შეფასებით ეს პროცესი ასევე მიზნად ისახავს რეგიონში რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური პოზიციების შესუსტებას. შესაბამისად, რუსულ-თურქული თანამშრომლობა, რუსული პერსპექტივიდან მოსჩანს, როგორც თურქულ-დასავლური ურთიერთობების გაღრმავების ადკვეთის და რეგიონიდან დასავლეთის განდევნისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი. ასევე რუსეთი ცდილობს რეგიონული ქვეყნების ჩართულობით გარკვეული პლატფორმების შექმნას, როგორცაა 3+3 თანამშრომლობის ფორმატი კავკასიაში. რუსეთის მიერ თურქეთისათვის დასავლეთის ალტერნატივად თავისი თავის შეთავაზება, მეტწილად სწორედ დასავლური გავლენის გაფართოების პრევენციის მიზნებით არის განპირობებული.

სსრკ-ის რღვევამ მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და უსაფრთხოების განსხვავებული არქიტექტურა შექმნა. თურქეთს, რომელიც რეგიონში მანამდე მოკრძალებულად იყო წარმოდგენილი, მნიშვნელოვანი შესაძლებლობები მისცა. ეს აისახა იმ გეოგრაფიულ ტერიტორიებზე, რომელთა მიმართაც ისტორიულად თურქეთს გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა. ცივი ომის დასრულების შედეგად ყოფილ კომუნისტურ ბანაკში გაჩენილმა იდეოლოგიურმა, პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და უსაფრთხოების სფეროებში არსებულმა ვაკუუმმა, თურქეთს შანსი მისცა ახალი ძალით ჩარეულიყო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მინდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში. ამავე პერიოდიდან იწყება თურქეთის კავშირების გაძლიერება ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან და პოსტსაბჭოთა ბანაკის ქვეყნებთან. იგი გამოხატული იქნა ერთობლივი ეკონომიკური, ენერგეტიკული, პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული კონტაქტების გაძლიერებით. სსრკ-ის დაშლამ თურქეთს მოუხსნა ის ეგზისტენციალური საფრთხე, რაც ცივი ომის პერიოდში წარმოდგენილი იყო საბჭოთა რუსეთის მხრიდან. ამ ფაქტორმა თავის დროზე გავლენა იქონია ნატოში თურქეთის გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზეც. რუსეთ-ჩეჩნეთის ომებში თურქეთის სავარაუდო ჩართულობამ, რაც გამოხატული იყო ჩეჩენი მებრძოლების მომზადებაში, ლოჯისტიკურ, ფინანსურ დახმარებასა და სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარებაში, მნიშვნელოვნად დაძაბა ორი ქვეყნის ურთიერთობები. თურქეთის ულტრა-მემარჯვენე რადიკულური ორგანიზაციის - „რუხი მგლები“ ყარაბაღის ომში მონაწილეობისა და მათი მხრიდან აზერბაიჯანში სამხედრო - პოლიტიკური გადატრიალების მცდელობის ფაქტებმა, სამხედროებისა და პოლიტიკური წრეების გარკვეულ ნაწილში თურანული და ნეო-ოსმანური განწყობების გაღვივებამ, რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში გააძლიერა თურქეთისადმი არსებული ნეგატიური განწყობები. ამის საპასუხოდ 1996 წლის აპ-

9 Sinem Adar, Perceptions in Turkey about the War in Ukraine. Implications for the Future of EU-Turkey Relations. SWP Comment, German Institute for international and security affairs, 2022.

10 დავით პიპინაშვილი, „სამხრეთ კავკასიის პრობლემები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები“, 2006.

რილში მოსკოვში, რუსეთის მხარდაჭერით ჩატარდა დიდი ქურთული პოლიტიკური ყრილობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თურქეთის ქურთისტანის მუშათა პარტის პოლიტიკურმა ლიდერმა აბდულა ოჯალანმა. საბოლოოდ, თურქეთის მხრიდან ჩეჩნური სეპარატიზმის, ხოლო რუსეთის მიერ ქურთული სეპარატიზმის მხარდაჭერის შეწყვეტის შესახებ მიღწეულმა შეთანხმებამ საფუძველი ჩაუყარა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ახალი ეტაპს. ამის გამოხატულება იყო რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის 2004 წ. თურქეთში ვიზიტიც. ორმხრივი ურთიერთობის ფორმატში გამოიკვეთა ორი ქვეყნის ინტერესების თანხვედრის შესაძლებლობა ეკონომიკური, ენერგეტიკული, პოლიტიკური, უსაფრთხოების სექტორებში. მიუხედავად ამისა, ორ ქვეყანას შორის იყო და იქნება რიგი საკითხები, სადაც მათ განსხვავებული პოზიციები ექნებათ. სირიის, ლიბიის, სამხრეთ კავკასიის, ეგვიპტის, კვიპროსის, უკრაინის საკითხები ამის ნათელი დადასტურებაა. 2016 წ. არშემდგარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, თურქეთმა პრეზიდენტ ერდოღანისა და მისი ადმინისტრაციის მეშვეობით ახალი პოლიტიკური კურსი და ორიენტირები დაისახა მიზნად. იგი გულისხმობდა ეროვნული ინტერესების შესაბამისი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებას. განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, ზემოაღნიშნულმა ფაქტმა მნიშვნელოვნად განამტკიცდა ამ ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობები, რაც გამოიხატა ენერგეტიკულ და ეკონომიკურ თანამშრომლობაში.

უკრაინის ომმა საფრთხე შეუქმნა თურქეთის პრაგმატულ მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც საფუძველად უდევს მის საგარეო პოლიტიკას. თურქეთს, როგორც „ნატო“-ს წევრ ქვეყანას, გარკვეული პოლიტიკური ვალდებულებები აქვს ორგანიზაციისა და წევრი სახელმწიფოების წინაშე. თუმცა მას მინც არ სურს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ საქნციებში მონაწილეობა. იგი ნაწილობრივ ეკონომიკური მიზეზებითაც აიხსნება. თურქეთისთვის რუსეთი იყო და რჩება მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად. 2021 წლის მდგომარეობით, ორ ქვეყანას შორის არსებულმა სავაჭრო ბრუნვამ 32,5 მილიარდი დოლარი შეადგინა. ომის შემდეგ გაიზარდა რუსული ინვესტიციები თურქეთში. მნიშვნელოვანია რუსი მოქალაქეების პროცენტული მაჩვენებლები თურქეთის ტურისტულ ინდუსტრიაში. 2019 წლის მონაცემებით, რუსეთიდან თურქეთში ვიზიტორების რაოდენობამ 7 მილიონ ადამიანს მიაღწია, რაც თურქეთის ტურისტული პოტენციალის თითქმის 17%-ია. რუსეთი თურქეთისათვის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პარტნიორიცაა. თურქულ ინდუსტრიაში რუსული ბუნებრივი აირის მოცულობა ქვეყანაში პირველ ადგილს იკავებს, რაც რუსეთს რბილი ძალის გამოყენების შესაძლებლობას უქმნის.

უკრაინის ომი თურქეთისთვისაც ერთგვარი შესაძლებლობაა რუსეთში დაიკავოს დასავლური კომპანიების მიერ გამოთავისუფლებული ადგილები და მეტი ინვესტიციები მიიზიდოს საკუთარ ქვეყანაში. რუსულ-უკრაინული ომის ფონზე თურქეთი ხედავს შესაძლებლობას გახდეს რეგიონის ენერგეტიკული ჰაბი და ევროპის მთავარი სატრანზიტო ცენტრი. თურქულ-დასავლური დაპირისპირების ფონზე, ანკარა ომში ხედავს შესაძლებლობას, რომ დასავლეთმა გააუქმოს მის თავდაცვით სამრეწველო კომპლექსებზე დაწესებული სანქციები და მიიღოს თურქეთი, როგორც თანაბარი პარტნიორი. ამის დადასტურება იყო ნატოს გაფართოების პროცესზე თურქული მხარის განსახვავებული პოზიციები შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანების შესახებ.¹¹

მიუხედავად ორმხრივი თანამშრომლობისა, მოსკოვსა და ანკარას შორის არსებული ურთიერთობები ვერ ჩაითვლება სტრატეგიულ და გრძელვადიან თანამშრომლობად, რასაც ორ ქვეყანას შორის არსებული ფუნდამენტურად განსხვავებული ინტერესები და ისტორიული გამოცდილება განაპირობებს. ორი ქვეყნის ურთიერთობები რეალურად ასახავს კლასიკური სიტუაციური თანამშრომლობის მაგალითს. რუსეთთან თანამშრომლობის მიუხედავად, ანკარა არ წყვეტს სამხედრო კავშირებს უკრაინასთან, რაც აიხსნება შემდეგი გარემოებებით: ა) თურქეთს, როგორც ნატოს წევრ ქვეყანას და დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრირების მსურველ სახელმწიფოს, არ შეუძლია განზე გადგეს უკრაინის კონფლიქტიდან; ბ) უკრაინა, ჩრდილოეთ ფლანგზე, თურქეთისათვის ყოველთვის წარმოადგენდა ბუფერულ სახელმწიფოს მასსა და რუსეთს შორის. საზღვრების მოშლის შემთხვევაში თურქეთს ჩრდილოეთიდან დაუახლოვდება გაძლიერებული რუსული სახელმწიფო, რაც არ შედის თურქეთის გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმებში; გ) უკრაინა თურქეთისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბაზარია, სადაც მისი დომინირების შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი თურქული პროდუქციის ექსპორტის გაფართოებას; დ) უკრაინაში, განსაკუთრებით სამხრეთის სანაპირო ზოლის გასწვრივ, რუსეთის გაზრდილი ყოფნა კიდევ უფრო აძლიერებს შავ ზღვაზე თურქეთის სტრატეგიულ დაუცველობას და ააქტიურებს ცივი ომის დროინდელი საფრთხის აღქმას.¹²

უკრაინის მხარდაჭერის პარალელურად, ანკარა ცდილობს ღიად არ დაუპირისპირდეს რუსეთს, რადგანაც კრემლთან ღია დაპირისპირებამ, შეიძლება გამოიწვიოს საპასუხო ქმედებები სირიაში. მოსკოვს შეუძია ხელი შეუწყოს პროქურთული მოძრაობების გააქტიურებას, რაც თურქეთისათვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია, რომ 2016 წ. წარუმატებელი გადატრიალების შემდეგ, თურქეთი ცდილობს დასავლეთისგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას, რასაც ორმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ შეუწყო ხელი: ა) 2016 წლის გადატრიალების მცდელობის დროს დასავლეთის სოლიდარობის ნაკლებობა და აშშ-ს მიმართ არსებული ეჭვები სამხედრო გადატრიალების მცდელობაში მისი სავარაუდო ჩართულობის შესახებ; ბ) აშშ-ს პარტნიორობა, ფინანსური, სამხედრო და

11 Sude Akgundogdu, Collin Trissel. "Turkey's Growing Ukrainian and Russian Communities." The Washington institute for Near east Policy, 2023.

12 Caggins, Myles, "Peshmerga Reforms: Navigating Challenges, Forging Unity ." Foreign Policy Research Institute, 2023.

ლოჯისტიკური მხარდაჭერა ქურთების დემოკრატიული კავშირის მუშათა პარტიასთან.

ბოლო პერიოდში ანკარის ოფიციალურ ნარატივში პროდასავლური განწყობები შესამჩნევი გახდა. კოსოვოს პრეზიდენტთან გამართულ პრესკონფერენციაზე, ერდოღანმა გამოხატა მხარდაჭერა ნატოსა და ევროკავშირის გაფართოებისადმი და გამოთქვა მზადყოფნა უკრაინის მხარდასაჭერადაც. ანკარა ამ სიტუაციას განიხილავს, როგორც შესაძლებლობას თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის მხარდასაჭერად. შემთხვევითი არ არის, რომ იმავე პრესკონფერენციაზე ერდოღანმა სთხოვა ევროკავშირს გამოეჩინა „იგივე მგრძობელობა“ თურქეთის წევრობის სტატუსის მიმართ. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში თურქეთის მიერ შემრიგებლისა და მედიატორის როლის მორგება, დასავლეთის დედაქალაქებში თურქი ლიდერების სისტემატური მიწვევები, აღიქმება როგორც თურქეთის მზარდი გავლენის მტკიცებულება.¹³

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ რუსულ-თურქული თანამშრომლობის განმტკიცება ორმხრივი ინტერესებით, როგორცაა ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობა; ორი ქვეყნის სურვილი გაატორონ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსი და რეგიონში მიმდინარე მოვლენებში ხელი შეუწყონ დასავლეთის დისტანცირებას; პუტინსა და ერდოღანს შორის არსებული პირადი ურთიერთობები და სახელმწიფოს მართვის ავტორიტარული სტილი; ერთმანეთის უსაფრთხოების ინტერესების აღიარება, გათვალისწინება და ეროვნულ ინტერესებზე მორგებული უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება; დასავლეთის მიმართ სკეპტიკური განწყობები; ეკონომიკურ სექტორში თანამშრომლობა. ორი ქვეყნის თანამშრომლობა ასახავს იმ ვითარებას, როცა სიტუაციური მდგომარეობიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდა პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ინტერესების ნაწილობრივი თანხვედრა. მნიშვნელოვანია ამ სახელმწიფოების პოლიტიკურ ელიტებში არსებული განწყობებიც, რომლის მიხედვითაც „ვამინგტონი თანაბრად ემუქრება თურქეთისა და რუსეთის ინტერესებს“. ორი ქვეყნის ურთიერთობა აღიქმება რეგიონში ამერიკული გავლენის დაბალანსების ერთგვარ შესაძლებლობად.¹⁴

რიგ საკითხებზე არსებული უთანხმოების მიუხედავად, თურქეთმა და რუსეთმა შეძლეს სიტუაციური პარტნიორობის შენარჩუნება. იგი შესაძლებელი გახდა ორი სახელმწიფოს პრაგმატული და პერსონალიზირებული საგარეო პოლიტიკის წყალობით. ზემოაღნიშნული თანამშრომლობა ორი ქვეყნის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელების დადასტურებაა. თურქეთის ძირითადი ეროვნული ინტერესები უკრაინის ომის კონტექსტში ორიენტირებულია ანკარას რეგიონული და საერთაშორისო გავლენის შენარჩუნებასა და გაფართოებაზე. ანკარა ამჟამინდელ კრიზისს ხედავს, როგორც გლობალური ცვლილების საწინდარს, რომელიც ხელს შეუწყობს მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის დამყარებას, რაც თურქეთს მისცემს უფრო ღირსეული როლს თამაშის შესაძლებლობას რეგიონულ და საერთაშორისო ურთიერთობებში.

რუსეთისათვის უკრაინის ომი დასავლეთის მზარდი გავლენის შეჩერებისა და დასავლური სახელმწიფოების მხრიდან რუსული პრივილიგირებული და უსაფრთხოების ინტერესების აღიარების შესაძლებლობაა. რუსეთის გრძელვადიან გეგმებში თურქეთთან ურთიერთობები განიხილება რეგიონიდან დასავლეთის სრული დისტანცირების შესაძლებლობად. მოცემულობის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ თუ მოხერხდება თურქეთთან საერთო ინტერესების თანხვედრა, გაძლიერდება თურქეთსა და დასავლეთს შორის არსებული უთანხმოება. თურქულ-დასავლური ურთიერთობის გაუარესების ხელშეწყობით, მოსკოვი შეეცდება კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში გავლენების გაძლიერებას, ენერგეტიკულ და სატრანზიტო რესურსებზე კონტროლის მოპოვებას, ასევე რეგიონში სამხედრო კომპონენტის გაძლიერებას.

რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობის საკითხები კრიტიკული შესწავლის საგანია საქართველოშიც. ერთის მხრივ სახეზეა ჩრდილოელი აგრესიული მეზობელი, რომელსაც დროებით ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიების 20%, მეორე მხრივ კი თურქეთი საქართველოს მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია, ასევე სტრატეგიული მოკავშირე და ნატოში საქართველოს გაწევრიანების აქტიური მხარდამჭერი. შესაბამისად, საყურადღებოა რეგიონში ორი ძლიერი სახელმწიფოს თანამშრომლობის ზეგავლენა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიაში ორივე რეგიონული მხარე თავისი პოლიტიკური ძალაუფლების გაძლიერებას ცდილობს. თუმცა მოცემული ფაქტი არ გამორიცხავს მხარეების ერთმანეთთან გარიგებისა და თანამშრომლობის საკითხებს. ამის ნათელი დადასტურება ყარაბაღის მეორე ომი და ამ ომის შემდეგ კავკასიის 3+3 რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმის შეთავაზებაა. რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთშეთანხმების მიღწევის სხვა მაგალითებიც არსებობს. მათ შორისაა სირიასა და ქურთებთან დაკავშირებული საკითხები, ენერგეტიკული და ეკონომიკური ურთიერთობები. საქართველოსათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ორი სახელმწიფოს თანხვედრი პოზიცია რეგიონში დასავლური პოზიციების მიზანმიმართულად დასუსტების შესახებ. საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური, ენერგეტიკული მიზნების გათვალისწინებით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია გარკვეული დათმობების სანაცვლოდ რუსულ-თურქული ურთიერთობების ფონზე კი შეინარჩუნოს ეროვნული ინტერესების დაცვის პოლიტიკა.

რუსულ - თურქული ურთიერთობების ფონზე შესაძლოა წამოიჭრას შემდეგი სახის გამოწვევები

13 Caggins Myles, “Peshmerga Reforms: Navigating Challenges, Forging Unity”, 2023.

14 William Hale, Turkish Foreign Policy since 1774, 3rd edition., London and New York: Routledge, 2013.

და საფრთხეები:

- დასავლეთის პოზიციების შესასუსტებლად ორი ქვეყნის მცდელობა უარყოფითად აისახება საქართველოსადმი დასავლეთის მხარდაჭერაზე. შესაბამისად, საქართველო ძლიერი პოლიტიკური მხარდამჭერის გარეშე დარჩება;
- დასავლური პოზიციების შესუსტების პარალელურად, საქართველოს ერთი-ერთზე მოუწევს რუსეთთან, მეორეს მხრივ კი თურქეთ-აზერბაიჯანის ალიანსთან მარტოდ დარჩენა, რაც ქვეყანას წამგებიან პოზიციებში დააყენებს;
- რუსულ-თურქული ინტერესების თანხვედრა შეამცირებს საქართველოს შესაძლებლობას მოახდინოს ეკონომიკური და ენერგეტიკული სექტორების დივერსიფიცირება და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ეკონომიკური მდგომარეებიდან გამომდინარე, რთული გახდება ქვეყნისათვის ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება;
- რუსულ-თურქული თანამშრომლობა არ გამორიცხავს, რომ საქართველოს გვერდის ავლით, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ირანის სავარაუდო ჩართულობით განხორციელდეს ახალი ენერგეტიკული პროექტები, რაც პერსპექტივაში, საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობის დაკარგვას მოასწავებს;
- ორ ქვეყანას შორის ინტერესთა თანხვედრის საკითხები საფრთხეს უქმნის საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობებს;
- რუსულ-თურქული ინტერესების თანხვედრა გაზრდის ამ ქვეყნებზე საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ენერგეტიკულ დამოკიდებულებას;
- ორ ქვეყანას შორის შეთანხმების მიღწევა გააძლიერებს საქართველოს წინააღმდეგ ჰიბრიდული მოქმედებების შესაძლებლობას;
- რუსულ-თურქული ინტერესების თანხვედრა ააქტიურებს საწართველოს წინაშე მდგარ სამხედრო საფრთხეებს;
- რუსულ-თურქული ინტერესების თანხვედრამ შესაძლოა გამოიწვიოს ნატოში თურქეთის მიერ საქართველოსადმი მხარდამჭერი პოზიციების ცვლილება.

შავი ზღვის აუზში დასავლეთის პოზიციების შესუსტება გამოიწვევს არსებულ საზღვაო რესურსებზე საქართველოს წვდომის შემცირებას, გააუარესებს საქართველოს საზღვაო სივრცის უსაფრთხოებას, დღის წესრიგში დააყენებს შავი ზღვის აუზთან დაკავშირებულ რეგიონულ გამოწვევებს. ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს უახლეს ისტორიაში მრავლად მოიპოვება ფაქტები, როდესაც ამ ორ ქვეყანას შორის ინტერესების ურთიერთთანხვედრას მასობრივად მოჰყოლია ქართველთა მიგრაცია(მუჰაჯირობა), საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის დამოუკიდებლობის დაკარგვაც.

დასკვნა

რუსულ-თურქული ურთიერთობები ისტორიის მანძილზე მუდმივად სავსე იყო წინააღმდეგობებითა და გეოპოლიტიკური დაპირისპირებებით. ორი ქვეყნის განსხვავებული გეოპოლიტიკური, ცივილიზაციური სხვაობა განაპირობებდა და განაპირობებს მათ შორის არსებულ უთანხმოებებს. იგი გრძელვადიან პერიოდში გამორიცხავს ორი სახელმწიფოს სტრატეგიულ პარტნიორობასა და თანამშრომლობას. განსხვავებული გეოპოლიტიკური ინტერესების მიუხედავად, რიგ საკითხებში ადგილი აქვს ცალკეულ თანამშრომლობას. რუსეთ-თურქეთის პოზიციები ემთხვევა ერთობლივი ენერგეტიკული სტრატეგიული პროექტების, დასავლეთის მიმართ ორივე ქვეყნის უკმაყოფილების, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის გაჭიანურების, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსის გატარების, შავ ზღვის აუზთან დაკავშირებით ორი ქვეყნის საერთო ხედვის (რეგიონში არ იყვნენ წარმოდგენილი შავი ზღვის აუზის შემადგენლობაში არმყოფი ქვეყნები) საკითხებს. რეგიონულმა და გლობალურმა პროცესებმა მიმდინარე ეტაპზე ხელი შეუწევს ორი ქვეყნის დაახლოებას, რაც მეტწილად განპირობებულია ორი სახელმწიფოს მმართველი პოლიტიკური ელიტის ხედვებით დასავლეთთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, მათ შორის ურთიერთთანამშრომლობა წააგავს სიტუაციური ხასიათის თანამშრომლობას. განსხვავებული ცივილიზაციური, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური ხედვები და შესაბამისად ცვალებადი გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების ველი ზრდის მათ შორის ახალი დაპირისპირების გაჩენის შესაძლებლობას. მათი ინტერესების თანხვედრა ზრდის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოწყვლადობას, რაც შეიძლება გახდეს ახალი ტიპის რისკებისა და გამოწვევების გაჩენის ხელშემწყობის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

გამოყენებული ლიტერატურა

- ფუტყარაძე კ., რელიგიური კონფლიქტების პრევენცია საქართველოში (აჭარელ მუსლიმთა მაგალითზე). სადისერტაციო ნაშრომი. 2021.
- მანჩხაშვილი მ., თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2014
- პიპინაშვილი დ. სამხრეთ კავკასიის პრობლემები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები, 2006.
- Adar, Sinem. Perceptions in Turkey about the War in Ukraine. Implications for the Future of EU-Turkey Relations, „German Institute for international and security affairs“, 2022.
- Berryman, John.. “Geopolitics and Russian foreign policy.” In HANDBOOK OF RUSSIAN FOREIGN POLICY,, by Edited by Andrei P. Tsygankov, 2018, p. 60-79. New York.: Taylor and Francis group, ROUTLEDGE.
- Caggins, Myles B. “Peshmerga Reforms: Navigating Challenges, Forging Unity .” Foreign Policy Research Institute, 2023. <https://www.fpri.org/article/>. (წვდომა 20,11 2023)
- Hale, William. „Turkish Foreign Policy since 1774“, 3rd edition,. London and New York: Routledge, 2013.
- March, Luke. “Nationalism,.” In ROUTLEDGE HANDBOOK OF RUSSIAN FOREIGN POLICY,, by Edited by Andrei P. Tsygankov, New York: Taylor and Francis group, Routledge, 2018.
- Sude Akgundogdu, Collin Trissel. “Turkey’s Growing Ukrainian and Russian Communities.” The Washington institute for Near east Policy, 2023. <https://www.washingtoninstitute.org>. (წვდომე 20,11 2023)
- Tziarras, Z. “The Ukraine War and Turkey as a “Third Pole ” in a New International Order”, 2022.
- Urushadze, E. Russian foreign policy thinking in the post-Soviet period, BTCC - Policy Research Group,. Tbilisi: BTCC - Policy Research Group, 2006.
- UZER, U. “IDENTITY AND TURKISH FOREIGN POLICY The Kemalist Influence in Cyprus and the Caucasus, New York”, International Journal of Middle East Studies 17, 2011.

საქართველოს როლი ამიერკავკასიის მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში

ვიცე-პოლკოვნი არკადი ანთია

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების უფროსი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის შემდეგ, რამაც ფაქტობრივად წერტილი დაუსვა ცივი ომის პოლიტიკას 90 - იან წლებში, გეოპოლიტიკურ რუკაზე გამოჩნდნენ ახალი სუვერენული სახელმწიფოები და შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობების ახალი ეპოქა. მთავარ მსოფლიო მოთამაშეებს დაესახათ მიზნები და ამოცანები გაეფართოებინათ თავიანთი გავლენები და ინტერესები, რასაც ლოგიკურად მოჰყვა დაპირისპირებათა ტალღა და კონფლიქტები რიგ სახელმწიფოებში. თვითგამორკვევის პროცესში მყოფ პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობას (ბალტიის ქვეყნების გამოკლებით) თავიდან გაუჭირდათ სანდო პარტნიორების პოვნა და მათი დარწმუნება იმაში, რომ ისინი საბოლოოდ ცდილობდნენ პოლიტიკური რელსების შეცვლას და დასავლური განვითარების დემოკრატიულ გზებზე გადასვლას. ამასთან ერთად, საბჭოთა ნანგრევებზე დარჩენილ რუსეთს არ უნდოდა თავისი ჰეგემონიის შემცირება და ყველანაირი მეთოდებით ცდილობდა დაესუსტებინა ახლადშექმნილი სოციალისტური იმპერიიდან გამოსული „ქორფა“ სახელმწიფოები, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამდნენ საერთაშორისო ასპარეზზე. მიუხედავად საბჭოთა კავშირის დაშლისა და რუსეთის ფედერაციის სუსტი პოზიციისა, ის მაინც ცდილობდა საკუთარი თამაშის წესების დამკვიდრებას მეზობელ სახელმწიფოებში, ეთნოკონფლიქტების გაღვივების შედეგად ფიტავდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს და ევროტერორისტული ცისფერჩაფხუტიანების გაგზავნით კონფლიქტურ ზონებში იმყარებდა თავის პოზიციებს.

მსგავსი ქმედებების ეპიცენტრი გახდა ამიერკავკასია. რუსული მზაკვრული გეგმის შედეგი იყო ქართულ - აფხაზური დაპირისპირება 1992 - 1993 წლებში და ქართულ - ოსური დაპირისპირება 1991-1992 წლებში. მათივე დაგეგმილი და წაქეზებული იყო მთიანი ყარაბაღის ომი სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის 1991-1994 წლებში. რუსეთს აწყობდა და აწყობს დასუსტებული და დაქსაქსული მეზობელი სახელმწიფოები, რათა მარტივად ჩაერიოს მათ შიდა საქმეებში და თავს მოახვიოს საკუთარი ინტერესები.

ზოგადად კავკასიაში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არა მარტო მოცემული რეგიონის ქვეყნებზე, არამედ მსოფლიო ტრანსრეგიონალურ პროცესებზეც, მათ შორის ევროატლანტიკურ სივრცეში არსებულ მდგომარეობაზე. ეს არის არამარტო შავი და კასპიის ზღვების აუზის ქვეყნების, არამედ ევროპის, აზიისა და შეგვიძლია ვთქვათ, აფრიკის ქვეყნების სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების არეალიც. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისთვის გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე აქტიური ურთიერთობა საქართველომ ჩამოაყალიბა. აზერბაიჯანმა გასაგები მიზეზებიდან გამომდინარე თურქული ვექტორი გაითვალისწინა საკუთარი ეროვნული ინტერესების გასატარებლად. სომხებმა რუსული გავლენების გაძლიერებას შეუწყვეს ხელი საკუთარ ქვეყანაში, რადგან სხვა პერსპექტივას იმ დროისათვის ვერ ხედავდნენ. აღნიშნული ვითარება მეტად აჭიანურებდა რეგიონში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესებს. მიუხედავად საქართველოში არსებული მდგომარეობისა, როდესაც მას გააჩნია პრობლემები, მეზობელი რუსეთის მიერ საკუთარი ტერიტორიების ნაწილის ოკუპაციის გამო, ის მაინც ახერხებს სომხეთთან და აზერბაიჯანთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებას. მეტიც, ის ცდილობს და ხშირ შემთხვევაში გამოსდის კიდევ, რეგიონში მედიატორის როლის მორგებას, რასაც ადასტურებენ ბოლო დროში განვითარებული მოვლენები. ამისი ერთ-ერთი მაგალითი იყო მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ორგანიზებული სომხეთისა და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრების სამმხრივი შეხვედრა შატო მუხრანში.

მიმდინარე მოვლენებმა ცხადყო, რომ არსებულ მდგომარეობაზე ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა თავად სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს გააჩნიათ. შესაბამისად, აუცილებელია დიალოგის განახლება, კონსტრუქციული და დინამიკური მოლაპარაკებების დაწყება ერთმანეთში და იმისი გაცნობიერება, რომ რეგიონის განვითარება სამივე რესპუბლიკისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. მსგავსი ფორმატის შეხვედრების ორგანიზება და მედიატორობა აღნიშნულ სიტუაციაში საქართველოს უფრო ხელეწიფება გასაგები მიზეზებიდან გამომდინარე. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ როლს ქვეყნის ხელისუფლება მეტნაკლებად კარგად ართმევს თავს. თუკი მხარეები წავლენ სამართლიან დათმობაზე და გარე ძალების ნეგატიური ჩარევის გარეშე შეძლებენ დაარეგულირონ პრობლემები, შესაძლებელია მალე ის სურათი ვიხილოთ რეგიონში, რაც მას მეტად საინტერესოს, უსაფრთხოს და მიმზიდველს გახდის ინვესტორებისთვის და ტურისტებისთვის.

საქართველოს, რომელსაც არანაირი პირადი ინტერესი არ გააჩნია სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირებაში, მეტიც, მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება, შეუძლია მეტი ჩართულობითა და შუამავლობით მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ამიერკავკასიაში მშვიდობისა და განვითარების უზრუნველყოფაში.

საკვანძო სიტყვები:

მედიატორი, სამხრეთ კავკასია, რეგიონალური უსაფრთხოება, ეროვნული ინტერესები, ინვესტიციები.

Georgia's Role in Ensuring Peace and Stability in Transcaucasia

Lieutenant Colonel Arkadi Antia

LEPL-David Agmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Head of Defense Analysis Master Program
Doctor of Social Sciences

Abstract

After the collapse of the Union of Soviet Socialist Republics, which effectively put an end to Cold War politics in the 90s, new sovereign states appeared on the geopolitical map and a new era of international relations was created. The main world players set goals and objectives to expand their influence and interests, which logically resulted in a wave of confrontations and conflicts in a number of states. Most of the post-Soviet countries in the process of self-determination (except the Baltic states) initially found it difficult to find reliable partners and were frustrated that they eventually tried to change political tracks and move to democratic ways of Western development. At the same time, Russia, left on the ruins of the Soviet Union, did not want to reduce its hegemony and tried to weaken the "fresh" states emerging from the newly created socialist empire, which were taking their first steps in the international arena. Despite the collapse of the Soviet Union and the weak position of the Russian Federation, it still tried to establish its own rules of the game in the neighboring states, as a result of inciting ethno-conflicts, it attacked the former Soviet republics and strengthened its positions by sending the so-called „blue helmets" to the conflict zones.

Transcaucasia became the epicenter of similar actions. The result of the Russian insidious plan was the Georgian-Abkhaz conflict in 1992-1993 and the Georgian-Ossetian conflict in 1991-1992. The Nagorno-Karabakh war between the Armenian and Azerbaijani people in 1991-1994 was planned and instigated by them as well. Russia wanted weakened neighboring states to lead them and take care of its own interests.

In general, the current situation in the Caucasus has a significant impact not only on the countries of this region, but also on world transregional processes, including the current situation in the Euro-Atlantic space. This is the area of strategic and economic interests not only of the countries of the Black and Caspian sea basins, but also of Europe, Asia and, we can say, Africa too. Therefore, any steps taken to establish peace and stability in the region are of particular importance.

It should be noted that Georgia has established the most active relations with international organizations among the countries of the region. Azerbaijan, for obvious reasons, took into account the Turkish vector to pursue its own national interests. Armenians contributed to the strengthening of Russian influence in their region, because they did not see any other perspective at that time. The mentioned situation greatly delayed the processes of peaceful resolution of conflicts in the region. Despite the current situation in Georgia, when it has problems due to the occupation of part of its territories by neighboring Russia, it still manages to maintain friendly relations with Armenia and Azerbaijan. Moreover, he tries even succeeds in adjusting the role of a mediator in the region, which is confirmed by recent events. One of the examples of this was the tripartite meeting of the Prime Ministers of Armenia and Azerbaijan organized on the initiative of the Prime Minister of Georgia on October 26 of this year in "Château Mukhrani".

The current events have made it clear that the South Caucasus republics themselves have the greatest responsibility for the current situation. Therefore, it is necessary to renew the dialogue, to start constructive and dynamic negotiations with each other and to realize that the development of the region is equally important for all three republics. Organizing and mediating meetings of a similar format in the mentioned situation is more in the hands of Georgia due to obvious reasons. It is good that the Georgian government is doing this job good. If the everybody make a fair concession and manage to settle the problems without negative interference from external forces, it is possible to see a picture in the region soon that will make it more interesting, safe and attractive for investors and tourists.

Georgia, which has no personal interest in the Armenia-Azerbaijan conflict, moreover, it is vital for it to establish peace and stability in the region, can play a decisive role in ensuring the development of Transcaucasia through greater involvement and mediation.

Keywords:

mediator, South Caucasus, regional security, national interests, investments.

შესავალი

კავკასია იყოფა ორ სუბრეგიონად: ჩრდილოეთ (იმერკავკასია) და სამხრეთ კავკასიად (ამიერკავკასია). XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მრავალეროვნული გაერთიანების დაშლისა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, ცნება „ამიერკავკასია“ შეიცვალა უფრო ზუსტი და კორექტული - „სამხრეთ კავკასიის“ ტერმინით.¹ საბჭოთა კავშირის დაშლითა და „ცივი ომის“ დასრულებით, კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალი, გარდამტეხი ეპოქა იწყება. ბორის ელცინის მმართველობის პირველივე წლებში ფართო საზოგადოებამ შესანიშნავად გააცნობიერა, რომ მოსკოვი პოსტსაბჭოთა სივრცეს ისევ თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევდა და არც სამხრეთ კავკასია გახლდათ გამონაკლისი.² ამასთან, სამიზნე რეგიონში პოლიტიკური კლიმატი ფუნდამენტურად იცვლება. სსრკ-ის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ავანსცენაზე სხვა დიდი მოთამაშეების ინტერესები იკვეთება, რომლებიც „კავკასიაში გავლენების მოსაპოვებლად არ იშურებენ არც კაპიტალდაბანდებებს და არც სამხედრო - პოლიტიკურ ძალისხმევას“.³

სამხრეთ კავკასია შედარებით ნაკლებ ტერიტორიას მოიცავს, მაგრამ გამოირჩევა მოსახლეობის მნიშვნელოვნად მაღალი სიმჭიდროვით და განვითარების დიდი პოტენციალით. სამხრეთ კავკასიის შემადგენლობაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოა თავისი მნიშვნელოვანი განსხვავებებით. ესენია: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. მოცემულ სტატიაში განვიხილავთ საქართველოს როლს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის გამყარების კუთხით.

ძირითადი ნაწილი

საქართველო, როგორც სხვა სახელმწიფოები, ცდილობს ღირსეული ადგილი დაიკავოს საერთაშორისო არენაზე. თუმცა, როგორც ვიცით, ეს არ არის მარტივი პროცესი. XXI საუკუნემ და ახალმა გამოწვევებმა საქართველოს როლი შრომის საერთაშორისო დანაწილების კუთხით უფრო მნიშვნელოვანი გახადა, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. ბოლო წლებში საქართველო სერიოზულ ფინანსურ დახმარებას იღებს ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვა. თბილისში 9 საერთაშორისო ორგანიზაციის ჰყავს მუდმივი წარმომადგენლობა. ქვეყნისთვის განსაკუთრებით პრიორიტეტული გახდა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ნატოსა და ევროკავშირში გასაწევრიანებლად. 1996 წელს საქართველოსა და ევროკავშირის შორის დაიდო შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.⁴ 2004 წელს შემუშავდა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგია“,⁵ რომელმაც საქართველოს ევროკავშირთან ახალი ურთიერთობების დამყარების საშუალება მისცა. 2013 წლის 23 ივლისის ვილინიუსის სამიტი საქართველოსთვის ისტორიული გამოდგა, რადგან სწორედ ამ დროს საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების პარაფირება დაასრულა,⁶ რაც ევროკავშირის წევრ და არაწევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობაზე შეთანხმებას ნიშნავდა. ეს თანამშრომლობა, ზოგადად, მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ისე სავაჭრო, სოციალურ, კულტურულ და უსაფრთხოების სფეროებს. ასოცირების ხელშეკრულების სამართლებრივ ბაზად მიიჩნევა „ევროკავშირის ფუნქციონირების შეთანხმების“ 127-ე მუხლი.⁷

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა ოთხ ბლოკს. ის, თავის მხრივ, შედგებოდა ორი (საკანონმდებლო და იმპლემენტაციის) ფაზისაგან. თითოეულის ფარგლებში მიღწეულ პროგრესსა და ქვეყნის მზადყოფნას შემდგომი ნაბიჯებისათვის განსაზღვრავდნენ ევროკავშირის საგანგებო შემფასებელი მისიები, რომლებიც შესაბამის ანგარიშებში იძლეოდნენ კონკრეტულ რეკომენდაციებს. შედეგად, ქვეყანამ 2014 წელს სამოქმედო გეგმის 1-ლი ფაზა დახურა, 2015 წლის 18 დეკემბერს კი მე-2.

2016 წლის 9 მარტს ევროკავშირის ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურად წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება N 539/2001 რეგულაციაში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილება ითვალისწინებდა ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებთან მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებას, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ფლობენ ბიომეტრიულ პასპორტს შეუძლიათ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობა. ევროკავშირის ინსტიტუტებში დაახლოებით ერთწლიანი განხილვების შემდეგ, 2017 წლის 2 თებერვალს ხსენებული წინადადება დამტკიცდა ევროპარლამენტის მიერ, ხოლო 27 თებერვალს, ევროკავშირის საბჭოს მიერ. რამდენიმე დღეში განახლებულ რეგულაციას უკვე ხელი მოეწერა ევროპარლამენტის პრეზიდენტისა და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენლის მიერ, რის შემდეგაც 8 მარტს იგი

1 კ. ყალიჩავა, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, 2016;

2 გ. ჯანდიერი, თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები, 2016;

3 დ. ჯოჯუა, „რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები“, 2010;

4 <https://matsne.gov.ge> შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ (გადამოწმებულია 11.11.2023).

5 <https://infocenter.gov.ge> ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა (გადამოწმებულია 11.11.2023).

6 <https://dcfta.gov.ge/ge/agreement> (გადამოწმებულია 11.11.2023).

7 <https://matsne.gov.ge/ka/document/> „ევროკავშირის ფუნქციონირების შეთანხმების“ 127-ე მუხლი (გადამოწმებულია 11.11.2023).

გამოქვეყნდა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში. 2017 წლის 28 მარტიდან კი, საქართველოს მოქალაქეები პირველად გაემგზავრნენ უვიზოდ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში.⁸

ასევე, ხაზი გვინდა გავუსვავთ მიმდინარე წლის 8 ნოემბერს ევროკომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციას საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით,⁹ რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ შორეულ პერსპექტივად გვესახებოდა, თუმცა ევროპაში, ამიერკავკასიის რეგიონში და ზოგადად მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყვეს, რომ კანდიდატის სტატუსის მოპოვება არც თუ ისე შორეული მომავალია. მეტიც, რაციონალურად გადადგმულმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა შესაძლოა დინამიკაში ვითარება ისე სწრაფად შეცვალონ, რომ ისტორიული მოვლენა - საქართველოს ევროპულ ოჯახში გაწევრიანება „ხვალინდელი დღის“ წესრიგში გახდეს შესაძლებელი.

მნიშვნელოვანი ძვრებია საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან (შემდეგში ნატო) ურთიერთობების თვალსაზრისითაც. ამისი პირველი მაგალითი იყო საქართველოს მონაწილეობა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში 1996 წელს. ნატოსთან თანამშრომლობის ინდივიდუალური პროგრამა ითვალისწინებდა საქართველოს ფართომასშტაბიან მონაწილეობას სხვადასხვა სახის სამხედრო წვრთნებსა და ღონისძიებებში. საქართველოსთვის ეს იყო რეალური შანსი, რომ აქმაღლებინა არა მარტო თავისი სამხედრო ძალების პროფესიონალიზმი, არამედ საერთაშორისო პრესტიჟიც.¹⁰ 2008 წლიდან მოყოლებული ნატო-საქართველოს კომისია (NGC) უზრუნველყოფს მჭიდრო პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის პლატფორმას ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ძალისხმევისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდასაჭერად. 2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე საქართველომ მიიღო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასა და ალიანსში გაწევრიანებისთვის მომზადებას. 2020 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა ნატო-საქართველოს განახლებული არსებითი პაკეტი (SNGP), რომელმაც ახალი ვადები დააწესა და შემოიტანა განახლებული ამბიციები. 2022 წლის მადრიდის სამიტზე მოკავშირეებმა მხარი დაუჭირეს საქართველოზე მორგებულ მხარდაჭერის ღონისძიებების ერთობლიობას, ვინაიდან საქართველო, როგორც ნატოს ერთ-ერთი პარტნიორი გარე საფრთხეების და უსაფრთხოების არსებულ გარემოში ჩარევის უშუალო გავლენას განიცდის, რაც გამოწვეულია რუსეთის აგრესიული ომით უკრაინის წინააღმდეგ.¹¹

რაც შეეხება აზერბაიჯანს, ის დღეს არის ლიდერი სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. აზერბაიჯანი ასევე საიმედო პარტნიორია ენერჯეტიკის სფეროში. თუმცა მან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებიდან დღემდე რთული და გამოწვევებით სავსე გზა გაიარა. მასაც, როგორც თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას, თავიდან გაუჭირდა საკუთარი ადგილის დამკვიდრება საერთაშორისო ასპარეზზე; არ ჰყავდა, შესაბამისი მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპეტენტური ადამიანური რესურსი, მოშლილი იყო საფინანსო/საბანკო სისტემა, ეკონომიკა განიცდიდა რეცესიას, სახელმწიფო კორუფციაში იყო ჩაფლული და რაც ყველაზე მთავარია - მას ჰქონდა ტერიტორიული პრობლემა.

1991 – 1993 წლებში აზერბაიჯანი ჩათრეულ იქნა კონფლიქტში სომხეთთან მთიანი ყარაბაღის გამო, რის შედეგადაც მოხდა აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილის ოკუპირება სომხეთის მხრიდან რუსული ძალების დახმარებით. ვითარება ფაქტობრივად უცვლელი რჩებოდა 2003 წლამდე, ვიდრე ბაქოში პრეზიდენტის პოსტზე ჰეიდარ ალიევი არ ჩაანაცვლა თავისმა შვილმა ილჰამ ალიევმა. 2005 წელს ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის 1760 კილომეტრიანი ნავთობსადენის ამოქმედების შემდეგ ვითარება აზერბაიჯანში რადიკალურად შეიცვალა. 2005 – 2007 წლებში აზერბაიჯანს ჰქონდა ყველაზე სწრაფი ეკონომიკური განვითარების ინდექსი მსოფლიოში.¹² აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR -ი გახდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინვესტორი თურქეთში, რომელმაც 18 მილიარდ ამერიკულ დოლარად შეიძინა საბერძნეთის ბუნებრივი გაზის ქსელის ორი მესამედი. მსგავსმა ვითარებამ აზერბაიჯანს საშუალება მისცა თავდაცვის ბიუჯეტი 4 მილიარდ ამერიკულ დოლარამდე გაეზარდა.

აზერბაიჯანი ცდილობდა მოეპოვებინა თავისი ადგილი საერთაშორისო ორგანიზაციებში, მაგრამ მაქსიმალურად ცდილობდა ჰქონოდა დაბალანსებული პოლიტიკა და ზედმეტად არ დაჰყრდნობოდა ისეთ კავშირებს, რომლებსაც ცალსახად ან რუსეთი ან დასავლეთი აკონტროლებდნენ. აქედან გამომდინარე, ის არ ჩქარობდა არც რუსეთის ხელმძღვანელობით შექმნილ ეკონომიკურ და უსაფრთხოების ორგანიზაციებში, ან შეერთებული შტატების პატრონაჟით შექმნილ გაერთიანებებში გაწევრიანებას. ბოლო პერიოდში აზერბაიჯანი ცდილობდა ახალი მეგობრების შეძენას განსაკუთრებით ჩინეთსა და მალაიზიაში.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან თურქეთი გახდა აზერბაიჯანის ყველაზე ახლო მოკავშირე. კარგად ცნობილი სლოგანი - “ერთი ერი, ორი სახელმწიფო” - მაღავს ურთიერთობების ბევრ რთულ ასპექტს, მათ შორის ძალიან განსხვავებულ შეხედულებას ახლო აღმოსავლეთზე, სადაც აზერბაიჯანმა

8 <https://migration.commission.ge> საქართველო და ევროკავშირი (გადამოწმებულია 11.11.2023).

9 <https://europettime.eu/ka/> ევროკომისიამ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. (გადამოწმებულია 11.11.2023).

10 <https://matsne.gov.ge/> „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ. (გადამოწმებულია 11.11.2023).

11 <https://www.nato.int/cps/> ურთიერთობები საქართველოსთან

12 De Waal, Thomas. 2016. Azerbaijan at 25: A New Era of Change and Turbulence (გადამოწმებულია 12.11.2023).

დაამყარა ძლიერი ურთიერთობა ისრაელთან.¹³ ის ასევე ინარჩუნებდა მშვიდ და დალაგებულ ურთიერთობას მოსკოვთან, განსაკუთრებით ფერადი რევოლუციების პერიოდში, რადგან არ სურდა ძალაუფლების დაკარგვა და მთავრობის ცვლილება. პარალელურად აზერბაიჯანის მთავრობა ცდილობდა დასავლეთისგან გარკვეული უსაფრთხოების გარანტიებისა და დამატებითი ბენეფიტების მიღებას, თუმცა იგნორირებას ახდენდა მათ მოთხოვნაზე, თუნდაც სამართლიანი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ევროკავშირთან ურთიერთობებს, ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის ახალი პარტნიორობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების წარმართვა დაიწყო 2017 წლის თებერვლიდან. 2018 წლის 4 ივლისს ევროპარლამენტმა განაცხადა, რომ არ გააგრძელებს დისკუსიებს აზერბაიჯანთან პარტნიორობის შესახებ, თუ აზერბაიჯანი არ გააუმჯობესებს ადამიანის უფლებების მდგომარეობას. ამ პერიოდში იყო უთანხმოება ვაჭრობის შესახებ კონკრეტულ პუნქტებთან დაკავშირებით და ზოგადად, აზერბაიჯანმა დაადანაშაულა ევროკავშირი ადამიანის უფლებების მიმართ ზედმეტად კრიტიკულ დამოკიდებულებაში და მთიანი ყარაბაღის საკითხზე არასაკმარისი ფოკუსირებისთვის.¹⁴

სომხეთის რუსეთთან ურთიერთობა ყოველთვის იყო მისი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი. 1991 წელს სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოყოლებული, რუსეთი სომხეთის უმთავრესი პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირე იყო. ეს გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზს ეფუძნებოდა - გეოპოლიტიკა, ისტორია და დიდი სომხური თემი რუსეთში. რუსეთის სამხედრო ბაზა და მესაზღვრეები სომხეთში განლაგდნენ, ერევანი კი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს შეუერთდა. ამავდროულად, უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში, სომეხ და დასავლელ ექსპერტთა წრეებში გაბატონებული იყო აზრი სომხეთის რუსეთზე ზედმეტად დამოკიდებულების საშიშროების შესახებ. ბევრი მათგანი სომხეთს მთლიანად რუსეთზე დამოკიდებულად მიიჩნევდა და ცვლილებებისკენ მოუწოდებდა.¹⁵

სომხეთმა 2017 წლის ნოემბერში წარმატებით მოახერხა ევროკავშირთან ყოვლისმომცველი და გაძლიერებული პარტნიორობის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც 2021 წლის მარტში შევიდა ძალაში.¹⁶ 2021 წლის 2 ივლისს ევროკომისიამ და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა მომდევნო წლებში აღმოსავლეთ პარტნიორობთან თანამშრომლობისთვის პრიორიტეტის მინიჭების თაობაზე წინადადება წარმოადგინეს.¹⁷ საწყის ეტაპზე პროექტი გულისხმობდა 1.6 მილიარდი ევროს ღირებულების დაფინანსებას სომხეთისთვის, 14 140 მილიონ ევროს - აზერბაიჯანისთვის, ხოლო 1.175 მილიარდი ევროს - საქართველოსთვის; ეს თანხები მოიცავდა გრანტებს, სესხებს, გარანტიებსა და დანამატებს.

მოულოდნელი აღმოჩნდა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში, ჯოზეფ ბორელის ამჟამინდელი განცხადება. ის აღნიშნავს, რომ „ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, დღეს გამართულ შეხვედრაზე მხარი დაუჭირეს სომხეთში სამოქალაქო მისიის გაზრდის წინადადებას, რომელიც „აზერბაიჯანთან საზღვრის რთულ მონაკვეთებზე“ მეტი პატრულირების განხორციელების შესაძლებლობას შექმნის“. „ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს სომხეთის დესტაბილიზაციის მცდელობის მიმართ როგორც შიგნიდან, ისე გარედან. ჩემი გზავნილი აზერბაიჯანისთვის ნათელი იყო, რომ სომხეთის ტერიტორიული მთლიანობის შელახვის ნებისმიერი მცდელობა მიუღებელი იქნება და ამას ჩვენი ურთიერთობების ხარისხზე მძიმე შედეგები ექნება“. მისი თქმით - „მინისტრებმა ასევე განიხილეს ევროპის მშვიდობის ფონდიდან სომხეთის შესაძლო მხარდაჭერა და სომხეთის მოქალაქეებისთვის „ვიზა ლიბერალიზაციის ვარიანტი“.¹⁸

ცალკე აღნიშვნის ღირსია სომხეთ-ირანის ურთიერთობები, რომლებიც 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩნდება. სომხეთი აფასებდა ირანის დაბალანსებულ მიდგომას ყარაბაღის 1992-1994 წლების ომის მიმართ. 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც აზერბაიჯანმა და თურქეთმა თავიანთი საზღვრები ჩაკეტეს, ხოლო საქართველოზე გამავალი გზები შიდა არეულობის გამო უსაფრთხო აღარ იყო, სომხეთ-ირანის საზღვარი ნამდვილ სასიცოცხლო ხაზად იქცა. სომხეთმა და ირანმა, ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, მეგობრული ურთიერთობები ყარაბაღის ომის შემდეგაც გააგრძელეს. სანიმუშო პროექტად იქცა სომხეთ-ირანის გაზსადენი, რომელიც 2007 წლის მარტში ამოქმედდა.¹⁹ ორმხრივი გაცვლის ხელშეკრულების თანახმად, სომხეთი ირანთან გაზის იმპორტსა და ელექტროენერჯის ექსპორტს ახორციელებს. სქემის მიხედვით, სამ კუბურ მეტრ გაზს სომხეთი საათში ერთი კილოვატი ელექტროენერჯის სანაცვლოდ იღებს.

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის პარალელურად სომხეთმა ნატოსთან ურთიერთობის პირველი ნაბიჯები გადადგა. მაგრამ ეს თანამშრომლობა რუსე-

13 De Waal, Thomas. 2016. Azerbaijan at 25: A New Era of Change and Turbulence (გადამოწმებულია 12.11.2023).

14 European Parliament, Negotiations on the EU-Azerbaijan Comprehensive Agreement. 4 July 2018. (გადამოწმებულია 12.11.2023).

15 ბ. პოლსიანი, სომხეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები, 2021.

16 “EU-Armenia: Signing Ceremony of the Comprehensive and Enhanced Partnership Agreement,”

17 “Eastern Partnership: A Renewed Agenda for Recovery, Resilience and Reform Underpinned by an Economic and Investment Plan,”

18 <https://www.interpressnews.ge/ka/article/777520-jozep-borelis> (გადამოწმებულია 12.11.2023).

19 <https://www.gtreview.com/news/global/armenia-and-iran-open-gas-pipeline/> (გადამოწმებულია 12.11.2023).

თის ნებართვის ფონზე ხორციელდებოდა და არ განვითარდა. 2017 წლის აგვისტოში საქართველოში ნატოს მიერ ჩატარებული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2017“ - ში სომხეთის მონაწილეობის სურვილმა ოდითხანე ვითარება შექმნა. სომხეთის მონაწილეობა ერთმნიშვნელოვნად არ მიიღეს შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა. აშშ ამას აფასებდა სომხეთის მხრიდან ნატოსთან ურთიერთობების განვითარების მცდელობად, რუსეთმა კი, სომხეთი შეაფასა მისი ორბიტისგან დაშორებულ ქვეყნად. აქედან გამომდინარე, სომხეთმა გაითვალისწინა რუსეთის შენიშვნა და უარი თქვა სწავლებაში მონაწილეობაზე.²⁰

ცხადია რუსეთი რეგიონში მიზიდულობის ცენტრად ვერ ჩამოყალიბდა, ვერ შესთავაზა მეზობლებს ალტერნატიული, კონკურენტული მოდელი დასავლეთისგან განსხვავებით. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილმა ორგანიზაციამ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ“²¹ ვერ გაამართლა. მოგვიანებით „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“ - ს პროექტი წარადგინა რუსეთმა, რომელსაც 2015 წლიდან ყირგიზეთთან ერთად სომხეთიც შეუერთდა.²² ვერც ამ კავშირმა ვერ შეძლო ნაყოფიერი ურთიერთობების ჩამოყალიბება წევრებს შორის. ასევე ვერ გაამართლა რუსეთის ინიციატივით შექმნილმა „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია“²³-მ, რომლის შემადგენლობაში შედის ასევე სომხეთი. ამ ორგანიზაციებს და კავშირებს არ შეიძლება ევროკავშირზე ან ნატოზე მეტი ხიბლი ჰქონდეთ. მიუხედავად ამისა, ის მაინც ცდილობს თავისი გავლენების გაფართოებას კავკასიის რეგიონში. თუმცა საქართველოსთან მიმართებაში რუსეთს, სეპარატისტული რეგიონების აღიარების შემდეგ, ამოეწურა კონფლიქტებით ზემოქმედების ბერკეტები და ერთადერთ შესაძლებლობად პირდაპირი აგრესია დარჩა. ის ასევე რთულ ვითარებაშია სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაშიც, რადგან ყარაბაღის 2020 წლის კონფლიქტის მერე მისი „უსუსური“ პოზიციის გამოვლენით დაკარგა ნდობა სომეხ მოსახლეობაში და აზერბაიჯანის არმიის 2023 წლის 21 სექტემბრის ერთდღიანი შეტევის შემდეგ ყარაბაღის ტერიტორიაზე ფაქტობრივად უფუნქციო მდგომარეობაში დარჩა. მიმდინარე წლის 21 სექტემბრის მოვლენამ მოულოდნელი შედეგი გამოიღო რეგიონის სტაბილურობის პერსპექტივის თვალსაზრისით.

2023 წლის 19 სექტემბერს, აზერბაიჯანმა თავდაცვის სამინისტროს განცხადებით მსოფლიოს ამცნო „ანტიტერორისტული ოპერაციის“ დაწყება და წერტილოვან იერიშებზე გადავიდა. გამოყენებული იყო თურქული „ბაირატარები“ და კამიკაძე დრონები. სომხური მხარის ინფორმაციით, აზერბაიჯანმა ასევე გამოიყენა ზალპური ცეცხლის სისტემები, თუმცა ამ ეტაპზე ამის ვიდეო მტკიცებულება არ გავრცელებულა.

იმავე საღამოს აზერბაიჯანის მხარის ულტიმატუმი გავრცელდა, რომ არაღიარებული რეგიონის სრული კაპიტულაციის შემთხვევაში, მშვიდობიანი დიალოგის გამართვა შესაძლებელი იყო.²⁴ მთიანი ყარაბაღის სადავო რეგიონზე ერთდღიანი შეტევის შემდეგ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა სატელევიზიო მიმართებაში აღდგენილად გამოაცხადა აზერბაიჯანის სუვერენიტეტი. 2023 წლის 20 სექტემბერს მთიანი ყარაბაღის სომხურმა ხელმძღვანელობამ გამოაცხადა მზადყოფნა დანებდეს აზერბაიჯანს, რათა თავიდან აიცილოს შემდგომი სისხლისღვრა. ადგილობრივ არმიას, ამჯერად სომხეთისგან დახმარება არ მიუღია.²⁵ 2023 წლის 21 სექტემბერს ყარაბაღის არაღიარებულმა მთავრობამ კაპიტულაცია გამოაცხადა.²⁶

ომი უკრაინაში, სომხეთის ურთიერთობების მოგვარების ნიშნები თურქეთთან, აზერბაიჯანთან და დასავლეთთან, რუსეთის დაპირისპირება ცივილიზებულ სამყაროსთან, ჩინეთის მსოფლიო მოთამაშედ გახდომის მოზღვავებული ინტერესები და ასევე მისი ინვესტიციების მიმართვა კავკასიის რეგიონისკენ, საქართველოს აყენებს, როგორც რთული გამოწვევების, ასევე პოზიტიური პერსპექტივების მიღების შესაძლებლობებს წინაშე. სამხრეთ კავკასიაში ახალი წესრიგის დამყარების ნიშნები ჩნდება, სადაც საქართველოს ძლიერი პოზიციონირებისთვის ესაჭიროება აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება და ბევრი აქამდე არსებული საგარეო პოლიტიკური ჭეშმარიტების გადახედვა. დღეს, რომ რუსეთს კავკასიის რეგიონში ექსკლუზიური მართვის შესაძლებლობა არ გააჩნია, ეს კარგად ესმით მოსკოვში. ამიტომაც, ის რეგიონში არსებულ სხვა ამბიციურ ძალებთან ერთად ცდილობს ახალი წესრიგის აგებას. ამ ძალებად ის მოიაზრებს თურქეთს, ირანს და ჩინეთს, რომლებიც რეგიონალურ მოთამაშეებად აღიქმებიან. რუსეთის გადმოსახედიდან არარეგიონალური ძალები, ისეთები, როგორცაა აშშ და ევროკავშირი მაქსიმალურად გარიყულები უნდა იყვნენ კავკასიიდან.

1990-იან წლებში საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს ევროპისა და ცენტრალური აზიის/ჩინეთის დამაკავშირებელ სივრცედ მოიაზრებდა და ამისთვის შთამბეჭდავ შედეგებსაც მიაღწია ტრანსრეგიონული ინფრასტრუქტურის აშენების კუთხით. 2004-2012 წლებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს საქართველოს ტრანზიტული როლი ისევ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად რჩებოდა. 2012 წლიდან დღემდე პრაქტიკულად იდენტური ხედვა

20 ჰ. ჯაბრალი, სომხეთი-ნატოს ურთიერთობები, ნოემბერი 2. 2017წ.

21 on.ge/story/6011-25 (გადამოწმებულია 12.11.2023).

22 <https://tabula.ge/ge/new> (გადამოწმებულია 12.11.2023).

23 <https://odkb-csto.org/> (გადამოწმებულია 12.11.2023).

24 <https://www.ambebi.ge/article/ერთდღიანი ომის ქრონიკა>. (გადამოწმებულია 12.11.2023).

25 <https://www.radiotavisupleba.ge/რა ხდება ყარაბაღში> (გადამოწმებულია 12.11.2023).

26 <https://ipress.ge/news/მთიანი ყარაბაღის ომბუცმენი> (გადამოწმებულია 12.11.2023).

დომინირებს. ამრიგად, ათწლეულების განმავლობაში ტრანზიტული როლი რეგიონში საქართველოს პოზიციონირების ქვაკუთხედს წარმოადგენს.²⁷

დღეს, რეგიონში მიმდინარე პროცესები ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში საქართველოს პოლიტიკური პრიორიტეტების გამრავალფეროვნებას მოითხოვს. ეს არ ნიშნავს ტრანზიტულ პოლიტიკაზე უარის თქმას, თუმცა ამასთან ერთად მას უნდა შეეძლოს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულება. მეზობლებთან ურთიერთობები იმგვარად უნდა აიგოს, რომ საქართველოს მხარდაჭერა გადამწყვეტი გახდეს, ხოლო მისი ჩართულობის გარეშე რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროექტების განხორციელება არაეფექტური იყოს. თავისი ისტორიული ფუნქციიდან გამომდინარე საქართველო დიდ მოთამაშეებთან დამბალანსებლად უნდა გამოდიოდეს. თურქეთისთვის ჩვენ რუსეთის შემაკავებელი ბირთვი ვიყავით, ისევე, როგორც რუსეთს არ ძალუძს პირდაპირი სახმელეთო საზღვრების ქონა თურქეთთან. ბაქო ჩვენ განგვიხილავს, როგორც მის ყველაზე საიმედო პარტნიორს მეზობლებს შორის და მისი ეკონომიკის დამაკავშირებელს დასავლეთთან. სომხეთისთვის საქართველო წარმოადგენს ერთგვარ არტერიას, რისი საშუალებითაც მან დღემდე შეძლო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება.

მიმდინარე მოვლენების ფონზე საქართველოს პოზიციის გაძლიერება ევრაზიაში სავაჭრო გზებზე მიმდინარე ცვლილებების რაციონალურად გამოყენებითაც შეუძლია. „შუა დერეფანი“, რომლითაც თურქეთიდან ცენტრალურ აზიამდე და ჩინეთამდე გადის სავაჭრო გზა, დღეს საკმაოდ სახარბიელო გეოპოლიტიკურ ვითარებას ქმნის. ეს კი საქართველოს არამარტო თურქეთისთვის და აზერბაიჯანისთვის ხდის უფრო მეტად მნიშვნელოვან მოთამაშედ, არამედ კოლექტიური დასავლეთისთვის და ჩინეთისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტერესებშია, საერთაშორისო საზოგადოების ხელშეწყობით და მრავალმხრივი დიპლომატიის ინსტრუმენტების გამოყენებით, შექმნან რეგიონული თანამშრომლობის ისეთი პრაქტიკა, რომელიც შესაძლებელს გახდის მოხდეს კონფლიქტების შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილება, პოლიტიკური ნდობის აღდგენა, გარე ძალების მიერ სუვერენიტეტის შესაძლო შეზღუდვის პრევენცია და ხალხთაშორისი და ეკონომიკური კავშირების გაღრმავება.²⁸

ამისი მაგალითია 2020 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ „თბილისი მზად არის, ნებისმიერი ფორმით შეუწყოს ხელი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის განახლებული კონფლიქტის დარეგულირების პროცესს. საჭიროების შემთხვევაში, საქართველო მზად არის ორ მეზობელ ქვეყანას შორის დიალოგს უმასპინძლოს“.²⁹

2021 წლის 25 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წარადგინა მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივა, რომლის ამოსავალი წერტილი რეგიონში ხანგრძლივი მშვიდობისა და კეთილდღეობის მიღწევაა.³⁰ მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივის გაცხადებით, საქართველოს სურვილი და მიზანია რეგიონში თანამშრომლობისა და მშვიდობის ატმოსფეროს ჩამოყალიბება. მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივა არ არის მიმართული რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ და მისი მთავარი ამოცანაა, შეამციროს რეგიონში არსებული დაძაბულობა. სამ ქვეყანას შორის გაძლიერებული თანამშრომლობა საერთო ინტერესის საგანია, რამდენადაც ხელს შეუწყობს პოლიტიკური ამოცანების გადაჭრას და გაზრდის დაინტერესებული პარტნიორების როლსა და ჩართულობას. თანამშრომლობის ხელშესახები და ურთიერთსასარგებლო მაგალითია 2021 წლის ივნისში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით აზერბაიჯანის მიერ ომის დროს დაკავებული სომეხი სამხედროების გათავისუფლება, ხოლო სომხეთის მიერ აზერბაიჯანისათვის დანადგმული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის გადაცემა.³¹ მსგავსი მაგალითები ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას და ქმნის რეგიონული თანამშრომლობის პრაქტიკას.

მშვიდობიანი კავკასიის შესაქმნელად, რა თქმა უნდა, საქართველო მხარს უჭერს კონფლიქტების მოსაგვარებლად საერთაშორისო დიპლომატიის ჩართულობასაც, თუმცა ძალ-ღონეს არ იშურებს თვითონაც იყოს აქტიურად ჩართული რეგიონში არსებული დაძაბულობის განეიტრალებაში. ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები საქართველო-სომხეთსა და საქართველო-აზერბაიჯანს შორის მჭიდროა, თუმცა, ურთიერთობების გამოცოცხლება დამატებით ხელს შეუწყობს რეგიონში ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას. აღსანიშნავია, რომ ათწლიანი წყვეტის შემდეგ, 2021 წელს, საქართველომ აღადგინა აზერბაიჯანთან და სომხეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომები.³²

ურთულესი იყო საქართველოსთვის რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს ტერიტორიების ნაწილის დამოუკიდებლობის აღიარების პერიოდი. მიუხედავად სომხეთის რუსეთზე ძლიერი დამოკიდებულებისა, სომხეთმა არ დაუშვა გადამწყვეტი შეცდომა და არ აღიარა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის რეგიონში დასაყ-

27 [https://www.geocase.ge/საქართველო და ახალი წესრიგი სამხრეთ კავკასიაში \(გადამოწმებულია 13.11.2023\).](https://www.geocase.ge/საქართველო და ახალი წესრიგი სამხრეთ კავკასიაში (გადამოწმებულია 13.11.2023).)

28 [https://di.gov.ge/publications/მშვიდობიანი სამეზობლო \(გადამოწმებულია 13.11.2023\).](https://di.gov.ge/publications/მშვიდობიანი სამეზობლო (გადამოწმებულია 13.11.2023).)

29 [https://www.amerikishma.com საქართველოს ინიციატივა აზერბაიჯანსა და სომხეთ შორის \(გადამოწმებულია 13.11.2023\).](https://www.amerikishma.com საქართველოს ინიციატივა აზერბაიჯანსა და სომხეთ შორის (გადამოწმებულია 13.11.2023).)

30 [https://di.gov.ge/publications/ მშვიდობიანი სამეზობლო \(გადამოწმებულია 13.11.2023\).](https://di.gov.ge/publications/ მშვიდობიანი სამეზობლო (გადამოწმებულია 13.11.2023).)

31 [https://www.gov.ge/index.საქართველოს მთავრობა \(გადამოწმებულია 13.11.2023\).](https://www.gov.ge/index.საქართველოს მთავრობა (გადამოწმებულია 13.11.2023).)

32 [interpressnews.ge/ka/article/მთავრობათაშორისი კომისიის სხდომა \(გადამოწმებულია 13.11.2023\).](https://interpressnews.ge/ka/article/მთავრობათაშორისი კომისიის სხდომა (გადამოწმებულია 13.11.2023).)

რდენი პარტნიორები აზერბაიჯანი და თურქეთი იყვნენ, სომხეთმა და საქართველომ გარკვეულ წონასწორობას მაინც მიაღწიეს - სომხეთი საქართველოს ტერიტორიას თავისი ექსპორტ - იმპორტის ოპერაციებისთვის იყენებს, არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და თვალს ხუჭავს საქართველოში აზერბაიჯანისა და თურქეთის მზარდ ეკონომიკურ გავლენაზე.

2021 წლის 8 სექტემბერს სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი საქართველოს ეწვია³³ და მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სომხეთის მზადყოფნას საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობების განვითარებაზე.

საქართველოს მედიატორისა და ფასილიტატორის როლზე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, მეტყველებს ბოლოდროინდელი მაღალი რანგის წარმომადგენლების ვიზიტები. ამისი მაგალითებია:

ილჰამ ალიევის და აზერბაიჯანის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი თბილისში მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს, სადაც ორი ქვეყნის ლიდერებმა სამხრეთ კავკასიაში სამშვიდობო პროცესი განიხილეს მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა გასულ თვეში სუვერენიტეტი აღდგენილად გამოაცხადა.³⁴ „საქართველო, როგორც სომხეთ-აზერბაიჯანის სამშვიდობო მოლაპარაკებების ფასილიტატორი და ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის გარანტორი“ - ეს ის ძირითადი თემებია, რომლებზეც ილჰამ ალიევმა და ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრისას ისაუბრეს;³⁵

მიმდინარე წლის 8 ოქტომბერსაც სტუმრობდა თბილისს ასევე აზერბაიჯანის პრეზიდენტი, რომელმაც განაცხადა, „რომ სამხრეთ კავკასიაში მშვიდობა ჯერ კიდევ დასამყარებელია და ღარიბაშვილთან საუბრის ერთ-ერთი თემა სწორედ ეს იყო“;³⁶

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 2023 წლის 26 ოქტომბერს გამართულ „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმში“ მასპინძლობდა სომხეთისა და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრებს - ნიკოლ ფაშინიანს და ალი ასადოვს. ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ „საქართველო, როგორც შუამავალი, დაინტერესებულია რეგიონში ხანგრძლივი მშვიდობითა და სტაბილურობით“;³⁷

სომხეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს სომხეთის პრემიერ-მინისტრს ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა;³⁸

საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ ამა წლის 19 ნოემბერს ერევანში, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის 21-ე სამემოდგომო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. სადაც სიტყვით გამოსვლისას საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ სამხარაძემ აღნიშნა, რომ „ჩვენ მზად ვართ შემოგთავაზოთ თბილისი, როგორც მოლაპარაკებების ადგილი და ვიმედოვნებთ, რომ იმ ვალდებულებით, რომელიც ორივე მხარემ საჯაროდ გამოთქვა და აიღო, ჩვენ შევძლებთ უახლოეს თვეებში აღვნიშნოთ გრძელვადიანი მშვიდობა ჩვენს ორ მოძმე მეზობელ ქვეყანას შორის“.³⁹ მან ასევე ჩვენი ქვეყნის რეგიონულ როლზე ისაუბრა.

აქ ჩამოთვლილი საქმიანი ვიზიტები და მოლაპარაკებები მხოლოდ ნაწილია რეგიონის მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებისა, როდესაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნები თავად ცდილობენ გრძელვადიან პერსპექტივაში რეგიონის სანდო იმიჯის შექმნას.

დასკვნის სახით გვინდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება მიუხედავად თავისი ტერიტორიული პრობლემებისა, საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებით დალაგებულ და პრაგმატულ ვექტორს მიუყვება, რაც მის იმიჯს ამყარებს ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობების თვალსაზრისით. ევროპასთან და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან ხანგრძლივი თანამშრომლობა საქართველოსთვის აღმოჩნდა სანდო პარტნიორის სტატუსის მომტანი. საბჭოთა კავშირის დაშლისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე, ედვარდ შევარდნაძის პრეზიდენტობიდან მოყოლებული საქართველომ აირჩია დასავლური განვითარების გზა. მიუხედავად მთავრობების ცვლილებისა სამი ათწლეულის განმავლობაში, უერთგულა მან არჩეულ კურსს და მოიპოვა ძლიერი ნდობა პარტნიორებისგან. ეს ნდობა მას გააჩნია ასევე მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების მიმართულებით, თუ არ ჩავთვლით ჩრდილოელ მეზობელს. საქართველოს ხელისუფლების და ხალხის მტკიცე და ურყევი პოზიცია დასავლური ღირებულებების პატივისცემისა და ერთგულების სახით, თბილისს უტოვებს შესაძლებლობას იყოს დასაყრდენი ძალა და ითამაშოს მედიატორის როლი რეგიონში პრობლემების მოგვარების მიმართულებით. ამას ემატება საქართველოში წარმოდგენილი ეთნიკურად მრავალრიცხოვანი სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის მშვიდობიანი თანაცხოვრების მაგალითი. სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლება ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს არ გააჩნია რაიმე ინტერესი რეგიონში დამაბულობის განვითარებისთვის და სრულ ნდობას უცხადებს თბილისს.

33 <https://for.ge/view/215627/სომხეთის-პრემიერ-მინისტრი-საქართველოში> (გადამოწმებულია 14.11.2023).

34 <https://1tv.ge/video/ილჰამ-ალიევის-ვიზიტი-საქართველოში> (გადამოწმებულია 14.11.2023).

35 <https://1tv.ge/video/ილჰამ-ალიევის-ვიზიტი-საქართველოში> (გადამოწმებულია 14.11.2023).

36 <https://formulanews.ge/News/98957> თუ სომხეთი თანახმა იქნება, საქართველოში სამხრეთ შეხვედრებს დავიწყებთ (გადამოწმებულია 14.11.2023).

37 <https://www.radiotavisupleba.ge> ღარიბაშვილმა სომხეთისა და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრებთან გამართულ სამხრეთ შეხვედრების შესახებ ისაუბრა. (გადამოწმებულია 14.11.2023).

38 <https://1tv.ge/news/ჯუანშერ-ბურჭულაძე-ნიკოლ-ფაშინიანს-შეხვდა> (გადამოწმებულია 14.11.2023).

39 <https://www.interpressnews>. ნიკოლოზ სამხარაძე - საქართველო მზადაა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო დიალოგს ხელი შეუწყოს (გადამოწმებულია 14.11.2023).

თუ საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს დიპლომატიურ მუშაობას ერევანთან და ბაქოსთან, სამივე ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, რაც დღეს-დღეობით სახეზე გვაქვს და შეძლებს დიდ მოთამაშებთან რაციონალურ ლავირებას მისი, როგორც მედიატორის როლი რეგიონში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა

- პოლსიანი, ბ. „სომხეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები 2021 წლის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2021.
- ყალიჩავა, კ. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში. გამომც. მერიდიანი. თბ.2016.
- ჯანდიერი, გ. თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები, 2016.
- ჯოჯუა, დ. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომ. უნივერსალი. თბ. 2010.
- ჯაბრალი, ჰ. სომხეთი-ნატოს ურთიერთობები, საქართველო და მსოფლიო, ნოემბერი 2. 2017 წ.
- De Waal, Thomas, „Azerbaijan at 25: A New Era of Change and Turbulence“, 2016.
- European Parliament, Negotiations on the EU-Azerbaijan Comprehensive Agreement. European Parliament recommendation of 4 July 2018 to the Council, the Commission and the Vice-President of the Commission, High Representative of the Union for Foreign Affairs and Security Policy on the negotiations on the EU-Azerbaijan Comprehensive Agreement (2017/2056(INI)), 4 July 2018.
- EU-Armenia: Signing Ceremony of the Comprehensive and Enhanced Partnership Agreement Eastern Partnership: A Renewed Agenda for Recovery, Resilience and Reform Underpinned by an Economic and Investment Plan Armenia and Iran Open Gas Pipeline,” <https://www.gtreview.com/news/global/armenia-and-iran-open-gas-pipeline/>
- <https://newsroom.consilium.europa.eu/videos/eu-armenia-signingceremony-of-the-comprehensive-and-enhanced-partnership-agreement>
- <https://europetime.eu/ka/article/50303-evrokomisiyam-saqartvelostvis-evrokavshiris-shevrobis-kandidatis-statusis-minichebis-rekomendacia-gasca>
- <https://www.interpressnews.ge/ka/article/777520-jozep-borelis-gancxadebit-evrokavshiris-ministrebma-somxetis-mokalakeebistvis-viza-liberalizaciis-varianti-ganixiles-on.ge/story/6011-25-წლის-წინ-სსრკ-ს-ლიკვიდაციისა-და-დსთ-ის-დაარსების-შესახებ-დოკუმენტს-მოეწერა-ხელი>
- <https://geworld.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1>
- <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93/32603497.html>
- <https://ipress.ge/news/msophlio/araghiarebuli-mtiani-yarabaghis-ombudsmeni-mtian-yarabaghshi-sul-mt-sire-200-adamiani-daighupa-da-400-ze-meti-daichra>
- <https://di.gov.ge/publications/analytical-collection/mshvidobiani-samezoblo-saqarthvelos-rolida-khedva/interpressnews.ge/ka/article/738349-sakartvelosa-da-azerbajians-shoris-ekonomikuri-tanamshromlobis-mtavrobatashorisi-komisiis-sxdoma-gaimarta/>
- <https://www.interpressnews.ge/ka/article/778289-nikoloz-samxaraze-sakartvelo-mzadaa-somxetsa-da-azerbajians-shoris-samshvidobo-dialogs-xeli-sheucqos;>
- <https://1tv.ge/video/moambe-specialuri-gamoshveba-ilham-alievis-viziti-ertoblivi-ganckhadebebi-live/>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1212956?publication=0>
- <https://infocenter.gov.ge/eu/evrokavshiris-samezoblo-politika/>
- <https://dcfta.gov.ge/ge/agreement>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>
- https://migration.commission.ge/index.php?article_id=17&clang=0
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/108376?publication=0>
- https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_38988.htm?selectedLocale=ka

https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_21_3367.
<https://tabula.ge/ge/news/567859-somkheti-evraziuli-ekonomikuri-kavshiris-cevri>
<https://odkb-csto.org/Организации Договора о коллективной безопасности>
<https://www.ambebi.ge/article/299429-ertdgiani-omis-kronika-azerbajani-29-clis-shemdeg/>
<https://www.geocase.ge/ka/publications/787/saqartvelo-da-akhali-tsesrigi-samkhret-kavkasiashi>
<https://www.amerikishma.com/a/georgia-initiative-to-host-armenia-azerbaijan-talks/5603290.html>
https://www.gov.ge/index.php?lang_id=eng&sec_id=556&info_id=80298
<https://for.ge/view/215627/somxeTis-premier-ministri-nikol-faSiniani-saqarTveloSia.html>
<https://1tv.ge/video/ilham-alievis-viziti-saqartveloshi-2/>
<https://formulanews.ge/News/98957>
<https://www.radiotavisupleba.ge/a/32656383.html>
<https://1tv.ge/news/juansher-burchuladze-nikol-fashinians-shekhvda/>

აზერბაიჯანი და სომხეთი: ერთდღიანი კონფლიქტიდან გრანადის ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მესამე სამიტამდე¹

პოლკოვნიკი მამუკა სამხარაძე

სამეთაურო-სამტაბო კოლეჯის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების კურსის უფროსი ინსტრუქტორი

მაიორი ნიკოლოზ გურეშიძე

სამეთაურო-სამტაბო კოლეჯის მსმენელი

აბსტრაქტი

აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის არსებული კონფლიქტი ტრადიციული და დაუმთავრებელი გახდა. მართალია, საუკუნეების განმავლობაში მათი დაპირისპირება გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს და როგორც პრიზი - მთიანი ყარაბაღი ხელიდან ხელში გადადის, მაგრამ 2023 წლის 19 სექტემბრის „ანტიტერორისტულმა ოპერაციამ“, როგორც მას აზერბაიჯანული მხარე უწოდებს, ამ პრობლემას თითქოს კითხვის ნიშანი მოაცილა - ახლაც და მომავალშიც მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი გახდა. ნაწილი, სადაც აზერბაიჯანი შექმნის ახალ რეალობას - შემცირებული სომხური მოსახლეობით, ერთიან სახელმწიფოში ფართო ცენტრალიზებული მართვის სისტემითა და ძლიერი ეროვნული იდეოლოგიით.

მაშ ასე, ისტორია დაიწერა და აზერბაიჯანის რესპუბლიკა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენილი სტატუსით აგრძელებს ცხოვრებას, მაგრამ კითხვა - რომ არ ყოფილიყო მოძმე თურქეთის რესპუბლიკა - დადგებოდა ეს შედეგი? პასუხი მარტივია...

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენი მიზანი არ არის ერთდღიანი კონფლიქტის ნიუანსირებული აღწერა გავაკეთოთ, არამედ ვიპოვოთ ისეთ კითხვაზე პასუხი, როგორცაა - რა მოხდა მთიან ყარაბაღში?

და ბოლოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკამ, შეძლო რა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, პოსტ-საბჭოთა სივრცეში დაამკვიდრა პრეცედენტი - სწორი და მიზანზე აქცენტირებული ქვეყნის მენეჯმენტით² შესაძლებელია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ნაკლები სისხლისღვრის თანხმობებით. იქნება თუ არა აზერბაიჯანული ფორმულა სხვა ქვეყნებისათვის, მაგალითად საქართველოსთვის, მოტივაციის ამაღლების ფაქტორი - მომავალი გვიჩვენებს.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას, რეგიონული გამოწვევის - აზერბაიჯანულ-სომხური მორიგი დაპირისპირების ანატომიის განხილვისას, რეგიონისთვის ეკონომიკური საფრთხეების აღრიცხვას მხოლოდ მცირე დოზით შევხეთ. ამასთან, რეგიონული გამოწვევების წყაროს ან წყაროების ძიებისას, პირველ რიგში, აზერბაიჯანულ-სომხური ერთდღიანი კონფლიქტის პოლიტიკურ და საგარეო ფაქტორებს მივანიჭეთ პრიორიტეტი.

საკვანძო სიტყვები:

მთიანი ყარაბაღი, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ევროპული გაერთიანება, რეგიონული გამოწვევები.

¹ 2023 წლის 5-6 ოქტომბერი.

² გამართული საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

Azerbaijan and Armenia: From a One-Day Conflict to the Third Summit of the European Political Union in Granada

Colonel Mamuka Samkharadze

Senior instructor of Defence and National Security Course,
Command and Staff College, TMEC, GDF

Major Nikoloz Gureshidze

Student of Command and Staff College, TMEC, GDF

Abstract

The conflict between Azerbaijanis and Armenians has become traditional and endless. Though their confrontation took place with a transitory advantage for centuries and Nagorno-Karabakh was passed from hand to hand as a prize, but the “Anti-terrorist Operation” of September 19, 2023, as the Azerbaijani part names it, seems to have removed the question mark - now and in the future, Nagorno-Karabakh is an integral part of the Republic of Azerbaijan. The part where Azerbaijan will create a new reality - with a reduced Armenian population, a unified state with a broad centralized governance system and a powerful national ideology.

So, history was written and the Republic of Azerbaijan continues to live with the restored status of territorial integrity, but the question is - if there was no sister Republic of Turkey, would this result have happened? The answer is simple...

As mentioned above, our goal is not to provide a nuanced account of the one-day conflict, but to find an answer to such a question as what happened in Nagorno-Karabakh?

Finally, the Republic of Azerbaijan was able to restore its territorial integrity, setting a precedent in the post-Soviet space - with correct and goal-oriented country management, it is possible to restore territorial integrity with less bloodshed. We will all observe together whether the Azerbaijani formula will be a motivating factor for other countries, for example, Georgia.

Whilst working on the following article, our focus was on the consideration of the regional challenge - the anatomy of the next Azerbaijani-Armenian conflict and we touched on the accounting of economic threats to the region only in a small dose. When searching for the source or sources of regional challenges, first of all, we gave priority to the political and foreign factors of the one-day Azerbaijani-Armenian conflict.

Keywords:

Nagorno-Karabakh, Republic of Azerbaijan, European Union, regional challenges.

შესავალი

კავკასიის რეგიონისთვის, ტერიტორიული შეუთანხმებლობის საბაზით, ადგილობრივ ხალხთა შორის დაპირისპირება უცხო არ არის. მათ შორის გამოკვეთილად მტრული განწყობა აფერხებს რეგიონის უსაფრთხოების სტაბილურობის შენარჩუნებას. ერთმანეთის მიმართ სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის ანტაგონისტური დამოკიდებულება შემდგარი ფაქტია. ზუსტი რიცხვის დადგენა, თუ რამდენჯერ მოხდა მათ შორის სისხლისმღვრელი დაპირისპირება,³ რთული საკითხია.

აზერბაიჯანულ-სომხური ურთიერთობების ანატომიის შესწავლა იზიდავს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ მკვლევარებს. მათი რიცხვი მუდმივად იზრდება. მკვლევართა ობიექტურ შრომაზეა დამოკიდებული ურთიერთობების რეალური შეფასებები, რომელთა შესწავლამ შესაძლებელია მიგვიყვანოს პრობლემების იდენტიფიცირებამდე. ეს კი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება დასაფიქრებლად - თუ რა სახის ქმედებებია საჭირო, რომ მხარეების მტრული პოზიციების შეჯერება მოხერხდეს.

ე.წ. „ერთდღიან კონფლიქტამდე“ მხარეები მიდიოდნენ შემართებით. აზერბაიჯანი ქმედებებში იყო ხისტი და მიზანზე აქცენტირებული. იგი იმყარებდა პოზიციებს საერთაშორისო არენაზე, ხოლო რაც შეეხება სომხეთს, მას აქცენტი გადატანილი ჰქონდა მთიანი ყარაბაღის სომხური მოსახლეობისათვის უსაფრთხოების გარანტიების მიღებასა და აზერბაიჯანული მხარის, როგორც „დემონური ძალის“ წარმოჩენაზე. ე.წ. „ლაჩინის კორიდორის ბლოკირების“⁴ დღიდან, იგი ცდილობს მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის თითქოს გენოციდის განხორციელებაში აზერბაიჯანის დადანაშაულებას. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის რესპუბლიკის ინსტიტუტები სრულად ჩართულნი იყვნენ აღნიშნულ კამპანიაში, სომხეთის მცდელობამ ფიასკო განიცადა. შედეგად, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ქვეყნის პროტესტსა და გარკვეულ ხისტ პოზიციებს, საქმე პრაქტიკულ ქმედებამდე არ მისულა.

ძირითადი ნაწილი

ძალისხმევა მშვიდობისთვის თუ ესკალაციისთვის?

სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხო გარემოს აღდგენისა და განმტკიცებისათვის საერთაშორისო არენაზე არ ცხრებოდა რეგიონული ინტერესების მქონე სუბიექტების მუშაობა, რომ როგორმე მხარეებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება არ გამეორებულყო, თუმცა უშედეგოდ. მიმდინარეობდა საუბრები როგორც გახსნილ ფორმატში, ასევე იმართებოდა დახურული ან ნახევრად დახურული შეხვედრებიც.

რიგმა უცხოურმა მასმედიის წარმომადგენლობამ გაავრცელა ინფორმაცია მთიანი ყარაბაღის საკითხის მშვიდობიანად დარეგულირების მიზნით შემდგარი დახურული შეხვედრის თაობაზე, რომლის მიხედვით:

მხარეებს წარმოადგენდნენ: აშშ-დან ლუი ბონო (მთავრობის მთავარი მრჩეველი კავკასიაში), რუსეთის ფედერაციიდან იგორ ხოვაევი (რფ პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი სომხურ-აზერბაიჯანულ თანამშრომლობაში) და ევროკავშირიდან ტოივი კლაარა (ორგანიზაციის წარმომადგენელი რეგიონში).

შეხვედრა შედგა მ.წ. 17 სექტემბერს, ქ.სტამბოლში (თურქეთის რესპუბლიკა).

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ლაჩინის ხეობაში გაჩერებული, მთიანი ყარაბაღში სომხური მოსახლეობისათვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარების დაუყოვნებლივი მიღებისათვის აზერბაიჯანული მხარის იძულება.⁵

ფაქტი აშშ-ს, რუსეთისა და ევროკავშირის წარმომადგენლებს შორის საიდუმლო შეხვედრის შესახებ დასაფიქრებელი და ამავე დროს მრავლისმთქმელია. პირველი, შეხვედრისათვის შერჩეული ლოკაცია - თუკი მხარეები იკრიბებოდნენ კონსპირაციულად, შეხვედრის ადგილად სტამბოლის შერჩევა არის აზერბაიჯანისთვის ფრიად მომგებიანი, რადგან წარმოდგენა იმისა, რომ თურქული მხარის ხელში აღმოჩენილი ინფორმაცია აზერბაიჯანს არ ეცნობებოდა - დაუშვებელია. ლოკაციის ადგილიდან გამომდინარე კი, ძნელად წარმოსადგენია, რომ შეხვედრისას განხილული საკითხები თურქეთის სპეციალური სამსახურებისთვის ცნობილი არ გამხდარიყო. მეორე, შეხვედრის გამართვის შემდეგ 2 დღეში აზერბაიჯანი იწყებს „ანტიტერორისტულ ოპერაციას“, რომელიც მთავრდება მთიანი ყარაბაღის შემოერთებით. ფაქტი თავისთავზე მეტყველებს და კითხვის ნიშანს ტოვებს. ჰქონდათ თუ არა ინფორმაცია შეხვედრაში მონაწილე მხარეებს აზერბაიჯანული განზრახვის თაობაზე? თუ ჰქონდათ, რატომ არ იყო მთიანი ყარაბაღის მოსახლეობა გაფრთხილებული და რატომ იქნა დაშვებული ასეულობით ადამიანის დაღუპვა/გარდაცვალება. აქვე, მოლაპარაკებების მაგიდასთან მყოფ მხარეებს თუ ჰქონდათ გააზრებული შემდეგი - მათი შეხვედრა იქნებოდა თუ არა სიგნალი აზერბაიჯანელებისთვის მიზნის მისაღწევად გადასადგმელი ნაბიჯების დაწყებისათვის. მიზანი კი ყველასათვის ცნობილი იყო - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. კიდევ ერთი კითხვა: ამ შეხვედრის ორგანიზებისას მასში მონაწილე მხარეების პოზიცია იყო - კონფლიქტის ზონაში მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნება, თუ მთიანი ყარაბაღის

3 ფართომასშტაბიანი და მცირემასშტაბიანი შეიარაღებული დაპირისპირება, ლოკალური ხასიათის შეიარაღებული დაპირისპირება; კონფლიქტები და ომები. ესკალაციები კი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს

4 2022 წლის დეკემბერი.

5 <https://www.samanyoluhaber.com/flas-iddia-ab-rusya-ve-abd-gizlice-istanbulda-gorustu-haberi/1451523/>

სტატუსის გადაწყვეტა? თუკი პირველი, მაშინ ჩნდება შემდეგი სახის მოსაზრება - რა მოქმედებები იქნა განხორციელებული იმისათვის, რათა 19 სექტემბერს არ მომხდარიყო აზერბაიჯანელების მხრიდან სამხედრო დაპირისპირება. დაშვების დონეზე ჩავთვალოთ, რომ შეხვედრის მიზანი იყო აღნიშნული სტატუსის გადაწყვეტა და მხარეები შეთანხმდნენ, რათა მთიანი ყარაბაღის დაბრუნებასთან დაკავშირებით აზერბაიჯანელებისათვის „მწვანე შუქი“ აენთოთ; მაშინ, სავარაუდოდ, ოფიციალური ერევანი შესაბამისად ინფორმირებული იქნებოდა. შედეგად - სომხეთის მხრიდან ანტიტერორისტული ოპერაციის წინააღმდეგ უმოქმედობა ლოგიკურ ჩარჩოებს არ სცდება.

ცნობილი სომეხი პოლიტოლოგი არტურ ხაჩიკიანი შეხვედრასთან დაკავშირებით გამოთქვამს ვარაუდს, რომ:

1. შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს აზერბაიჯანის პრეზიდენტისთვის თავშეკავებისკენ მოწოდებაზე და „არცახის“ (მთიანი ყარაბაღი) წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში ლტოლვილების თაობაზე.
2. მთიან ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების დასავლეთის სამშვიდობოებით⁶ ჩანაცვლების შესაძლებლობაზე.

ესკალაცია, სამხედრო ოპერაცია და ცეცხლის შეწყვეტა

აზერბაიჯანული მხარის მიერ სამხედრო ოპერაციას, რომელიც „ანტიტერორისტულ ოპერაციად“ იქნა სახელწოდებული, წინ უსწრებდა ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა:

1. მთიან ყარაბაღში მოქმედი სამხედრო და შეიარაღებული არაფორმალური ქვედანაყოფების მუდმივი მოქმედებები კონფლიქტის ზონაში განლაგებული აზერბაიჯანული რეგულარული არმიის პოზიციების წინააღმდეგ.
2. აზერბაიჯანულ სამხედრო და სამოქალაქო მიზნებზე დივერსიული აქტები.
3. სომხური პოლიტიკური სამყაროსგან მუდმივი აქცენტი დაპირისპირებაზე და რევანშის აღების რიტორიკა.
4. ლაჩინის კორიდორის პრობლემატიკა.
5. მდორედ მიმდინარე აზერბაიჯანულ-სომხური სამშვიდობო მოლაპარაკებები და სხვა.

აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების მთავრობებს კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ შეიარაღებული დაპირისპირება გარდაუვალი იქნებოდა. მათმა წამყვანმა ინსტიტუციებმა⁷ გაამლიერეს მუშაობა საერთაშორისო არენებზე, რათა ეროვნული პოზიციების წინ წამოწევით საკუთარი მიზნების დაცვა მოეხერხებინათ. აქტიურობის პიკი მიღწეულ იქნა 18 სექტემბერს, როდესაც არცთუ ორაზროვანი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა იქნა დაწყებული აზერბაიჯანული მხარის მიერ. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში შედგა შეხვედრა აკრედიტებული უცხოური დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.⁸ მათ მიეწოდათ ინფორმაცია რეგიონში არსებული უსაფრთხოების არქიტექტურაში სომხური მხარის დესტრუქციული ქმედებებისა და აზერბაიჯანის მხრიდან წარმოებული ღონისძიებების თაობაზე. აზერბაიჯანულ მხარეს წარმოადგენდნენ: პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საქმეებში ჰიქმეთა გაჯიევი, პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი მთიანი ყარაბაღის საკითხებში ელჩინ ამირბეკოვი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფარიზ რზაიევი.

ბრიფინგზე საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები იქნა წარმოდგენილი:

- მიუხედავად აზერბაიჯანის მცდელობისა მიღწეული ყოფილიყო სამშვიდობო პროცესის წარმატებით დასრულება, სომხური მხარე და რეჟიმი⁹ მოქმედებენ საწინააღმდეგოდ; მთიან ყარაბაღში სომხების მიერ ჩატარებული ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნები“ დესტრუქციული ქმედებების ნათელი მაგალითია;
- საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო და არ აღიარა უკანონოდ ჩატარებული არჩევნები, რისთვისაც მადლიერნი ვართ;
- ლაჩინის კორიდორზე და აღდამის გზაზე მიმოსვლის შეზღუდვისა და სომეხი ხალხის ჰუმანიტარული კრიზისის ერთმანეთთან დაკავშირება ოფიციალური ერევნის პოლიტიკური ნაბიჯია;
- ხეობაში აზერბაიჯანული საკონტროლო-გამშვები პუნქტი კანონის სრული დაცვით იქნა გაკეთებული და მიზნად ისახავდა უკანონო ტვირთბრუნვის შეზღუდვას;
- 10 ათასამდე შეიარაღებული პირი, რომლებსაც გააჩნიათ მძიმე შეიარაღება, უკანონოდ იმყოფება რუსი სამშვიდობოების კონტროლის ქვეშ მყოფ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე;
- აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ელექტრო-რადიო საბრძოლო საშუალებების გამოყენებით, სომხურმა უკანონო ფორმირებებმა მიმდინარე წლის 13 ივლისს, 14 ივლისს, 27 ივლისს, 21 აგვისტოს და 1 სექტემბერს, ხელი შეუშალეს „აზერბაიჯანული ავია-ხაზების“ კუთვნილ სამოქალაქო საჰაერო ხომალდებს გადაადგილებაში, რითაც მათ შეუქმნეს ფიზიკური განადგურების საფრთხე;
- მთიან ყარაბაღში უკანონო სამხედრო ფორმირებების მხრიდან უკანასკნელი დღეების განმავლობაში შეინიშნება სამხედრო-ინფრასტრუქტურული და დანაღმითი სამუშაოების წარმართვა, რაც დიდი

6 <https://news.am/rus/news/784999.html>

7 პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის აპარატები, საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები.

8 <https://mfa.gov.az/az/news/no50323>

9 ე.წ. არცახის მთავრობა

რისკის მატარებელია;

- აზერბაიჯანს აქვს სრული უფლება დაიცვას სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა;
- სომხური მხარისგან აზერბაიჯანი მოითხოვს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას.

მხარეებს შორის დამაბულობამ პიკს მიაღწია და დაიწყო ინფორმაციის გავრცელება შეხების წერტილებში ინტენსიური ცეცხლის წარმოების თაობაზე. ტრადიციულად, მათ ერთმანეთის დადანაშაულების ნაცად ხერხს მიმართეს და დაიწყო საინფორმაციო ომის აქტიური ფაზა.

19 სექტემბერს, გამთენიისას, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციის¹⁰ თანახმად:

- სომხეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დივერსიული ჯგუფის მიერ ხოჯევანის რაიონის ტერიტორიაზე გზის დანადგმის შედეგად დაიღუპა მშვიდობიანი მოქალაქე;
- დანადგმულ გზაზე სოფელ ტალავერდთან (ხოჯავენის რაიონი) აფეთქების შედეგად დაიღუპა შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 თანამშრომელი;
- ტერორისტული აქტები მოწმობს, რომ სომხური მხარე არღვევს სამხრეთი შეთანხმების მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას;
- მშვიდობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია დაიგმოს სომხების ქმედებები და შეწყდეს მსგავსი პროვოკაციები.

საინტერესოა, რომ სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმავე დღის განცხადება მთლიანად შეეხო აზერბაიჯანული მხარის მიერ უცხოელი დიპლომატებისათვის ჩატარებულ ბრიფინგს, რომლის მიხედვით, სომხური მხარე შემფოთებულია აზერბაიჯანელების რიტორიკით, რაც ემსახურება დანარჩენი სამყაროს შეცდომაში შეყვანას. აღნიშნულით აზერბაიჯანული მხარე ცდილობს დაფაროს გეგმა, რომელიც მთიან ყარაბაღში სომხურ მოსახლეობაზე ძალის გამოყენებას ისახავს მიზნად.

სამინისტრო შეეცადა აზერბაიჯანელების მხილებას სიცრუეში, თითქოსდა სომხურ მხარეს არ აქვს სურვილი განაგრძოს სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი. მისივე თქმით, სინამდვილე საწინააღმდეგოა - აზერბაიჯანი აყოვნებს პროცესს და უგულვებელჰყოფს აღებული ვალდებულებების შესრულებას.

ასევე, 19 სექტემბრის დილას, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა შემამფოთებელი განცხადება:

- სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა ყარაბაღში განახორციელეს მასშტაბური ტერორისტული აქტები და შეიარაღებული პროვოკაცია. ამგვარად, ნადმების აფეთქების შედეგად დაიღუპნენ სამოქალაქო პირები და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები. გარდა აღნიშნულისა, ჩვენი ჯარის სამხედრო ქვედანაყოფების წინააღმდეგ განხორციელდა შეტევები ყუმბარმტყორცნებითა და სხვადასხვა კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით...
- ყარაბაღის ეკონომიკურ ზონაში სომხეთის შეიარაღებული ძალების მხრიდან ფართომასშტაბიანი პროვოკაციების თავიდან აცილების, აგრეთვე სამხრეთი შეთანხმების პირობების შესრულების მიზნით, რომელიც ითვალისწინებს სომხეთის სამხედრო ქვედანაყოფების განიარაღებას, სამხედრო ინფრასტრუქტურის ნეიტრალიზებასა და აზერბაიჯანის ტერიტორიიდან გასვლას, ასევე ჩვენი სამხედროების სიცოცხლის დაცვასა და აზერბაიჯანის კონსტიტუციური უფლებების აღდგენისათვის, მთიან ყარაბაღში დაწყებულია ანტიტერორისტული ოპერაცია;
- აზერბაიჯანი იყენებს მაღალტექნიკურ შეიარაღებას და ზუსტი დარტყმებით ანადგურებს მოწინააღმდეგის ნებადართულ სამხედრო მიზნებს. ერთმნიშვნელოვნად გამორიცხულია სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე იერიშის მიტანა...
- ერთადერთი საფუძველი, რათა რეგიონში დამყარდეს მშვიდობა და სტაბილურობა არის აზერბაიჯანის ყარაბაღის რაიონიდან სომხური შეიარაღებული ძალების უპირობო და სრული გასვლა.

აზერბაიჯანელების განცხადებას დაუყოვნებლივ უპასუხა სომხურმა მხარემ. ჯერ სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა მედიისთვის გაკეთებულ განცხადებაში მოუწოდა აზერბაიჯანულ მხარეს შეწყვიტოს საბრძოლო მოქმედებები და დიპლომატიურ ჩარჩოს დაუბრუნდეს. დღის პირველ ნახევარშივე კი სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა ვაან კონსტანიანმა და პარულირა ოჰანესიანი ქვეყანაში აკრედიტებულ უცხოელ დიპლომატებს აცნობეს შექმნილი ვითარება და მიმდინარე პროცესებზე სრულ პასუხისმგებლობა აზერბაიჯანულ მხარეს დააკისრეს. გააქტიურდნენ ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი პირები. გამოყენებულ იქნა ყველა სახის საკომუნიკაციო საშუალება, რათა საერთაშორისო არენაზე ფართო აუდიტორია ყოფილიყო ინფორმირებული და შეძლებისდაგვარად მოწინააღმდეგეს დაკისრებოდა პასუხისმგებლობა მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებაში.

საგარეო უწყებებს არ ჩამორჩნენ თავდაცვის უწყებები. მათ მსგავსად ისინიც ცდილობდნენ, რათა მიმდინარე მოვლენების მთავარ მაპროვოცირებელ ძალად მოწინააღმდეგე მხარე ყოფილიყო წარმოდგენილი.

წარმოგიდგინთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადებების პარაფრაზირებულ ქრონოლოგიას:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო 19 სექტემბრის ადრეულ დილას აქვეყნებს

10 №: 504/23; 19.09.2023 (<https://mfa.gov.az/az/news/no50323>).

მრავლისმთქმელ განცხადებას, რომლითაც ვიგებთ, რომ აღდამის მიმართულებით სომხური შენაერთები აზერბაიჯანული შეიარაღებული ძალების დისლოკაციის მიმართულებით 23:50 წუთიდან ახორციელებენ ინტენსიურ ცეცხლს. ცეცხლი გახსნილია რუსული სამშვიდობო ძალების საკონტროლო პუნქტის უშუალო სიახლოვეს. საპასუხოდ აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს შესაბამისი ღონისძიებები. თავდაცვის სამინისტროს განცხადება გაკეთებულ იქნა მას შემდეგ, რაც პირველი სერიოზული დარტყმები მიყენებულ იქნა სომხეთის სამხედრო ქვედანაყოფებისათვის. შეუიარაღებელი თვალითაც ნათელი იყო, რომ მორიგი დაპირისპირება დაიწყო.¹¹

აზერბაიჯანის თავდაცვის უწყებამ მცირე ხნის შემდეგ კვლავ გააკეთა განცხადება, რომ სომხეთის მხრიდან, ისევე ღამის საათებში, გედაბეის რაიონი და დასახლებული პუნქტი ჯილ ჩემბერი, სხვადასხვა ყალიბის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, შეტევის ქვეშ მოექცა. ამჯერადაც აზერბაიჯანულმა შეიარაღებულმა ძალებმა საპასუხო ღონისძიებები განახორციელეს.

თავდაცვის სამინისტრო რამდენიმე წუთის გამოტოვებით კიდევ ერთ განცხადებას აკეთებს, რომ სომხური მხარე იყენებს რადიოელექტრონულ საბრძოლო საშუალებებს და ხელს უშლის სამოქალაქო ავიაციის მუშაობას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

იმავე დღის პირველ ნახევარში გაკეთებული განცხადებების მიხედვით აზერბაიჯანის სამხედრო უწყება გვამცნობს, რომ მთიან ყარაბაღში სომხური მხარე იყენებს ყველა საშუალებას და ახორციელებს ფართომასშტაბიან სამხედრო ღონისძიებებს. გარდა აღნიშნულისა, თვალშისაცემია გავრცელებული ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანული მხარე ინტენსიურად კონტაქტობს თურქულ მხარესთან.¹² რა თქმა უნდა, მიზანმიმართულად გავრცელებული აღნიშნული ინფორმაცია, პირველ რიგში, მიმართული იყო სომხური მხარის ინფორმირებისთვის. აზერბაიჯანელებმა აუწყეს არამარტო სომხებს, არამედ დანარჩენ სამყაროსაც, რომ თითოეული გადადგმული ნაბიჯი თანხმდება თურქეთთან და საჭიროების შემთხვევაში თურქეთი მხოლოდ სიტყვიერი კონსულტაციებით არ შემოიფარგლება.

დღის მეორე ნახევარში კი თავდაცვის უწყებამ დაიწყო გასაჯაროება ვიდეო რგოლების, რომლებზეც აღბეჭდილია სომხური სამხედრო დანიშნულების ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის მწყობრიდან გამოყვანის მომენტები. დღის ბოლოს აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო გამკაცრებული ტონით ითხოვს სომხური მხარის მიერ შეიარაღებული ძალების განიარაღებასა და ჩაბარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ანტიტერორისტული ოპერაციის გაგრძელების პირობას იძლევა.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებებზე სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ საკმაოდ სუსტი განცხადებებით უპასუხა. მასში ჩვენ ვერ ვხედავთ პოზიციების დაცვას და სრულად თავისმართლებით არის შემოფარგლული. აზერბაიჯანის ორი ლიდერი ინსტიტუცია - თავდაცვის სამინისტრო და საგარეო საქმეთა სამინისტრო მოქმედებდნენ მაღალი პროფესიონალიზმით, რაზეც მეტყველებს საინფორმაციო ოპერაციების წარმოების მაღალი პროდუქტიულობა. აქცენტი გაკეთებული იყო შიგნით აზერბაიჯანული საზოგადოების მობილიზებისა და სწორი მოლოდინების აღქმისაკენ, ხოლო გარეთ გულშემატკივართა მობილიზებისკენ. რაც შეეხება სომხურ მხარეს შესაძლებელია ითქვას, რომ ის როგორც საბრძოლო ველზე, ასევე საინფორმაციო ომის ფრონტზე ძლიერად ვერ გამოიყურებოდა. მისი მოწინავე ინსტიტუციების განცხადებები არ იყო დამაჯერებელი და ერთი რაც დასამახსოვრებელი იყო, ეს გახლდათ სომხეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადება, რომ სომხური შეიარაღებული ძალები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არ იმყოფებიანო.¹³ ამ განცხადებით, სომხეთმა პირდაპირ მიუთითა, რომ იგი არ იომებდა მთიანი ყარაბაღისთვის და ამით ირიბად აღიარა აზერბაიჯანის უპირატესობა რეგიონზე.

შეჯამებისთვის - სომხეთის რესპუბლიკამ პრაქტიკულად კაპიტულანტური გზა აირჩია, რამაც თავისთავად საერთაშორისო ასპარეზზეც აზერბაიჯანის უპირატესობა განამტკიცა. გამოიკვეთა რა კონტურები - აზერბაიჯანი გამარჯვებული, ხოლო სომხეთი დამარცხებული, მათ შორის წარმართული მოლაპარაკებებიც აზერბაიჯანული მხარის დომინირებით წარიმართა კიდევ.

საბრძოლო ველზე წარმოებული დაპირისპირება აზერბაიჯანული მხარის დომინირებით გრძელდებოდა და 20 სექტემბრის დილის საათებში ცხადი გახდა, რომ სომხურ მხარეს არც რესურსი და არც ბრძოლისუნარიანობა არ ჰქონდა საკმარისი, რათა წინააღმდეგობა გაეგრძელებინა. რუსმა სამშვიდობოებმა იკისრეს დაპირისპირებული მხარეების დაზავებისათვის კონტაქტების ძიება. წარმატებასაც მიაღწიეს და მხარეები დაითანხმეს ცეცხლის შეწყვეტაზე. 14 საათისთვის აზერბაიჯანის სამხედრო უწყებამ გვამცნო, რომ მიღწეულია მოწინააღმდეგესთან შეთანხმება აზერბაიჯანის მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე და ანტიტერორისტული ოპერაციის გაგრძელება მიზანშეუწონლად არის მიჩნეული. მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ლიდერმა სამველ შაჰრამანიანმა 20 სექტემბერს ე.წ. „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის“ გაუქმების მზადყოფნის შესახებ განცხადება გააკეთა, რითაც შეწყდა აქტიური დაპირისპირების საომარი

11 <https://mod.gov.az/ru/news/podverglis-obsirelu-pozicii-azerbajdzhanskoj-armii-v-agdamskom-napraavlennii-49328.html>

12 დილის საათებში შეხვედრა გაიმართა თურქულ სამხედრო იურისტთა დელეგაციასთან, რომელიც მიიღეს აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ და შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსმა. მოგვიანებით კი შედგა სატელეფონო საუბრები ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებსა და შეიარაღებული ძალების უფროსებს შორის.

13 სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 19 სექტემბრის განცხადება. იმავე დღესვე, უწყება აკეთებს კიდევ ერთ შეტყობინებას, რომ აზერბაიჯანული მხარის განცხადება, თითქოსდა სომხური ძალების მხრიდან ხდება აზერბაიჯანული სამხედრო ქვედანაყოფების დისლოკაციის დაბოძება, სიმართლეს არ შეეფერება. <https://www.mil.am/en/news?page=2>

ფაზა. სომხების მხრიდან პრაქტიკული კაპიტულაცია დეკლარირებულ იქნა.

საომარი ფაზის დასრულებას მოყვა მოლაპარაკებების ფაზა. აზერბაიჯანსა და მთიანი ყარაბაღელი სეპარატისტებს შორის წარმართული მოლაპარაკებები აზერბაიჯანის ქალაქ ევლახში რაუნდების პრინციპით მიმდინარეობდა. 20, 21, 25 და 29 სექტემბერს მხარეებმა წარმართეს მნიშვნელოვანი შეხვედრები პროდუქტიულობის მიღწევის სულისკვეთებით, რაც ძირითადად მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანში ინტეგრირების ნაკლებადმტკივნეული გზების მიგნებას ითვალისწინებდა.

მიუხედავად მხარეების შეთანხმებისა კონსპირაციის დაცვაზე, შეხვედრაზე განხილული საკითხების შესახებ ინფორმაცია საჯარო გახდა:

- ცეცხლის შეწყვეტის სანაცვლოდ რეგიონში არსებული არაფორმალური სამხედრო ქვედანაყოფების განიარაღება და დაშლა;
- ე.წ. „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის“ კუთვნილი შეიარაღების რუსი სამშვიდობო ძალებისა და აზერბაიჯანული სამხედრო წარმომადგენლებისათვის გადაცემა;
- რუსი სამშვიდობოებისა და აზერბაიჯანული სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან რეგიონში მყოფი სომეხი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მთიანი ყარაბაღიდან სომხეთისკენ გადაადგილებული სომეხი ლტოლვილებისთვის ტრანსპორტირებისას აზერბაიჯანული მხრიდან დახმარების აღმოჩენა, ხოლო სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან მათთვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა.¹⁴

მოლაპარაკებების შედეგობრივ ნაწილად გამოკვეთილ თარიღად მიიჩნევა 2023 წლის 28 სექტემბერი, როდესაც ე.წ. „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის პრეზიდენტმა“ სამველ შაჰრამანიანმა ხელი მოაწერა 2 პუნქტიან განკარგულებას:¹⁵

1. „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის გაუქმება.“¹⁶
2. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სტრუქტურების ფუნქციონირების შეწყვეტა 2024 წლის 1 იანვრიდან.

რეგიონული თამაშები

აზერბაიჯანი გამარჯვებული ქვეყნის სტატუსით ცდილობს სომხეთზე მოახდინოს ზეწოლა, რათა მიაღწიოს გაზრდილი ინტერესების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. მას ეძლევა ისტორიული შესაძლებლობა, რომ ნახიჩევანი დაუკავშიროს აზერბაიჯანს. სომეხი ექსპერტები (მაგ. ბენჟამენ პოლსიანი - პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიული კვლევების ცენტრის თავმჯდომარე)¹⁷ არ გამორიცხავენ კიდევ ერთ ფართომასშტაბიან შეიარაღებულ დაპირისპირებას ამჟამად უშუალოდ სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.¹⁸ აზერბაიჯანის მიზანი იქნება სომხეთის სამხრეთის ტერიტორიის გაჭრა და ე.წ. „ზანგეზურის კორიდორის“ ამოქმედება. აღნიშნული სცენარის განხორციელება ცვლის რეგიონის ძალთა ბალანსს და სხვა გეოპოლიტიკურ რეალიაში გადაყვავრთ. თუკი აზერბაიჯანმა შეძლო და მიზანს მიაღწია, საინტერესო იქნება რეგიონული მოთამაშეებისა და გლობალურად მოთამაშე ძალების რეაქცია.

სავარაუდოდ, რუსეთის ფედერაციის ქმედებები შესაძლებელია შემოიფარგლოს აზერბაიჯანულ და თურქულ მხარეებთან გარკვეული სახის შეთანხმებით და არ გადადგას რადიკალური ზომები. მან კარგად იცის, რომ თუკი დაუპირისპირდება აზერბაიჯან-თურქეთის დუეტს, მისი ისედაც რთული ეკონომიკური მდგომარეობა დამძიმდება. არ უნდა გამოირიცხოს, რომ ურთიერთობების გაფუჭების პარალელურად დუეტი შეუერთდეს საერთო დასავლურ სანქციებს, რაც რუსეთისთვის სერიოზული დარტყმა იქნება. მას შეეზღუდება კასპიის ზღვასა და შავ ზღვაზე გარკვეული სახის სატრანზიტო მიმოსვლა და რაც მთავარია ჩაეკეტება საჰაერო დერეფნები. გარდა ამისა, რუსეთი, რომელიც მძიმე ომს აწარმოებს უკრაინასთან, დუეტთან სამხედრო დაპირისპირების წინაშე აღმოჩენილი, ვერ შეძლებს სრულფასოვანი საბრძოლო ოპერაციების განხორციელებას, რაც თავისთავად მას გარდაუვალ დამარცხებასთან დაახლოვებს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, რფ, რომელსაც რთულ გარეპირობებთან ერთად უწევს რეგიონში ინტერესების განხორციელება, შეეცდება თურქეთის გაზრდილი ინტერესებისა და ავტორიტეტის რეგულირებას. მას გააჩნია სამხედრო ძალა ბაზებისა და სამშვიდობოების სახით და სწორედ მასზე დაყრდნობით და ზურგამაგრებული განაგრძობს პოლიტიკურ ვაჭრობას. შედეგებზე საუბარი გაჭირდება, თუმცა არ არის გამორიცხული გარკვეული სახის შეთანხმების მიღწევა, სადაც რუსული ინტერესები რეგიონში ნაწილობრივ მაინც იქნება დაცული.

თურქეთის რესპუბლიკა ბოლო წლების განმავლობაში რეგიონულ ლიდერად ჩამოყალიბების პროცესს გადის. მისთვის ხელისშემწყობი პირობები გახდა აშშ-ს მხრიდან არსებული გამოკვეთილი ინტერესების გამოვლენის შედარებით მინავლება და რაც მთავარია რუსეთის დასუსტების ხარჯზე მისი ინტერესების შემცირება და ავტორიტეტის შელახვა. აღნიშნულის ნათელი გამოვლინება 2020 წლის სექტემბერ-ნოემბერია, როდესაც რუსეთმა ვერ დაიცვა მოკავშირე-სომხეთი და გააძლიერა მოწინააღმდეგე-თურქეთის პოზიციები. თურქეთმა შეძლო და პირველად უახლოესი 100 წლის მანძილზე

14 სომხურმა მხარემ სომხეთის ტერიტორიაზე მოაწყო ლტოლვილთა ბანაკები (მაგალითად ქ. გორისსა და ერევანში).

15 <https://www.radiotavisupleba.ge/a/32613776.html>

16 გაუქმების მიზეზად დასახებულია შექმნილი რთული პოლიტიკური და სამხედრო ვითარება.

17 <https://armenianweekly.com/2023/10/04/what-may-happen-if-azerbaijan-launches-a-new-attack-against-armenia/>

18 სიუნიკის ან ვაიძორის პროვინციები.

სამხრეთ კავკასიაში სამხედრო წარმომადგენლობის დაფუძნებას¹⁹ მიაღწია. თურქეთი უცილობლად აზერბაიჯანის გვერდით იქნება და განუსაზღვრელ დახმარებას გაუწევს, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და სამხედრო კუთხით.

ირანის ისლამური რესპუბლიკა შეეცდება ეროვნული ინტერესების დაცვას სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ მათგან სომხეთისათვის შეიარაღების მიწოდება ალბათ განსაზღვრელებელ ღონისძიებათაგან ყველაზე სერიოზული იქნება. იგი არაერთხელ აცხადებს, რომ ზანგეზურის კორიდორის²⁰ შექმნით სომხეთთან კონტაქტს დაკარგავს, რაც ნამდვილად არ შედის მის რეგიონულ ინტერესებში. რა საშუალებებით დაუდგება მხარში მეზობელ სომხეთს? ზუსტი განსაზღვრა რთულია, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან სომხეთს სამხედრო ქვედანაყოფები მიახმაროს და ქვეყანაში რეგულარული ჯარი შეიყვანოს. არ გამოირიცხება, რომ ირანმა ხელი შეუწყოს სომხეთისათვის შეიარაღების გადაცემას და შესაძლებელია, აგრეთვე, სირია-ერაყიდან მოხალისეთა ჯგუფები არაოფიციალური გზებით მიახმაროს. ირანის ავტორიტეტისა და ინტერესების ზრდა რეგიონში არ შედის არც რფ, არც თურქეთ-აზერბაიჯანის და არც დასავლეთის ინტერესებში, ამიტომაც მისი მჭირი რესურსის გათვალისწინებით შეზღუდული იქნება მკვეთრ და გადამწყვეტი ნაბიჯების განხორციელებაში. გაცილებით აქტიური, სავარაუდოდ, იქნება ეკონომიკის სფეროში და შეეცდება აღნიშნულ სფეროში აქტიურობა გამოიყენოს რეგიონში ავტორიტეტის ზრდისთვის. მსგავსი ნაბიჯები მან უკვე გადადგა 44 დღიანი შეიარაღებული დაპირისპირების დასრულების შემდეგაც, როცა გამოთქვა სურვილი მთიანი ყარაბაღის აღდგენის პროცესში რიგ პროექტებში ჩართულიყო.

სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის განმტკიცების საქმეში აშშ უწყვეტ რეჟიმში განაგრძობს ქმედებებს, რომელიც გამოიხატება დაპირისპირებულ მხარეებთან ორმხრივი მოლაპარაკებებით. მნიშვნელოვანია მისი მცდელობა შუამავლის როლი მოიგოს. იგი სისტემატურად გამოდის ინიციატივით, რომ მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას, რათა განმუხტულ იქნას უკიდურესად დამაბული და ფეთქებადი ურთიერთობები.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ჩვენ ვხედავთ, რომ აშშ-ს მცდელობას შედეგი ვერ მოჰყვა და მხარეების მორიგმა სისხლიანმა დაპირისპირებამ ათეულობით უდანაშაულო ადამიანის დაღუპვა გამოიწვია. აშშ-მ რეაგირება დაუყოვნებლივ გააკეთა - კონფლიქტურ ზონაში მიმდინარე პროცესების უკეთ გაგნობისა და სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით ქვეყნის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა სატელეფონო საუბარი გამართა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან. საუბრისას ამ უკანასკნელმა ანტიტერორისტული ოპერაციის შეწყვეტის პირობად დაასახელა მთიანი ყარაბაღში უკანონო სამხედრო ფორმირებების მხრიდან იარაღის დაყრა, მათი დაშლა და მათ ხელში არსებული ყველანაირი შეიარაღების რუსი მშვიდობისმყოფელების მონიტორინგის ქვეშ აზერბაიჯანული მხარისთვის ჩაბარება. საუბრის ბოლოს კი ალიევმა დაარწმუნა ამერიკელი მაღალჩინოსანი, რომ აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მხრიდან ცეცხლი ხორციელდება მკაცრად განსაზღვრულ მიზნებზე და ამერიკული სამოქალაქო დანიშნულების ობიექტებზე რამენაირი საცეცხლე ზემოქმედების განხორციელება.²¹

დასავლეთს რაც შეეხება, მას რეგიონში არ გააჩნია ლოგისტიკური მყარი ქსელი და აქედან გამომდინარე სამხედრო ქვედანაყოფების გადასროლა ნაკლებად სავარაუდოა. იგი შემოიფარგლება მკაცრი გაფრთხილებებით და აზერბაიჯანისათვის სანქციების დაწესების მუქარით, რომელიც შექმნილი მდგომარეობიდან და უპირველესად აზერბაიჯანული ენერგოპროდუქტების საჭიროებებიდან გამომდინარე, ნაკლებად შესასრულებელი გახდება. მოლაპარაკებების მაგიდასთან პრობლემის გადატანა იქნება ყველაზე ოპტიმალური, რასაც იგი მიაღწევს. ხაზი უნდა გაესვას აშშ-ს ქმედებებს. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს არ არის მზად პრობლემის მოგვარებისათვის, აშშ ცდილობს გაზარდოს ურთიერთობები პირველ რიგში სომხეთთან თანამშრომლობის მიმართულებით. ამის ნათელი მაგალითია სომხეთ-ამერიკული სამხედრო წვრთნების²² ჩატარება, რომელმაც გაღიზიანება გამოიწვია რფ-ში.

რაც შეეხება საქართველოს, იგი შეეცდება ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებას და ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციებში ჩართვას. შესაძლებელია, ვიხილოთ მისი გააქტიურება სამშვიდობო პროცესებისა და ჰუმანიტარული დახმარების კუთხით. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სხვა რაიმე მიმართულებით საქართველოს გააქტიურება მოსალოდნელი არ არის.

ცალკე გამოსაყოფია სამხრეთ კავკასიაში ისრაელის ინტერესი და როლი. გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონში მას ჰყავს ერთ-ერთი დიდი და მოსისხლე მტერი ირანის სახით, ძნელი ამოსაცნობი არ არის აზერბაიჯან-სომხეთის დაპირისპირებაში იგი რომელ ბანაკში დამკვიდრდებოდა. შეგვიძლია ვთქვათ,

19 2020 წლის დეკემბერში ქ. აღდამში განთავსდა თურქი სამხედროები ჯგუფი, რომლის მიზანს რუს სამშვიდობოებთან ერთად მთიანი ყარაბაღის უსაფრთხოების მონიტორინგის განხორციელება წარმოადგენდა.

20 ოფიციალური თეირანი მას „ნატო-თურანის კორიდორს“ უწოდებს, რაც თავისთავში გულისხმობს მისი ეროვნული უსაფრთხოებისათვის სერიოზულ გამოწვევას.

21 <https://www.trt.net.tr/georgian/regioni-da-sak-art-velo/2023/09/20/ra-sheht-xvevashi-sheach-erebs-azerbaijani-qarabagshi-operac-iebs-2039754>

22 2023 წლის 11-20 სექტემბერი. ლოკაცია საწვრთნელი ცენტრი „ზარი“. წვრთნების დასახელება - Eagle Partner-2023. წვრთნების მიმდინარეობისას გამოყენებულია ამერიკული წარმოების ცეცხლსასროლი იარაღი, სხვადასხვა სახის ამბუცია და მძიმე ტექნიკა. მიზანი - საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ქვედანაყოფებს შორის ოპერატიული მოქმედებების დახვეწა. მონაწილეობა მიიღეს კანზასის შტატიდან ეროვნული გვარდიის 89 ამერიკელმა სამხედრომ. ეს იყო რიგით მეოთხე (2004, 2006, 2008 და 2023) ფაქტი, როდესაც ამერიკელი და სომეხი სამხედროები მონაწილეობენ ერთობლივ წვრთნებში.

რომ ისრაელმა გამოკვეთილად პროაზერბაიჯანული პოზიცია დაიკავა. აღნიშნული პოზიცია მან გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოსთვის ჩამოაყალიბა, როდესაც აზერბაიჯანული ენერგოპროდუქტების გარევაჭრობისათვის სატრანზიტო გზების ძიება პრიორიტეტს წარმოადგენდა, განსაკუთრებით ირანთან დაპირისპირებული ქვეყნებისათვის. მათ შორის ისრაელი ერთ-ერთი ფლაგმანია, რომელმაც კარგად გათვალა აზერბაიჯანის ენერგოსიძლიერე და მასთან ჯერ სანიმუშო თანამშრომლობა ააწყო, ხოლო მოგვიანებით თანამშრომლობამ სტრატეგიულ ნიშნულს მიაღწია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ორმხრივი თანამშრომლობა ურთიერთსარგებლიანობით წარმართა. შედეგად, ისრაელმა მიიღო აზერბაიჯანის ტერიტორია, რათა აწარმოოს დაკვირვება მეზობელ ირანზე,²³ ხოლო აზერბაიჯანმა ისრაელის მაღალტექნოლოგიურ იარაღზე წვდომა. ამ უკანასკნელმა კი ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა ჯერ 2020 წლის სექტემბერ-ნოემბრის კონფლიქტში, ხოლო შემდეგ 2023 წლის 19 სექტემბრის ერთდღიან შეიარაღებულ დაპირისპირებაში. სხვადასხვა წყაროები ამტკიცებენ, რომ კონფლიქტის განახლებამდე რამდენიმე კვირის განმავლობაში ისრაელის საჰაერო ბაზებიდან აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის უშუალო სიახლოვის აეროდრომებზე სისტემატურად მოძრაობდნენ სატრანსპორტო მძიმე თვითმფრინავები, რომლებსაც შეიარაღება გადაჰქონდათ. იარაღის მიწოდების ოპერაცია გაშიფრულ იქნა სომხების მხრიდან, რომლებიც ხმამაღლა აცხადებდნენ ისრაელის ქმედებების შესახებ. ისრაელში სომხეთის ელჩმა არმან აკოპიანმა თელ-ავივში განაცხადა: „ჩვენთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რომ ისრაელის იარაღი ესვრის ჩვენს ხალხს.“²⁴ აზერბაიჯანისთვის სამხედრო დახმარების გაწევასთან დაკავშირებით ისრაელის სამხედრო და დიპლომატიური უწყებები ნათელ განმარტებას არ აკეთებენ, თუმცა სამხედრო სფეროში თანამშრომლობით რომ კმაყოფილნი არიან - მიმდინარე წლის ივლისში ბაქოში მყოფი ისრაელის თავდაცვის მინისტრის იოვ გალანტის განცხადებებითაც ნათელი ხდება.²⁵

აზერბაიჯან-სომხეთის დაპირისპირებისას საქართველოს პოზიცია არის ნათელი და მტკიცე. ამავე დროს ჰუმანური და უწყინარი, რამეთუ თუკი ვინმეს ხელს არ აძლევს რეგიონში ესკალაციის ზრდა ეს საქართველოა. 2020 წლის სექტემბერ-ნოემბრის ომის მსგავსად, 2023 წლის 19 სექტემბრის დაპირისპირებისას იგი გამოკვეთილ ნეიტრალურობას ინარჩუნებდა, რაც გამოიხატა შემდეგში:

1. ქვეყნის ტერიტორიის არ გამოყენება ერთი ან მეორე მხარის მიერ, რათა არ განხორციელებულიყო სამხედრო და ორმაგი დანიშნულების ტვირთის ტრანსპორტირება.
2. ჰუმანიტარული ხასიათის პროექტების დაგეგმვა და მათთან მიერთება.
3. სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმართვაში მხარდაჭერა.

საქართველოს როლი ორი ერის სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში ჩართვაში არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან:

1. მის მიმართ როგორც აზერბაიჯანი, ასევე სომხეთი არიან ნდობით განწყობილნი.
2. ქ. თბილისი, როგორც რეგიონული მნიშვნელობის ქალაქი, ტერიტორიულად მოსახერხებელია ორივე ქვეყნისთვის.
3. თუკი საქართველო გახდება მთავარი მედიატორი, იგი საგარეო არენაზე შეიძენს უფრო მეტ ავტორიტეტს.
4. მას შეეძლება სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმართვისას რეგიონული და სახელმწიფოებრივი ინტერესები წინ წამოწევა.
5. მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება კი ქართული დიპლომატიის უდაო წარმატებად აღიქმება.
6. საქართველო მიიღებს მეტ გამოცდილებას, როგორც ქვეყანა-მედიატორი, რაც ჩვენთვის არის დამატებითი დივიდენტების მომტანი.

ბოლოს, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოსთვის რეგიონული სტაბილურობა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ის საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისას, აუცილებელ პრიორიტეტად, ორი ქვეყნის დაზავების პროცესს შეუწყობს ხელს.

ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მესამე სამიტი

ესპანეთის ანდალუზიის პროვინციის მთავარმა ქალაქმა გრანადამ ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მესამე სამიტს²⁶ უმასპინძლა. მიუხედავად მოლოდინისა და წინასწარი ანონსირებისა, სამიტზე აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერების შეხვედრა ვერ მოხერხდა. მიზეზი პრეზიდენტ ალიევის მიერ სამიტზე გამგზავრებაზე დემონსტრაციული უარი გახდა. ბაქომ განაცხადა, რომ პრეზიდენტის უარი ორი მიზეზით განხორციელდა:

1. საფრანგეთის მიერ სომხეთისათვის ანონსირება შეიარაღების გადაცემის თაობაზე.

23 ჩვენთვის ცნობილია, რომ ისრაელი დაინტერესებულია აზერბაიჯანში სამხედრო წარმომადგენლობით, რათა აწარმოოს ირანზე დაკვირვება, - ირანელი დიპლომატი ტვირან ბალაიანი.

24 <https://www.latimes.com/world-nation/story/2023-10-06/israeli-arms-quietly-helped-azerbaijan-retake-nagorno-karabakh-to-dismay-of-armenians>

25 <https://www.aa.com.tr/tr/dunya/azerbaycan-cumhurbaskani-aliev-israil-savunma-bakani-gallanti-kabul-etti/2944589>

26 სამიტზე ძირითად განსახილველ საკითხებს შორის დეკლარირებულ იქნა ევროკავშირის გაფართოების პრობლემატიკა და ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხილვა/დაგეგმვა.

2. სამიტის მიმდინარეობისას დაგეგმილ შეხვედრაზე²⁷ დასავლეთის მხრიდან თურქეთის იგნორირება.

ალიევის დემარშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მან დასავლეთს რამდენიმე მესიჯი გაუგზავნა, რომელთაგან უმთავრესი არის შემდეგი - აზერბაიჯანი არ წარმართავს დასავლეთთან მოლაპარაკებას თურქეთის გარეშე და ეს ყურად უნდა იღოს პირველ რიგში საფრანგეთმა და მეორე, დასავლეთმა თავი შეიკავოს სომხეთისადმი სამხედრო დახმარების გაწევისაგან. მიზეზი კი აზერბაიჯანელების ხედვით არის სომხეთის მხრიდან, მიღებული შეიარაღებით, ჯარის გაძლიერება, რაც სამომავლოდ აზერბაიჯანთან შეიარაღებულ დაპირისპირებას გამოიწვევს. ამგვარად, დასავლეთი ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ახალი შეიარაღებული დაპირისპირების ინიცირებას.

დასავლეთმა ჯერ-ჯერობით „გაატარა“ აზერბაიჯანის არცთუ პროტოკოლური ჭირვეულობა. ევროკავშირის ლიდერმა შარლ მიშელმა დაპირისპირებული მხარეები მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოსთვის ბრიუსელში დაპატიჟა, რომელზეც თანხმობის შემთხვევაში, განხორციელდება მნიშვნელოვანი გამორჩეული შეხვედრა, რომელიც განსაზღვრავს ორი ქვეყნის ურთიერთობების ძირითად პრინციპებს.

დასკვნა

ამგვარად, სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური მდგომარეობის მდგრადობას განსაზღვრავს რეგიონში ძალთა ბალანსის რეგულირება. ქვეყნები, რომლებსაც უნარი შესწევთ და სურვილი აქვთ ძალთა ბალანსის რეგულირებისა, ცდილობენ პოლიტიკური ვაჭრობა გამართონ/აწარმოონ სხვა ქვეყნებთან, რათა ბრძოლის ველზე არ გადაწყვიტონ სტრატეგიული მიზნები. რეგიონში მოთამაშე ლოკალური და გარე სუბიექტები ცდილობენ რა შექმნან უპირატესობა მოწინააღმდეგე აღქმულ სუბიექტთან ან სუბიექტებთან, ხშირ შემთხვევაში მშვიდობის დეკლარირებასთან ერთად ამზადებენ და ახორციელებენ კიდევ შეიარაღებულ დაპირისპირებას, რომელშიც ასევე ხშირ შემთხვევაში თვითონ უშუალო ჩარევისგან თავს იკავებენ და შემოიფარგლებიან კონფლიქტში ჩართული მხარეების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა სახის დახმარებებით.

მთიანი ყარაბაღისთვის ერთდღიანი კონფლიქტის ისტორია ხანმოკლე გამოდგა. დასრულდა კიდევ ერთი ეტაპი ორ დაპირისპირებულ ერს შორის. ერთი მათგანი გამარჯვების ეიფორიაშია, ხოლო მეორე გლოვის ხანაში. ეს არის მოცემულობა, რომელიც თან სდევს სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირების ასწლეულობით ისტორიას. სამწუხაროდ, მათი ურთიერთობების შეფასებისას მხოლოდ ერთი კითხვა მუსირებს - როდის დაიწყება ახალი დაპირისპირება? შესაბამისად - ზუსტად იმ დროს, როდესაც ერთ-ერთი მხარე მეორესთან შედარებით თავს იგრძნობს უპირატეს მდგომარეობაში, შექმნის ახალი შეიარაღებული დაპირისპირებისათვის მისთვის კომფორტულ გარემოს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო არენაზე. პასუხის სისწორე შესაძლებელია გადამოწმებულ იქნას დამარცხებული ქვეყნის საზოგადოების განწყობაში. სომეხი მოსახლეობა დღეს არის გაწვილებული, არის განრისხებული და არის უძლურების შეგრძნებით, თუმცა ამ მოცემულობაშიც კი არცერთი მათგანი ბოლომდე არ ეგუება, რომ მთიანი ყარაბაღი მათთვის დაკარგულია. თითოეული გულის სიღრმეში დარწმუნებულია დიდი სომხეთის არსში.

²⁷ შეხვედრა დაგეგმილი იყო სამიტის გახსნამდე ერთი დღით ადრე. მასში მონაწილეობა დაგეგმილი იყო აზერბაიჯანის, სომხეთის, საფრანგეთის, გერმანიის და ევროკავშირის ლიდერებს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

- “Flaş iddia: ‘AB, Rusya ve ABD gizlice İstanbul’da görüştü”, 04.10.2023. <https://www.samanyoluhaber.com/flas-iddia-ab-rusya-ve-abd-gizlice-istanbulda-gorustu-haberi/1451523/>
- Debre, Isabel. „Israeli arms helped Azerbaijan retake Nagorno-Karabakh, to the dismay of Armenians“, 06.10.2023. <https://www.latimes.com/world-nation/story/2023-10-06/israeli-arms-quietly-helped-azerbaijan-retake-nagorno-karabakh-to-dismay-of-armenians>
- „Пашинян объяснил выпад Армении в сторону Путина“, 17.09.2023. https://newzfeed.ru/2023/09/17/pashinyan-obyasnil-vypad-armenii-v-storonu-putina/?utm_source=smi2
- Ахмедов, Р. „Глава МИД Пакистана заявил о поддержке Исламабадом легитимных действий Баку на суверенной территории Азербайджана“. 28.09.2023. <https://interfax.az/view/900395>
- „Putin on Yerevan’s refusal to compromise in Karabakh issue“, 05.10.2023. https://arka.am/en/news/politics/putin_on_yerevan_s_refusal_to_compromise_in_karabakh_issue/
- Rehimov, Ruslan. „Azerbaycan Cumhurbaşkanı Aliyev, İsrail Savunma Bakanı Gallant’ı kabul etti İsrail Savunma Bakanı Yoav Gallant“, 13.07.2023. <https://www.aa.com.tr/tr/dunya/azerbaycan-cumhurbaskani-aliyev-israil-savunma-bakani-gallanti-kabul-etti/2944589>
- „რა შემთხვევაში შეაჩერებს აზერბაიჯანი ყარაბაღში ოპერაციებს?“, 20.09.2023-20.10.2023. <https://www.trt.net.tr/georgian/regioni-da-sak-art-velo/2023/09/20/ra-shemt-xvevashi-sheach-erebs-azerbajjani-qarabag-shi-operac-iebs-2039754>
- „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა“ არსებობას 1 იანვრიდან შეწყვეტს“, 28.10.2023 <https://www.radiotavisupleba.ge/a/32613776.html>
- „Что могли обсуждать ЕС, США и Россия в преддверии агрессии Азербайджана против Арцаха? Версии эксперта“, 04.10.2023. <https://news.am/rus/news/784999.html>

კავკასია გზაჯვარედინზე-რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები (შუა დერეფანი)

მაიორი ზვიადი აბუთიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
საინჟინრო მექანიკის მიმართულების უფროსი,
თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამის მაგისტრი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილული ე. წ. „კავკასიის გზაჯვარედინის“ რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები სამხრეთ კავკასიის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან შესაძლებლობას - შუა დერეფანს უკავშირდება, რომელსაც ნამდვილად აქვს ის პოტენციალი, რომ მთლიანად ეს გეოგრაფიული გარემო მსოფლიო მნიშვნელობის კვანძად აქციოს. რუსეთ-უკრაინის ომმა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე დამაბულმა სიტუაციამ უფრო აქტუალური გახადა შუა დერეფნის როლი, როგორც რეგიონის, ასევე ევრაზიის კონტინენტისათვის, რამეთუ შუა დერეფანი მდებარეობს ჩრდილოეთ დერეფანსა და სამხრეთ დერეფანს შორის და წარმოადგენს ისტორიული აბრეშუმის დიდი გზის ნაწილს. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, გლობალური სატრანსპორტო ლოჯისტიკური ინდუსტრია თავდაყირა დადგა. საერთაშორისო სანქციების გამო რუსეთის გავლით სატრანზიტო გზის შეფერხებამ შუა დერეფნის როლი მნიშვნელოვნად გაზარდა, შესაბამისად, რეგიონის ყველა სახელმწიფოს ინტერესშია, რომ ტვირთბრუნვა შუა დერეფანში რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგაც შენარჩუნდეს. შუა დერეფნის განვითარება ჩვენი რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკული და კულტურული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისათვის ერთ-ერთი მთავარი ღერძია. ძლიერი ეკონომიკა თავისთავად ნიშნავს ძლიერ სახელმწიფოს ძლიერი სტრუქტურებითა და ორგანოებით, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ყველა საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგების განვითარებას. სამხრეთ კავკასიის რეგიონში გამავალ შუა დერეფანს აქვს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა: ენერჯის ტრანსპორტირების, გეოგრაფიული მდებარეობის, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით, თუმცა ეს როლი ზოგჯერ შეიძლება შეიზღუდოს რეგიონში არსებული „გაყინული“ კონფლიქტების გამო. უსაფრთხო და მდგრადი ბიზნესგარემოს შესაქმნელად, სატრანსპორტო ჯაჭვში ჩართული ყველა სახელმწიფოს მხრიდან, შესაბამისი ძალისხმევა არის საჭირო, რათა შუა დერეფნით მოსარგებლე მომხმარებლებმა რეგიონში არსებული პორტებითა და სატრანსპორტო გზებით სარგებლობა ჩრდილო დერეფანში გზების აღდგენის შემდეგაც აქტიურად გააგრძელონ.

საკვანძო სიტყვები:

კავკასია, სამხრეთ კავკასია, აბრეშუმის გზა, ჩრდილოეთის დერეფანი, შუა დერეფანი.

Caucasus at the Crossroads - Challenges of Regional Stability (Middle Corridor)

Major Zviadi Abutidze

LEPL - Davit Agmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Head of Bachelor program of Mechanical Engineering
Master of Defense and Security's Program

Abstract

The presented paper discusses the challenges of the regional stability of the so called “Crossroads of the Caucasus”, related to the important opportunity facing the South Caucasus - the Middle Corridor, which really has the potential to turn this entire geographical environment into a knot of world significance. The Russia-Ukraine war and the tense situation in the Middle East have made the role of the Middle Corridor more relevant both for the region and for the Eurasian continent, because the Middle Corridor is located between the Northern Corridor and the Southern Corridor and it represents the part of the historic Great Silk Road. After the start of the Russia-Ukraine war, the global transport logistics industry was turned upside down. The disruption of the transit route through Russia due to international sanctions has significantly increased the role of the Middle Corridor, therefore, it is in the interest of all states of the region to maintain the cargo circulation in the Middle Corridor even after the end of the Russia-Ukraine war. The development of the Middle Corridor is one of the main points for the further deepening of the economic, political and cultural relations between the countries of our region. A strong economy in itself means a strong state with strong structures and organs, which, in turn, includes the development of all vital sectors. The Middle Corridor passing through the South Caucasus region has great strategic importance: in terms of energy transportation, geographic location, geopolitical and economic cooperation, although this role can sometimes be limited due to “frozen” conflicts in the region. In order to create a safe and sustainable business environment, appropriate efforts are needed from all states involved in the transport chain, so that users of the Middle Corridor continue to actively use the ports and transport routes in the region even after the restoration of the roads in the Northern Corridor.

Keywords:

Caucasus, South Caucasus, Silk Road, Northern Corridor, Middle Corridor.

შესავალი

კავკასიის რეგიონი მდებარეობს სტრატეგიული მნიშვნელობის კვეთაზე, სადაც ისტორიულად დიდ სახელმწიფოებს (იმპერიებს) ყოველთვის ჰქონდათ და დღესაც აქვთ ინტერესთა კონფლიქტი. ზოგიერთი გამოწვევა ამ გეოგრაფიის წინაშე რეგიონული სტაბილურობის თვალსაზრისით შეიძლება იყოს: ეთნიკური და რელიგიური განსხვავებები, პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტები, ეკონომიკური და სხვა.

მნიშვნელოვან გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს კავკასიის რეგიონში გამავალი ისტორიული „აბრეშუმის გზა“, რომლის მნიშვნელობა შორეული პერიოდიდან იწყება და დღესაც არ კარგავს აქტუალურობას. უშუალოდ ამიერკავკასიაში საქართველოზე გადის სატრანზიტო გზა, რომელსაც გეოგრაფიულად შუა (ცენტრალური) დერეფანს უწოდებენ.

შუა დერეფანი არის ევროპისა და აზიის სატრანსპორტო მარშრუტის ნაწილი, რაც გულისხმობს გადასასვლელს, რომელიც აზიასა და ევროპას კასპიის ზღვის გავლით შავ ზღვამდე მისასვლელით უზრუნველყოფს. ამ რეგიონის როლი და რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები აიხსნება, შუა დერეფანში: ენერგომატარებლების ტრანსპორტირებით, სავაჭრო და სამხედრო გზებითა და მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობით.¹

დღეს საუკეთესო დრო არის იმისათვის, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) შუა დერეფნის პოტენციური მაქსიმალურად გამოიყენონ, რადგან გეოპოლიტიკური სურათი შეიძლება შეიცვალოს და აზიიდან წამოსულმა ტვირთებმა ისევ ჩრდილოეთის დერეფანში გადაინაცვლონ.

აბრეშუმის გზა - ისტორიული სავაჭრო - საქარავნო მარშრუტი, რომელიც ჩინეთს შავი და ხმელთაშუა ზღვებით აკავშირებდა ევროპის ნაწილთან. ამ გზით სარგებლობა დაიწყო ქრისტესშობამდე II საუკუნით ადრე. ჩრდილოეთის გზა კასპიის ზღვით უკავშირდებოდა სამხრეთ კავკასიას, გადაკვეთდა საქართველოს და შავი ზღვით რომის იმპერიამდე აღწევდა. მეორე გზა ირანზე გავლით ხმელთაშუა ზღვის ნაპირებისაკენ მიემართებოდა.²

აბრეშუმის გზით ჩინეთიდან ძირითადად გაჰქონდათ აბრეშუმი და ასევე ოქროც. ამ გზას მნიშვნელობა შეუმცირდა XVII საუკუნიდან, როდესაც ევროპელები საბოლოოდ გავიდნენ საოკეანო გზებზე. აგრეთვე აბრეშუმის გზის როლმა ხელი შეუწყო ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. ამ გზით შევიდა ჩინეთში მინა, ფუფუნების საგნები, ზოგიერთი კულტურული მცენარე, არაბული ცხენი და სხვა, შეაღწია აგრეთვე რელიგიურმა და ფილოსოფიურმა მოძღვრებებმა (ბუდიზმი, მანიქეველობა, იუდაიზმი, ისლამი, ნესტორიანელობა).³

კავკასიას თავისი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე მსოფლიოში. იგი არის ევროპისა და აზიის შემაერთებელ ხიდი, რომელიც მდებარეობს შავსა და კასპიის ზღვებს შორის. კავკასია იყოფა ორ ნაწილად: ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიად.⁴

კავკასიის ტერიტორიის ევროპისა თუ აზიისათვის მიკუთვნების საკითხი ყოველთვის გაუთავებელი კამათის საგანია. მკვლევარების ნაწილი საზღვარს აზიასა და ევროპას შორის ავლებს კუმა-მანიჩის ღრმის გასწვრივ, ზოგიერთი კი ირანთან და თურქეთთან სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების პოლიტიკურ საზღვარზე. ძველი ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს მიხედვით, ევროპასა და აზიას შორის საზღვარი გადის მდინარე რიონზე, ხოლო ზოგიერთი თვლის მდინარე დონსა და ქერჩის სრუტეს.⁵

სამხრეთი კავკასია - რეგიონი, რომელიც მდებარეობს შავი ზღვისა და კასპიის ზღვას შორის და მოიცავს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს. სხვადასხვა წყაროში სამხრეთ კავკასიის სინონიმია ამიერკავკასია, რომელიც შემდეგნაირად არის განმარტებული: „ამიერკავკასია არის კავკასიონის ქედის სამხრეთი რეგიონი.“⁶

მკვლევარების მოსაზრებები გვამღევეს იმის თქმის საშუალებას, რომ ევროპა-აზიის საზღვარი არ წარმოადგენს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე გავლებულ ბუნებრივ საზღვარს, არამედ ის წარმოადგენს საკმაოდ ფართო სივრცეს, სადაც ევრაზიის პირობითი საზღვარი რეგიონში განვითარებული სხვადასხვა გეოპოლიტიკური სიტუაციის მიხედვით იცვლებოდა და დღესდღეობით წარმოადგენს იმ მოცემულობას, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი, კასპიისა და შავ ზღვას შორის, მთლიანად წარმოადგენს ევროპის (დასავლეთი) და აზიის (აღმოსავლეთი) დამაკავშირებელ, სტრატეგიული მნიშვნელობის დერეფანს.

ნაშრომში ძირითადად გამოვიყენეთ საქართველოს ლოგისტიკის ასოციაციის, რომელიც წარმოადგენს სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთ წამყვან კვლევით ორგანიზაციას ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის სექტორში, თავჯდომარის გიორგი დობორჯგინიძის 2019 წლის თებერვლის თვეში გამოქვეყ-

1 გ. დობორჯგინიძე, „საქართველო, როგორც შუა დერეფნის საზღვაო კარიბჭე“, <https://forbes.ge/saqarthvelo-rogor-tshua-de/> [გამოქვეყნების თარიღი: 11 თებერვალი 2019].

2 ვ. ჩოჩიევი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, თბ., 1975. - გვ. 34.

3 ვ. ჩოჩიევი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, თბ., 1975. - გვ. 34-35.

4 Н.А. Гвоздецкий, Физическая география Кавказа. Москва: МГУ, 1954.


5 ჟ. რადვანი, ნ. ბერუჩაშვილი, „კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011.

6 თ. გამყრელიძე, „ტრანსკავკასია“ თუ „სამხრეთკავკასია?“, გეოპოლიტიკური ნომენკლატურის დაზუსტებისათვის, თბ., 1998.

ნებული სტატია „საქართველო, როგორც შუა დერეფნის საზღვაო კარიბჭე“ და ინტერნეტ გამოცემა „პუბლიკა“-ს გუნდის წევრის ალექსანდრე ქეშელაშვილის მიერ 2023 წლის მარტის თვეში გამოქვეყნებული, „შუა დერეფანი | საქართველოს პერსპექტივა და გამოწვევები“ სტატია და მასში მოყვანილი ექსპერტთა ინტერვიუები.

ძირითადი ნაწილი აზია-ევროპის ვაჭრობა

2017 წლის მონაცემებით, აზიასა და ევროპას შორის დაახლოებით 22 მილიონი კონტეინერი გადაიზიდება. აქედან 7 მილიონი – ევროპიდან ჩინეთისკენ, ხოლო 15 მილიონი ჩინეთიდან ევროპისაკენ. საზღვაო ტრანსპორტის აღნიშნული ტვირთი 97%-ს და საერთო ღირებულების 70%-ს შეადგენს. საჰაერო გზით ტვირთის მხოლოდ 2% გადაიზიდება, რაც გადაზიდული ტვირთის ღირებულების 28%-ია. სარკინიგზო ტრანსპორტის წილი კი აღნიშნულ სატრანსპორტო დერეფანში მხოლოდ გადაზიდული ტვირთების 1 პროცენტია, რაც ტვირთის ღირებულების 2%-ს შეადგენს. აღნიშნული სარკინიგზო გადაზიდვა ხდება ევრაზიული ეკონომიკური კორიდორით, საიდანაც დაახლოებით 70% პირდაპირ ჩინეთი-რუსეთის, ხოლო 30% ჩინეთი-ყაზახეთი-რუსეთის გავლით გადაიზიდება. შუა დერეფნის გავლით კი ტვირთების მცირე რაოდენობა მოძრაობს.⁷



სურ. 1. ევროპასა და აზიას შორის გადაზიდული კონტეინერების (TEU) მოცულობა 2017 წელი.⁸

საქართველოს როლი შუა დერეფანში


აზიასა და ევროპას შორის დამაკავშირებელი ერთ-ერთი სატრანსპორტო მარშრუტი - შუა დერეფანი საქართველოზე გადის. ისტორიულად ქვეყანაში ადრინდანვე გადიოდა „აზრუშუმის გზის“ ნაწილი. ბოლო პერიოდში სამხრეთ კავკასიაზე გამავალი მარშრუტი ბევრად ნაკლებ ტვირთს ატარებს ჩრდილოეთის მარშრუტთან შედარებით, რომელიც ჩინეთს ევროპასთან რუსეთის მეშვეობით აკავშირებს.

ჩრდილოეთის დერეფანი განსაკუთრებით 2014 წლის შემდეგ გაძლიერდა. ჩინურმა დაფინანსებამ რუსეთის გავლით სარკინიგზო გადაზიდვის მოცულობა მკვეთრად გაზარდა. თავდაპირველად ამ მიმართულებით გადაზიდვებს ნელი ტემპი ჰქონდათ, მაგრამ 2019-2020 წლებში დიდი მოცულობის ტვირთის მოძრაობა დაფიქსირდა. **ეკონომისტ ვახტანგ ჭარაიას** თქმით, ჩრდილოეთის დერეფნის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ძირითადად ერთ ქვეყანაზე (რუსეთზე) გადის და მოიცავს მხოლოდ სარკინიგზო გზას, განსხვავებით შუა დერეფნისგან, რომელშიც საზღვაო-სახმელეთო გადაზიდვების კომბინაცია და რამდენიმე ქვეყნის ინტერესების დაკმაყოფილება არის საჭირო.⁹

7 გ. დობორჯგინიძე, „საქართველო, როგორც შუა დერეფნის საზღვაო კარიბჭე“, <https://forbes.ge/saqarthvelo-rogor-ts-shua-de/> [გამოქვეყნების თარიღი: 11 თებერვალი]

8 <https://forbes.ge/saqarthvelo-rogor-ts-shua-de/>

9 ინტერნეტ გამოცემა პუბლიკა, „შუა დერეფანი | საქართველოს პერსპექტივა და გამოწვევები“, <https://publika.ge/article/shua-derevani-saqartvelos-perspeqtiva-da-gamowvevi/> [გამოქვეყნების თარიღი: 20 მარტი 2023].



სურ. 2. ალტერნატიული მარშრუტები ჩინეთიდან ევროპამდე.

შუა დერეფნში გამავალი ტვირთის ტარიფები საზღვაო გადაზიდვებთან შედარებით ძვირია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მას უფრო ნაკლები დრო სჭირდება. „მაერსკის“ საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი მაია პარლაგაშვილი განმარტავს, რომ „თუკი ჩინეთიდან ევროპაში ზღვას სჭირდება დაახლოებით 45 დღე, რკინიგზა 2-3 კვირაში ეტეოდა. რკინიგზასთან შედარებით კიდევ უფრო ძვირია საჰაერო გზით გადაზიდვა, რომელსაც, დაახლოებით, 7-10 დღე სჭირდება, მაგრამ მეტადაც აბინძურებს გარემოს. ასე რომ, რკინიგზა საჰაერო და საზღვაო გზებს შორისაა, ფასითა და დროის მიხედვით“.¹⁰

რუსეთზე გამავალი ჩრდილოეთის დერეფანი ფასით და დროით უფრო მომგებიანია, მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომის გამო, კომპანიებმა მეტი ყურადღება დაუთმეს შუა დერეფანს. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა ცდილობს, თავი აარიდოს ჩრდილოეთის დერეფანს, შუა დერეფანზე გამავალ მარშრუტზე იქიდან წამოსული ტვირთის დიდი ნაწილი ვერ გადმოერთო, რადგან შუა დერეფანი ჩრდილოეთის დერეფანთან შედარებით ტვირთგამტარიანობით მის მეთავე ნაწილსაც კი ვერ შეადგენს და ყველა ტვირთის გატარება შუა დერეფნის გამოყენებით ამ ეტაპზე ფიზიკურად შეუძლებელია. მაგრამ ზოგიერთი სახეობის ტვირთის ზღვით გადაზიდვა ვერ ხერხდება, რადგან მისი დანიშნულების ადგილამდე მიტანა მოკლე დროშია საჭირო. ამ საჭიროებების გათვალისწინებითაც მოიმატა შუა დერეფნის აქტუალურობამ.

შუა დერეფნის მარშრუტზე არსებული პრობლემები ძირითადად საქართველოს არ ეხება. „დაბრკოლებებს“ ძირითადად სხვა ქვეყნები ქმნიან. ტვირთნაკადის შუა დერეფანში გადმორთვას მოუშვა დადებული შეხვდა ყაზახეთი. საუბარია რუსეთში მიმავალი ყაზახური ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენში, ან საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტით გატარებაზე. ის არ აღმოჩნდა მზად როგორც ინფრასტრუქტურულად, ასევე, იურიდიული კუთხითაც. თუმცა არაერთი საკითხია, რომლის გამოსწორებაც საქართველოს მხრიდან შეიძლება. მაგალითად, ტარიფების მატება სერვისის გაუმჯობესების გარეშე დერეფნის განვითარებას ხელს უშლის. ასევე, საავტომობილო ტრანსპორტში სირთულეებია საბაჟო პროცედურების ხანგრძლივობის მხრივაც. საზღვაო გადაზიდვის მიმართულებით კი საქართველოს არ აქვს ტერმინალები, რომლებიც სხვადასხვა სახის ტვირთს მოემსახურება. ინფრასტრუქტურის ნაკლებობის გამო, საქართველოს ნაცვლად ეს ტვირთი სხვა პორტებში მიდის. მაგალითად, ბალტიისა და შავი ზღვის მოცულობა თითქმის თანაბარია, იქ 56 საბორნე ხაზია, როცა ჩვენთან მხოლოდ 12-ია.¹¹

10 ინტერნეტ გამოცემა პუბლიკა, „შუა დერეფანი | საქართველოს პერსპექტივა და გამოწვევები | რა უპირატესობები აქვს შუა დერეფანს საოკეანო გადაზიდვებთან“, <https://publika.ge/article/shua-derevani-saqartvelos-perspeqtiva-da-gamowvevbi/> [გამოქვეყნების თარიღი: 20 მარტი 2023].

11 ინტერნეტ გამოცემა პუბლიკა, „შუა დერეფანი | საქართველოს პერსპექტივა და გამოწვევები | რა ონდა შეცვალს საქართველომ“, <https://publika.ge/article/shua-derevani-saqartvelos-perspeqtiva-da-gamowvevbi/> [გამოქვეყნების თარიღი: 20 მარტი 2023].



სურ. 3. შუა დერეფანი.¹²

არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სხვა მარშრუტებთან რეალური კონკურენციისთვის, შუა დერეფანზე არსებული პოტენციალის გამოყენება და დიდი მალისხმევა არის საჭირო. შუა დერეფანის პოტენციალი არ არის დამოკიდებული მხოლოდ ჩინეთიდან ევროპისაკენ, ან პირიქით დასავლეთიდან ჩინეთისაკენ მიმავალი ტვირთების გადაზიდვაზე. მას ასევე დიდი პოტენციალი აქვს დააკავშიროს ერთმანეთს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები. ამიტომ, თუ პრობლემები დროულად მოგვარდა, რეგიონისთვის შუა დერეფანი გეოპოლიტიკური ცვლილებების შემთხვევაშიც დარჩება მნიშვნელოვან მიმართულებად.¹³

საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია შავი ზღვის ქვეშე ელექტროგადამცემი კაბელის გაყვანის ინიციატივა. მსოფლიოში ელექტროენერჯის ყველაზე გრძელმა გადამცემმა ხაზმა აზია და ევროპა ერთმანეთს უნდა დააკავშიროს. აზერბაიჯანიდან წამოსული „მწვანე ენერჯია“ საქართველოს, შავი ზღვის და რუმინეთის გავლით უნგრეთში გაიყიდება. საუბარია დაახლოებით 1500 მეგავატი სიმძლავრის ხაზზე, რომელიც საქართველოსა და რუმინეთის ენერჯის სისტემას ერთმანეთთან დააკავშირებს. ასევე, ის ხელს შეუწყობს ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ურთიერთობას. საქართველოს პირდაპირი ფიზიკური ენერჯეტიკული საზღვარი ექნება ევროკავშირთან, რაც კიდევ უფრო გააძვირებს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს ევროგაერთიანებასთან.¹⁴

დასკვნა

ამრიგად, დღეს საუკეთესო დრო არის იმისათვის, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, შუა დერეფანის პოტენციალი მაქსიმალურად გამოიყენონ. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე გაზრდილ მოთხოვნას ვერც რკინიგზა და ვერც საჰაერო ინფრასტრუქტურა უძღვრავდება. პრობლემები, რომლებიც გამოიკვეთა, ძირითადად არასაკმარისი ინფრასტრუქტურა და სხვა დერეფანებთან შედარებით მაღალი ფასებია. სარკინიგზო გადაზიდვების ფასი საერთოდ მაღალია, მაგრამ ის არ იქნება პრობლემა, თუ ფასს მოჰყვება შესაბამისი ხარისხი.

პრობლემების გადასაჭრელად და იმისათვის, რომ შუა დერეფანი გახდეს კონკურენტუნარიანი და მასზე მოთხოვნები კიდევ უფრო გაიზარდოს, საჭიროა: გაუმჯობესდეს მომსახურების ხარისხი, დარეგულირდეს და შესაძლო მინიმუმამდე დაიწიოს ფასებმა. დაიხვეწოს საწარმოო პროცესები, აშენდეს ახალი ღრმაწყლოვანი პორტი, დაღრმავდეს არსებული პორტები და გაიმართოს ტექნიკურად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოების დონეზე არსებობდეს ერთიანი დერეფანის შექმნის სურვილი, რადგან აღნიშნული გადაზიდვების პროცესი ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე სისტემად ჩამოყალიბდეს, რაც მყისიერად მოაგვარებს იურდიულ და ტექნიკურ საკითხებს და არ მოხდება ტვირთების დაყოვნება პორტებში თუ ტერმინალებზე.

საქართველოს სახელმწიფოსათვის შუა დერეფანის როლი სამხედრო თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. შუა დერეფანის გამოწვევებთან გამკლავება და მისი სიკეთეების სწორად გამოყენება მოგვცემს ახალ შესაძლებლობებს. გაიზრდება შავი ზღვის როლიც, როგორც ამ დერეფანის დასავლეთთან დამაკავშირებელი კარიკის, რაც გააჩენს შესაძლებლობას გაძლიერდეს საზღვაო სანაპირო ზოლის დაცვა შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მეტი ქვეყანა დაინტერესდება ჩვენი სტრატეგიული მდებარეობით და ჩვენის მხრივ თუ იქნება პარტნიორ ქვეყნებთან მაღალი დონის საკმინაობის

12 <https://publika.ge/app/uploads/2023/03/publika.ge-1-20-1536x853.jpg>

13 ინტერნეტ გამოცემა პუბლიკა, „შუა დერეფანი | საქართველოს პერსპექტივა და გამოწვევები | შუა დერეფანის პერსპექტივა და შესაძლო სარგებელი საქართველოსთვის“, <https://publika.ge/article/shua-derevani-saqartvelos-perspeqtivada-gamowvebi/> [გამოქვეყნების თარიღი: 20 მარტი 2023].

14 ინტერნეტ გამოცემა პუბლიკა, „შუა დერეფანი | საქართველოს პერსპექტივა და გამოწვევები | ენერჯოდერეფანი - ახალი მარშრუტი საქართველოს გავლით?“, <https://publika.ge/article/shua-derevani-saqartvelos-perspeqtivada-gamowvebi/> [გამოქვეყნების თარიღი: 20 მარტი 2023].

ურთიერთობები, ეს დამატებით შექმნის კიდევ უფრო მეტ შანს შუა დერეფანში განუწყვეტლივ იმოძრაონ ყველა სახის ენერგომატარებლებმა. დამატებით გაიზრდება შემოსავლები და ძლიერი ეკონომიკა ქვეყანაში მოგვცემს მეტ უსაფრთხო გარემოს. ქვეყნის სტაბილური და მშვიდობიანი განვითარება უზრუნველყოფს მეტი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც შეანელებს ქვეყნიდან მოსახლეობის გადინებას და ხელს შეუწყობს გენოფონდის ზრდას. გაზრდილი მოსახლეობის რაოდენობა ქვეყნისათვის ნიშნავს გაზრდილ თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალებს.

გამოყენებული ლიტერატურა

დობორჯგინიძე გ., „საქართველო, როგორც შუა დერეფნის საზღვაო კარიბჭე“, <https://forbes.ge/saqarthve-lo-rogoris-shua-de/> [გამოქვეყნების თარიღი: 11 თებერვალი 2019].

ჩოჩიევი ვ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1, თბ., 1975.

რადვანი ჟ., ბერუჩაშვილი ნ. „კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011.

გამყრელიძე თ., „ტრანსკავკასია“ თუ „სამხრეთკავკასია?“, გეოპოლიტიკური ნომენკლატურის დაზუსტებისათვის, თბ., 1998.

ინტერნეტ გამოცემა პუბლიკა, „შუა დერეფანი | საქართველოს პერსპექტივა და გამოწვევები“, <https://publika.ge/article/shua-derefani-saqartvelos-perspeqtiva-da-gamowvevebi/> [გამოქვეყნების თარიღი: 20 მარტი 2023].

Гвоздецкий Н.А. (1954). Физическая география Кавказа. Москва: МГУ.

აზერბაიჯანისა და სომხეთის შორის კონფლიქტის გეოპოლიტიკური მიზეზები და თვისებურებები

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი

აბსტრაქტი

მთიანი ყარაბაღის არალიარებულმა რესპუბლიკამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. ამის შესახებ განკარგულებას ხელი მოაწერა დე ფაქტო სუბიექტის პრეზიდენტმა სამველ შაჰრამანიანმა. „გადაწყდა 2024 წლის 1 იანვრამდე მათ დაქვემდებარებაში მყოფი ყველა სახელმწიფო უწყებისა და ორგანიზაციის დაშლა“, – ნათქვამია დოკუმენტში. და მიუხედავად იმისა, რომ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა (მყრ) არის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა, რომლის დამოუკიდებლობა არ ცნო არცერთმა სახელმწიფომ, მათ შორის სომხეთმა, მისი თვითლიკვიდაცის შესახებ განკარგულების სტილი მტკიცებულად მოგვაგონებს ცნობილ ბელოვეჟის შეთანხმებას. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში დოკუმენტი არის არა მიზეზი, არამედ შედეგი რთული ეთნოპოლიტიკური და საერთაშორისო პროცესებისა. ერთ-ერთი არალიარებული რესპუბლიკის თვითდაშლას მწელად შეიძლება ეწოდოს მოვლენა, რომელიც რადიკალურად ცვლის საერთაშორისო დღის წესრიგს, მაგრამ სიტუაცია კავკასიის რეგიონში ჩვენს თვალწინ სერიოზულ ცვლილებებს განიცდის და მისი შედეგები, რა თქმა უნდა, გასცდება ხანგრძლივი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის ჩარჩოებს.

საკვანძო სიტყვები:

საქართველო, სომხეთი, საერთაშორისო პროცესები, სამხრეთ კავკასია, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები.

Geopolitical Reasons and Features of the Conflict Between Azerbaijan and Armenia

Colonel Zurab Zerekidze

LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Head of Baccalaureate

Abstract

The unrecognized Nagorno-Karabakh Republic announced self-liquidation. The decree on this was signed by the president of this de facto entity, Samvel Shahramanian. "It was decided to dissolve all state agencies and organizations under their authority by January 1, 2024"-is stated in the document. Although the Nagorno-Karabakh Republic (BKR) is a self-proclaimed republic whose independence has not been recognized by any states, including Armenia, the style of its self-liquidation decree is painfully reminiscent of the famous Belovezha Agreement. Both in the first and second cases, the document is not the cause, but the result of complex ethno-political and international processes. The self-dissolution of one of the unrecognized republics can hardly be called an event that radically changes the international agenda. The situation in the Caucasus region is undergoing serious changes and we are facing this process. Their consequences will certainly go beyond the framework of a long ethno-political conflict.

Keywords:

Georgia, Armenia, international processes, South Caucasus, ethno-political conflicts.

შესავალი

კონფლიქტის გენეზისი

კავკასიაში რეგიონული სტატუს-კვოს ნგრევა დაკავშირებულია 2023 წლის სექტემბრის ესკა-ლაციასთან. ყარაბაღის მესამე და უმოკლესი (ორი არასრული დღე) ომის დროს აზერბაიჯანმა მიაღწია სტრატეგიულ მიზანს, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დაისახა - მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. თუმცა, ამ მოვლენის აშკარა მნიშვნელობის აღიარებით, არ შეიძლება სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის ამჟამინდელი მდგომარეობისა და სამომავლო შედეგების ანალიზი ბაქოს წარმატებულ ბლიცკრიგამდე დავიყვანოთ.

ძირითადი ნაწილი

ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა, „École des Annales” სკოლის გამოჩენილმა წარმომადგენელმა, ვერნანდ ბროდელმა მკვლევარებს შესთავაზა დროის სამი კატეგორია: „ხანგრძლივობის დრო“ (ერთი საუკუნე ან მეტი), „ციკლური (კონიუნქტურული) დრო“ (დიაპაზონი 50 წლამდე) და „მოვლენების დრო“ (აქცენტი დღევანდელ პრობლემებზე).¹ სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის დინამიკის ყოვლისმომცველი სურათის მისაღებად და რაც მთავარია, მისი მოგვარების პერსპექტივების გასაგებად, საჭიროა მივმართოთ არა მხოლოდ „ცხელ“ ფაქტებს, რომლებიც აქტუალურია „აქ და ახლა“, არამედ მინიმუმ გასული საუკუნენახევრის ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც, სხვათა შორის, განსაზღვრავს დღევანდელი დღის წესრიგს. ავიღოთ, მაგალითად, „დასავლეთ ზანგეზურის“ თემა. ჯერ კიდევ 2021 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა აღნიშნა: „დასავლეთ ზანგეზური ამჟამად სომხების კონტროლის ქვეშაა. მაგრამ ზანგეზურის დერეფნის ამოქმედებას ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენი მოქალაქეების წინაპართა მიწაზე დასაბრუნებლად“. 2023 წლის 25 სექტემბერს ნახიჩევანში, მისი თურქი მოკავშირის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის მიღებისას, ალიევმა განაცხადა, რომ ეს ტერიტორია იყო „აზერბაიჯანის უძველესი მიწა“, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოგლეჯილი იყო ქვეყნის ძირითადი ნაწილისგან, ხოლო ეხლა საჭიროა დარღვეული სამართლიანობის აღდგენა.

- აროშიძე პ. ჩინეთის ახალი გეოსტრატეგია და საქართველოს პერსპექტივები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი — 2018, გვ. 37. <http://eprints.tsu.ge>, უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Cornell S., Starr F., Tsereteli M. A Western Strategy for the South Caucasus. Central Asia Caucasus Institute Silk Road Studies Program. 2015, p.13. [ob. https://www.silkroadstudies.org](https://www.silkroadstudies.org), უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Russia and the South Caucasus | 14 | The South Caucasus - Security, En. <https://www.taylorfrancis.com/chapters/edit/10.4324/9781315717821-14/russia-south-caucasus-peter-duncan>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Russia and the South Caucasus: A Situation the U.S. Cannot Ignore. <https://www.heritage.org/europe/report/russia-and-the-south-caucasus-situation-the-us-cannot-ignore>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Russia in the South Caucasus: Between Omnipotence and Fragility. <https://caucasuswatch.de/en/insights/russia-in-the-south-caucasus-between-omnipotence-and-fragility.html>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- The Future Role of Turkey in the South Caucasus – Context of Ceasefire <https://www.newgeopolitics.org/2021/03/03/the-future-role-of-turkey-in-the-south-caucasus-context-of-ceasefire-in-nagorno-karabakh/>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Türkiye 's Relations with Southern Caucasus Countries. <https://bing.com/search?q=Turkey%27s+interests+in+the+South+Caucasus>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Turkey's Stance towards the Main Developments in the South Caucasus <https://www.insightturkey.com/articles/turkeys-stance-towards-the-main-developments-in-the-south-caucasus>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Türkiye 's Relations with Southern Caucasus Countries. https://www.mfa.gov.tr/turkiye_s-relations-with-southern-caucasus.en.mfa. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Turkey and Russia have different interests in the South Caucasus: Op-ed <https://www.hurriyetdailynews.com/turkey-and-russia-have-different-interests-in-the-south-caucasus-op-ed-165608>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Iran in the South Caucasus: Adjustment and Evolution. <https://rusi.org/explore-our-research/publications/commentary/iran-south-caucasus-adjustment-and-evolution>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- China's Ambitions in Eastern Europe and the South Caucasus. <https://www.ifri.org/en/publications/notes-de-lifri/russieneivisions/chinas-ambitions-eastern-europe-and-south-caucasus>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Sarker, M.N.I., Hossin, M.A., Yin, X. and Sarkar, M.K. One Belt One Road initiative of China: Implication for future of global development. *Modern Economy*. 2018, 9(4), pp.623-624. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Assessment of China's Strategy in South Caucasus. <https://bing.com/search?q=China%27s+interests+in+the+South+Caucasus>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- The Future of US Strategic Interests in the South Caucasus: Challenges <https://www.fpri.org/event/2021/the-future-of-us-strategic-interests-in-the-south-caucasus/>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- The South Caucasus and the limits of Western power. <https://www.brookings.edu/articles/the-south-caucasus-and-the-limits-of-western-power/>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Four New Reasons Why the U.S. Must Stay Engaged in the South Caucasus. <https://www.heritage.org/europe/report/four-new-reasons-why-the-us-must-stay-engaged-the-south-caucasus> უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- The South Caucasus and the limits of Western power | Brookings. <https://www.brookings.edu/articles/the-south-caucasus-and-the-limits-of-western-power/>. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- The European Union Policy in the South Caucasus - SSRN. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=4192555. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.
- Why we need more EU engagement in the South Caucasus | EEAS. https://www.eeas.europa.eu/eeas/why-we-need-more-eu-engagement-south-caucasus_en. უკანასკნელად გადამოწმდა — 20.10.2021.

პრაგმატიზმსა და რეალპოლიტიკას შორის: აშშ-სა და თურქეთის ინტერესები და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში

თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი ბესიკ ჯაჯანიძე
კავკასიის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლის საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ისტორიულად კავკასია მულტიკულტურული და რთული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მსოფლიო ცივილიზაციების შეხვედრისა და დაპირისპირების ადგილს წარმოადგენს. კავკასიის, როგორც ერთი, მთლიანი სუბიექტის პრიზმაში განხილვისას, ცხადი ხდება, რომ ეროვნული კულტურების გენოტიპურმა ფენომენმა, რომელიც ერთი და იმავე ბუნების, კლიმატისა და ისტორიის გარემოცვაში ჩამოყალიბდა, მიუხედავად ენობრივი და რწმენის სხვადასხვაობისა, საუკუნეების მანძილზე მის ხალხებს ჩამოუყალიბა თითქმის მსგავსი ზნეობრივი ღირებულებები, საზოგადოებრივი და ოჯახური ტრადიციებით, ფსიქო-ფიზიოლოგიური ტემპერამენტით და ორგანული ცხოვრების წესით. სწორედ ამ მულტიკულტურამ შექმნა ფენომენი **კავკასია** და **კავკასიელობა**, რომელიც მხოლოდ გეოგრაფიულ ტერმინს არ წარმოადგენს, არამედ ეს არის კონკრეტული გეოსტრატეგიული რეგიონის სამხედრო-პოლიტიკური აღქმა, რომელიც მუდმივ წინააღმდეგობაში იმყოფება სხვადასხვა დოგმატურ კულტურულ მიმდინარეობებთან, რაც უდიდესი გამოწვევაა რეგიონისთვის.

კავკასია და განსაკუთრებით სამხრეთ კავკასია, რომელიც ევრაზიის მთავარ ენერგეტიკულ გზაჯვარედინზე მდებარეობს, როგორც მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული რეგიონი, საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა გლობალური შეჯიბრობითობის ფართო არეალს. რეგიონზე კონტროლის პრეტენზიის მქონე დიდი მოთამაშეები მუდმივად ცდილობდნენ გამოეყენებინათ არსებული, ადგილობრივი რესურსები და პარალელურად დაემკვიდრებინათ საკუთარი დოგმატური ცხოვრების კანონები. მაგალითისთვის, ბიზანტიისა და რუსეთის იმპერიები საკუთარ ინტერესებს ატარებდნენ ქრისტიანული დოგმების საფარქვეშ, ხოლო სპარსეთი და ოსმალეთი მუსლიმური დოგმატებით. დიდი სახელმწიფოების: სპარსეთის, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების სამართალმემკვიდრეები კვლავ აგრძელებენ რეგიონში გავლენების მოპოვებას ახალ მოთამაშეებთან - აშშ, ნატო, ევროკავშირთან და ჩინეთთან მუდმივი პოლიტიკური კონფრონტაციის რეჟიმში.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ამიერკავკასიის, როგორც ერთიანი გეოპოლიტიკური მულტიკულტურული სუბიექტის წინაშე არსებული გამოწვევები, რომლებიც საერთო პოლიტიკურ დინამიკაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ როგორც მთლიან რეგიონზე, ასევე მის შემადგენელ ინდივიდებზე - ქვეყნებზე, ერებზე, ხალხებზე.

ნაშრომის **ამოცანას** წარმოადგენს მოახდინოს არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება რეგიონული სტაბილურობის კონტექსტში, როგორც კონცეპტუალურად ასევე პრაქტიკული ქეისების დახმარებით.

ბოლო ნაშრომის **მთავარი ამოცანაა** დაადგინოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის ინტერესები რეგიონში, მათი სტრატეგიული თანამშრომლობის დადებითი შედეგები და ბოლოდროინდელი დაპირისპირების უარყოფითი გავლენები როგორც რეგიონულ, ასევე მთლიანად გლობალურ უსაფრთხოებაზე.

ნაშრომის **მეთოდოლოგიურ ჩარჩოდ** გამოყენებულია ოთხი ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომა:

ა) კონკრეტული შემთხვევის შესწავლის მეთოდი (Case-Study), შესწავლილი იქნა როგორც წარმატებული პროექტები, ასევე წარუმატებელი, უთანხმოების შედეგები ; ბ) კონტენტ-ანალიზი, რომელიც გვიქმნის წარმოდგენას რა ადგილი უჭირავს კონკრეტული სახელმწიფო ლიდერის გადაწყვეტილებას და როგორია საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა. განიხილება ძირითადი და მნიშვნელოვანი დოკუმენტები: მემუარები, ნაშრომები, ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტები; გ) დისკურს - ანალიზი, რომლითაც განხორციელდა გადაწყვეტილების მიმღებების საგაზეთო ინტერვიუების და საჯარო გამოსვლების გამოფრვა, დ) პროცესებზე მიდევნების მეთოდოლოგია.

კვლევამ აჩვენა, რომ ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში ძირითად რეგიონულ გამოწვევებს წარმოადგენდა არასტაბილური პოლიტიკური გარემო, სუსტი სახელმწიფო ინსტიტუციები, საერთო ეკონომიკური გაჭირვება (რაც ხელს უწყობს სოციალურ უთანასწორობასა და პოლიტიკურ არასტაბილურობას), ტერორისტული და ექსტრემისტული იდეოლოგიების გააქტიურების მუდმივი საშიშროება, საზღვრისპირა კონფლიქტების პროვოცირების საფრთხეები (დავები ტერიტორიების ან რესურსების გამო), კლიმატის ცვლილებები და გარემოსდაცვითი გამოწვევები, ფართომამუშაბიანი მიგრაციები და ლტოლვილთა დიდი ნაკადები, არასახელმწიფო აქტორების მიერ ჩვეულებრივი და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საშიშროება, კიბერსაფრთხეების მზარდი გამოწვევები, და ყველაზე მთავარ გამოწვევას, განსაკუთრებით ბოლო დეკადაში **ახალი ძალთა ბალანსის** შექმნის მცდელობა წარმოადგენს, რომელიც თავდაყირა დააყენებს რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკურ - ეკონომიკურ სტაბილურობას.

ზემოაღნიშნული გამოწვევები არამარტო ხელს უშლის კავკასიურ მულტიკულტურულ ერთიანობასა და განვითარებას, არამედ მნიშვნელოვნად აფერხებს მას. ზოგადად, თუ სამყაროში რომელიმე კულტურული თუ პოლიტიკური პროცესი არ განიცდის პროგრესს, მაშინ ის განიცდის დეგრადაციას და დაცემას.

რეგიონულ სტაბილურობისა და უსაფრთხოების გამოწვევებს კიდევ უფრო ამძაფრებს რუსეთისა და ირანის ფაქტორი, პრაქტიკულად გეოპოლიტიკური მეტოქეობა მიმდინარეობს ოთხი ბუმბერაზი მსოფლიო მოთამაშის თანამშრომლობისა და დაპირისპირების ფონზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი ფაქტორი სხვა დანარჩენ ფაქტორებს შორის, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებს რეგიონული სტაბილურობის კონტექსტზე, არის ახალი

ძალთა ბალანსის შექმნის მცდელობა, ღია კონკურენცია ძირითად გლობალურ ძალებს შორის რეგიონში გავლენისთვის, რაც პირდაპირ ზემოქმედებს მისი სტაბილურობის გამოწვევებზე. გეოპოლიტიკურ მეტოქეებს შორის სტრატეგიული კონკურენცია, რომელიც, პირველ რიგში, გამომდინარეობს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებიდან, აისახება რეგიონული სტაბილურობის დინამიკაზე.

საკვანძო სიტყვები:

გეოპოლიტიკა, გენოტიპური მრავალფეროვნება, პოლიტიკური არასტაბილურობა, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უსაფრთხოება.

Between Pragmatism and Realpolitik: The US and Turkey Interests and Policies in the South Caucasus

Retired Lieutenant Colonel Besik Jajanidze

Caucasus University School of Public Administration,
Doctoral Student at the Faculty of International Relations

Abstract

Historically Caucasus is a ground for meeting and clash between world civilizations due to its multicultural and complicated geopolitical context. Discussing Caucasus as a single subject it becomes obvious that genotypical phenomenon of national cultures that were created in the context of the same nature, climate and history, regardless diversity in terms of language and faith, throughout centuries has been based on more or less similar moral social values and family traditions, psycho-physiological temperament and organic lifestyle. Exactly this multiculturality creates phenomena – **Caucasus** and **Caucasianness**, that is not only geographic term, but also military-political perception of geostrategic region, that is constantly opposing various other different dogmatic cultural patterns, that is a challenge for the region.

Caucasus and first and foremost, South Caucasus, that is located on the main energy crossroad of Eurasia, as an important geostrategic region throughout the centuries has been a ground for global competition. The actors with the ambition of controlling the region were constantly trying at the same time use local dogmatic lifestyle and also promote their own way of it. For instance, Byzantine and Russian Empires were trying to promote their dogmas under the cover of Christianity. Persian and Ottoman Empires were doing the same with the Muslim dogmas. Those, that are heirs of above-mentioned actors nowadays compete over the influences in the constant political confrontation with new actors that recently entered the region, such as the US, NATO, the EU and China.

The paper discusses the challenges that Caucasus, as single geopolitical multicultural subject faces nowadays. The challenges, that significantly impact the whole region and its individual elements, such as countries, nations and peoples in the process of common political dynamics.

The **Objective** of the paper is to identify those challenges in the context of regional stability, both conceptually and also with the help of practical case studies.

The **main objective** of the paper is to point out the main interests of the United States and Turkey that they have in relation with the region. The paper will elaborate on the positive outcomes of their cooperation and the negative influences of recent confrontation between those two countries, that has impact both on regional and global security.

As a **methodological frame** of the paper there are used four methodological approaches: a) Case Study approach – there were studied both projects that successfully finished and also those that didn't succeed, also the outcomes of disagreements. b) Content-analysis – creates overall understanding of the significance of the decisions made by state-leaders, also elaborates on the essence of international political system. There is analyzed the documents such as memoirs, papers, official state documents. c) Discourse-analysis, that works with the interviews made with decision-makers and the public speeches of them. d) Process Tracing Method.

The paper demonstrates, that among the regional challenges one of the key factors are geopolitical instability, weak institutions, unequal distribution of economic resources, that also leads to social inequality and political instability, threats linked to strengthening of terrorism and extremist ideologies, border conflicts, disputes over territories and resources, climate change and environmental issues, large-scale migration and big waves of refugees, growing challenges related to cyber-security, competition between key global powers over the domination in the region.

Those challenges not only create obstacles for multicultural unity and development of Caucasus, but also significantly decreases the pace of it. In general, in case some cultural or political processes lacks development, it usually degrades or collapses.

Regional stability and security gets even more challenged due to the factors of Russia and Iran. Practically there is a geopolitical clash in the context of competition and cooperation between 4 great powers.

The research leads to finding that one of the key factors among others that directly impact regional stability context is the attempt of creating new balance of power. This refers to explicit global power competition for the influence over the region, that directly impacts the challenges of stability. The strategic competition between geopolitical rivals that, first and foremost, derives from security challenges, significantly influences stability dynamics of the region.

Keywords:

Geopolitics, genotypical diversity, political instability, regional context, national security.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასია ქაოსმა და ეთნოკონფლიქტებმა მოიცვა. პრობლემები წარმოიშვა როგორც ჩრდილო კავკასიაში, რომელიც რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილია, ასევე სამხრეთ კავკასიაშიც. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღიდან ამიერკავკასიის ქვეყნები დადგნენ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. კერძოდ, შეიარაღებული სამხედრო გადატრიალება განხორციელდა სამივე ქვეყანაში, რასაც მოჰყვა ეთნოკონფლიქტები და ძმთამკვლელი ომები.

მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად არ მიმდინარეობს აქტიური საბრძოლო მოქმედებები, არსებული დაპირისპირება ძირითადად გაყინული კონფლიქტების ხასიათს ატარებს, სახეზე გვაქვს არასტაბილური პოლიტიკური გარემო, კლასიკური სტაბილურობის გამოწვევების მახასიათებლებით, რაც გლობალური გამოწვევების შემადგენელი ნაწილია.

დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე სამთავრობო კორუფცია, რომელიც სახელმწიფო მმართველობის ჩვეულებრივ ფორმას წარმოადგენდა, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტეები, იწვევდა მთავრობათა მუდმივ ცვალებადობას. საბოლოოდ, არასტაბილურმა პოლიტიკურმა გარემომ და ეკონომიკურმა არამდგრადობამ შექმნა ეთნოკონფლიქტების მყარი საფუძვლები.

საერთაშორისო სისტემის ცვლილება, ახალი ძალთა ბალანსის შექმნის პროცესები, სამხედრო-პოლიტიკური კონკურენცია მთავარ მოთამაშეებს შორის რეგიონში გავლენისათვის კიდევ უფრო მეტად კვებავს არსებულ არასტაბილურ ვითარებას ამიერკავკასიაში. გლობალური მოთამაშეების პირდაპირი და არაპირდაპირი ჩარევა აისახება რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. სომხეთ-აზერბაიჯანის და რუსეთ-საქართველოს ომებში მხარდამჭერებად, თუ პირდაპირ/არაპირდაპირ მხარეებად გამოდიან თურქეთი, აშშ, რუსეთი.

საკვლევ კითხვას პასუხი გაეცა ორ ჰიპოთეზაში.

საკვლევი კითხვა: რა გავლენას ახდენს ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის რესპუბლიკის სტრატეგიული ინტერესები ამიერკავკასიის ქვეყნების უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ გამოწვევებზე.

ჰიპოთეზა:

ა) აშშ-თურქეთის სტრატეგიული თანამშრომლობა უზრუნველყოფს რეგიონის პოლიტიკური ინსტიტუციების განვითარებას, ეკონომიკური საკითხების დარეგულირებას, ეთნოკონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაჭრას;

ბ) აშშ-თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობის გაუარესება და კრიზისის გამოიწვევს ახალ ძალთა ბალანსის შექმნას და რეგიონულ არასტაბილურობას.

თეორიული ჩარჩო: საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინაში სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის შესახებ არაერთი თეორია არსებობს, რომელიც განსხვავებული კუთხით აანალიზებს საერთაშორისო პოლიტიკის ისეთ ცენტრალურ ფენომენს, როგორცაა საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესი.

კონცეპტუალურად და შემდგომში პრაქტიკული ქეისების ასახსნელად გამოყენებულია ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია. საერთაშორისო ურთიერთობებში რეალიზმი და კონკრეტულად ნეოკლასიკური რეალიზმი ახდენს ქვეყნების საგარეო პოლიტიკის შესწავლას ქვეყნის შიდა ფაქტორებისა და საერთაშორისო სისტემის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის ურთიერთქმედებების საფუძველზე.

ნეოკლასიკური რეალიზმი, რომელიც ეფუძნება კლასიკური რეალიზმის სტრუქტურულ შეხედულებებს, საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში ყურადღებას ამახვილებს ისეთი დონის ცვლადების მნიშვნელობაზე, როგორც არის: შიდა პოლიტიკური სისტემა, საზოგადოების აზრი და ინტერესები, ბიუროკრატიული პოლიტიკა. იგი აერთიანებს შიდა ფაქტორებს საგარეო პოლიტიკური ქცევის ასახსნელად. ნეოკლასიკური რეალიზმის შეხედულებებით, სისტემური ფაქტორები, როგორცაა ძალაუფლების განაწილება და საერთაშორისო შეზღუდვები, განსაზღვრავენ სახელმწიფოს სტრატეგიულ გარემოს, ხოლო სისტემური ფაქტორების აღქმასა და ინტერპრეტაციაზე გავლენას ახდენს შიდა პოლიტიკური დინამიკა.

აქტუალობა და მნიშვნელობა: თურქეთ-რუსეთის მცდელობა შექმნან ანტიამერიკული ალიანსი სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს როგორც რეგიონულ უსაფრთხოებას, ასევე მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგს. მომავლის პერსპექტივაში შესაძლებელია ალიანსის ყოფნა-არყოფნის საკითხიც კი დადგეს.

საკითხი საკმაოდ რელევანტურია ამიერკავკასიისთვის, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის, ვინაიდან ორივე ქვეყანა არის ეკონომიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის მთავარი გარანტი, გასაღები ევროსტრუქტურებსა და ნატო-ში.

აშშ-ს საგარეო პოლიტიკის, შავი ზღვის რეგიონული ფაქტორის გათვალისწინებით, ვფიქრობთ საკამათო არ არის ამერიკის შეერთებული შტატების უცვლელი როლი მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების კონტექსტში.

თურქეთი, მისი ლიმიტირებული შესაძლებლობების ფარგლებში, უდავოდ წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცენტრს, რომელიც გარკვეულწილად სტაბილიზებას და კონტროლს უწევს შავი ზღვის რეგიონს, იგი ჯერ კიდევ მოიაზრება ნატოს სამხრეთ ნავსაყუდელად, აკონტროლებს ხმელთაშუა ზღვაში გასასვლელს და შეიძლება ითქვას ახლანდელს რუსეთს კავკასიაში.

სწორედ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სულაც არ არის უმნიშვნელო და მეორე ხარისხოვანი ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები ჩვენთვის, პირიქით, პირდაპირ კავშირშია ჩვენს უსაფრთხოებასთან და ეკონომიკურ სტაბილურობასთან. ასე რომ აშშ-თურქეთის დაბალანსებული და კეთილგანწყობილი თანამშრომლობა რეგიონული მასშტაბით, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ძირითადი ნაწილი ისტორიული კონტექსტი

აშშ - ოსმალეთის იმპერიის ურთიერთობები მე-18 საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს. სავაჭრო, საქველმოქმედო და საგანმანათლებლო ურთიერთობები სწრაფად განვითარდა მე-19 საუკუნეში და პრობლემების გარეშე თითქმის ერთი საუკუნე გაგრძელდა.

მეფის რუსეთთან წაგებული ომის შემდეგ, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ 1884-1886 წლებში, სომხურ რევოლუციურ მოძრაობას მკაცრი რეპრესიებით უპასუხა, დაიწყო პირველი პოლიტიკური კრიზისი ოსმალეთის იმპერიასა და შეერთებულ შტატებს შორის. რეპრესიებმა გამოიწვია ამერიკული საზოგადოების და პოლიტიკური წრეების აღშფოთება, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მთავრობას მოუწოდებდნენ მოეხდინათ ამერიკული სამხედრო ძალების დემონსტრირება ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში ამერიკული სამხედრო ფლოტის გაგზავნით. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია პირდაპირ არ ჩარეულა კონფლიქტში, საკანონმდებლო დონეზე თვალყურს ადევნებდა მოვლენებს, მიღებულ იქნა ორი რეზოლუცია (1884, 1885), რის გამოც ოსმალეთის იმპერია იძულებული გახდა კომპენსაცია გადაეხადა სომხებისთვის.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის იმპერია ომის დასაწყისშივე ჩაერთო საბრძოლო ოპერაციებში გერმანიის მხარეზე, აშშ-მ საწყის ეტაპზე შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი და შემოიფარგლა მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ოსმალეთის იმპერიაში, რაც კვლავინდებურად საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობით იყო წარმოდგენილი. ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების გამწვავება უკვე მეორედ გამოიწვია ოსმალეთის იმპერიის მიერ ცნობილი „კაპიტულაციის აქტი“-ის გაუქმებამ და სომხური მოსახლეობის გადასახლება, რაც საომარი ოპერაციების თანმდევ პროცესს წარმოადგენდა. თანმდევი პროცესი იყო მასიური სიკვდილიანობა სომხურ მოსახლეობაში. ერთის მხრივ, გამწვავდა აშშ-ოსმალეთის იმპერიის დიპლომატიური ურთიერთობები, მეორეს მხრივ კი ორივე მხარე თავს იკავებდა ერთმანეთის მიმართ ომის გამოცხადებისაკენ, რაც მოვლენების ლოგიკური გაგრძელება უნდა ყოფილიყო. მიხედავად იმისა, რომ „კაპიტულაციის აქტის“ გაუქმება თავისთავად გულისხმობდა 1830 წელს ამ ორ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულებების დებულებების დარღვევას, ურთიერთობის გამწვავების მთავარ მიზეზად სომხების საკითხი შეიძლება მივიჩნიოთ მომდევნო წლებში განვითარებულ მოვლენებზე და პროცესებზე დაკვირვებით. სომეხთა დეპორტაციისა და ადამიანური მსხვერპლის შესახებ ცნობებმა შეერთებულ შტატებში უკვე მეორედ, ანტითურქული მოძრაობა გააღვიძა. სახელმწიფო დეპარტამენტმა მაშინვე გააპროტესტა ოსმალეთის მთავრობის ქმედებები და პარალელურად სთხოვა გერმანიასაც გაეპროტესტებინა სომხების მიმართ ჩადენილი ქმედებები. 1915 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში შეიქმნა სომხური დახმარების კომიტეტი, რომელიც გაერთიანდა სპარსეთის ომის დახმარების ფონდთან და სირია-პალესტინის კომიტეტთან. დაიწყო მასიური გამოსვლები ნიუ-იორკში, ფილადელფიასა და დეტროიტში, რასაც მოჰყვა ფულადი სახსრების მოზიდვა „ტანჯული“ სომეხი თემისთვის. არაერთმა გაზეთმა გამოუწვავს უფლა ადგილები ამ საკითხთან დაკავშირებულ სტატიებს. თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში, არა მარტო პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, არამედ ზოგადად, სომხური საკითხი გარკვეულწილად მოუგვარებელ პრობლემად იქცა.¹

პირველი ამერიკულ-თურქული ურთიერთობების შესახებ ამიერკავკასიაში ცნობებს გვაწვდის გენერალი ჯეიმს გურთი ჰარბორდის პატაკი, რომელიც წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის მოხსენების შემადგენელ ნაწილს. 1919 წელს, პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა გენერალი ჯეიმს გურთი ჰარბორდი დანიშნა სომხეთში ამერიკული მისიის ხელმძღვანელად, რომელიც მანამდე განიხილებოდა ამიერკავკასიაში მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის პოსტზე. გენერალ ჰარბორდის მოსაზრებით კავკასიაზე მანდატი, კონსტანტინოპოლთან და ანატოლიასთან ერთად, ერთ სახელმწიფოს უნდა აეღო, სხვაგვარად რეგიონის მართვა შეუძლებელი გახდებოდა.²

აღნიშნული საკითხის ავტორიტეტული მკვლევარი, თურქეთის რესპუბლიკის ყოფილი გენერალური შტაბის უფროსი და თავდაცვის მინისტრი პროფესორი ჰულუს აქარი ამტკიცებს, რომ „ჰარბორდის მისია მხოლოდ სომხების დაცვისთვის არ იყო განკუთვნილი, არამედ მისი ამოცანა სამომავლოდ მთლიანად თურქეთის გაკონტროლებაც იყო“.³

საინტერესოა ის ფაქტი, რომ როდესაც პრეზიდენტმა ბაიდენმა თეთრი სახლი ჩაიბარა, ანკარასა და ვაშინგტონში გაჩნდა იმედები ბოლოდროინდელი გამწვავებული ურთიერთობების დარეგულირების.

1 Ş. Yılmaz, Turkish-American Relations, 1800–1952: Between the Stars, Stripes and the Crescent. First published by Routledge, 2015, Pp 30-31.

2 G. James, J.G. Harbord, Conditions in the near East: Report of the American Military Mission To Armenia. 1920.

3 Dr. AKAR H., Harbord Askeri Heyeti Raporu 2019, 97.

ვითარება მკვეთრად გაუარესდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა 2021 წლის 24 აპრილს, 1915 წელს სომხური მოსახლეობის მასობრივი მკვლელობა და გადასახლება გენოციდად აღიარა, შეადარა ფაშისტური გერმანიის მიერ განხორციელებულ მოქმედებებს ევროპაში, „ჩვენ ვადასტურებთ ისტორიას, არა იმიტომ, რომ ვინმე დავადანაშაულოთ, არამედ იმისთვის, რომ რაც მოხდა არასოდეს განმეორდეს“.⁴

2021 წლის 22 სექტემბერს თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ნიუ-ორკში თურქულ სახლში გამოსვლისას აცხადებს, რომ „მან კარგად იმუშავა ჯორჯ ბუშთან, ბარაკ ობამასთან, დონალდ ტრამპთან, მაგრამ ვერ იტყოდა, რომ კარგად დაიწყო თანამშრომლობა ბატონ ჯო ბაიდენტან. იგი ამბობს, რომ ნატო-ს ორი მოკავშირე ქვეყანა მეგობრულად უნდა მოვექცეთ ერთმანეთს და არა მტრულად. მაგრამ, ამ ეტაპზე ნატო-ს ორი ქვეყნის ურთიერთობა არ არის ჯანსაღი (hurriyet.com.tr). მის ამ გამოსვლაში ერდოღანმა ბაიდენის ადმინისტრაცია დაადანაშაულა როგორც სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოშლაში, ასევე ბრალი დასდო ტერორისტულ ორგანიზაციებზე იარაღის და საბრძოლო მასალის გადაცემაში“.⁵

მიმდინარე და მოსალოდნელი გამოწვევები

საბჭოთა სისტემის ჩამოშლის შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნები დადგნენ თითქმის იდენტური გამოწვევების წინაშე: არასტაბილური პოლიტიკური ვითარება, ეთნიკური და რელიგიური სახის კონფლიქტები, ეკონომიკური ხასიათის პრობლემები, ტერორიზმის და ექსტრემიზმის მუდმივი საფრთხეები, საზღვრისპირა კონფლიქტების პროვოცირების საშიშროება (დემარკაციის პრობლემები), კლიმატის ცვლებებიდან გამომდინარე ეკოლოგიური ხასიათის გამოწვევები, იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები, ახლო აღმოსავლეთიდან ფართომასშტაბიან მიგრაციასთან დაკავშირებული რისკები, კიბერ-საფრთხეები, ჩვეულებრივი და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საშიშროება, ახალი ძალთა ბალანსის სისტემის შექმნის მცდელობა.

ამერიკის შეერთებული შტატებმა და თურქეთის რესპუბლიკამ, როგორც სტრატეგიულმა პარტნიორებმა, ცივი ომის დასრულებისთანავე საკუთარი ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკური გამოწვევებიდან გამომდინარე, ურთიერთკოორდინაციით შეიმუშავეს ამიერკავკასიის ქვეყნების დახმარების სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური პაკეტი. ცივი ომის დასრულების შემდეგ თურქეთი რჩება დასავლურ ორბიტაზე, რაც გამოწვეულია რამოდენიმე ფაქტორით, კერძოდ, ეკონომიკური და უსაფრთხოების გამოწვევებით. აქვე უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ თურქეთი ინარჩუნებს თავის გეოსტრატეგიულ როლს დასავლეთთან მიმართებაში.⁶ თურქეთის დასავლურ ორბიტაზე დარჩენა, ახალი გლობალური და რეგიონული საფრთხეების რეალური შეფასება, საერთო დინამიკაში აადვილებს სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებებს როგორც საქართველოსთვის, ასევე აზერბაიჯანისთვის.

ზემოაღნიშნულის ფარგლებში მნიშვნელოვანი დახმარებები გაეწია როგორც საქართველოს, ასევე აზერბაიჯანს, ხოლო რუსული ფაქტორის გამო აშშ სომხეთის მიმართ ძირითადად პოლიტიკური მხარაჭერით შემოიფარგლა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როგორც მთავარმა დონორმა სახელმწიფომ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს როგორც ინსტიტუციური, ასევე ეკონომიკური და სამხედრო დახმარებების კუთხით. ჩამოყალიბდა ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, ბრძოლა გამოეცხადა სამთავრობო კორუფციას, ხოლო ეკონომიკური დახმარებების პაკეტმა უზრუნველყო მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გამოსწორება. აშშ-ს მხრიდან საქართველოსა და აზერბაიჯანის პრაქტიკული, ხოლო სომხეთის მიმართ იდეოლოგიური დახმარებების პოლიტიკამ ნაწილობრივ, რეგიონში შექმნა სტაბილური განვითარების წინაპირობები.

რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკას, ანალოგიურად, ცივი ომის დასრულების შემდეგ, მან პირველი დახმარების ხელი გამოუწოდა როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანს. თურქეთის დახმარებების პაკეტი ორივე ქვეყნისთვის წარმოადგენდა ყოვლისმომცველი დახმარებების უწყვეტ სერიას, დაწყებული ეკონომიკური მიმართულებებით, გაგრძელებული სამხედრო, პოლიტიკური ინსტიტუციების განვითარებით. თურქეთი მუდმივად, უწყევად უჭერდა მხარს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და ნატო-ში ინტეგრაციას. ათწლეულების განმავლობაში თურქეთის მხრიდან გაწეულმა პრაქტიკულმა დახმარებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოსა და აზერბაიჯანის თავდაცვითი პოტენციალების განვითარების პროცესში.

თურქეთის მხრიდან დახმარებების პაკეტმა სასაზღვრო ინფრასტრუქტურისა და მისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის საკითხში დახმარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საზღვრისპირა - ტრანსსასაზღვრო კონფლიქტების (რომელიც კომპლექსურ გეოპოლიტიკურ მოსაზრებებს მოიცავს) თავიდან აცილებას.

მნიშვნელოვანია აშშ-თურქეთის სამართალდამცავი ორგანოების დახმარება, ასევე სადაზვერვო სა-მსახურების თანამშრომლობა კიბერსაფრთხეების და სხვა სახის დანაშაულებების პრევენციისა და აკვეთის კუთხით.

4 What Biden's Recognition of Armenian Genocide Means to Armenian-Americans. 27.04.2021

5 Erdoğan, DAILY SABAH. ISTANBUL, 23.09.2021.

6 I. Afacan, Turkish-American Relations in the Post-Cold War Era . 2011.

უსაფრთხოებისა და ეკონომიკური გამოწვევების ნაწილობრივ დაძლევის მიუხედავად, რეგიონული სტაბილურობა უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. კერძოდ, ესენია ტერორიზმისა და ექსტრემიზმის ახალი საფრთხეები, ახლო აღმოსავლეთში წარმოებული საბრძოლო ოპერაციების შედეგად ფართო მიგრაციის რისკები, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ეკოლოგიური საფრთხეები.

მთავარ გამოწვევას საერთაშორისო სისტემის ცლილებები წარმოადგენს. კერძოდ, ახალი ძალთა ბალანსის შექმნის კარნახით, ერთ დროს სტრატეგიულ პარტნიორებს- აშშ-სა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ბოლო დეკადაში დაიწყო მნიშვნელოვანი, შეუქცევადი პოლიტიკური კრიზისი.

აშშ-ს და თურქეთს ამიერკავკასიაში გააჩნიათ საკუთარი პოლიტიკური ინტერესები, რომლებიც ბოლო დროს თანხვედრაში აღარ მოდის. თურქეთმა დაიწყო ამერიკული ძალის გამოწვევა რუსეთთან თანამშრომლობის კონტექსტში და ცდილობს ამერიკის განდევნას რეგიონიდან.

აშშ-სთან თანამშრომლობა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს თანამედროვეობაში, როდესაც შავი ზღვის რეგიონში ვითარება საგრძნობლად დამძიმდა რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ. აღნიშნულ კონფლიქტს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ამიერკავკასიაზე და ზრდის რისკებს ჩვენი უსაფრთხოების მიმართულებით.

აშშ-ს პოლიტიკური ინტერესები

ამერიკის მთავარ პოლიტიკურ ინტერესად სამხრეთ კავკასიაში კვლავაც რჩება **გლობალური ენერგეტიკული** გამოწვევა. რეგიონი წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანზიტო ზონას, რაც მნიშვნელოვანია ენერჯის წყაროების დივერსიფიკაციისათვის და რუსულ ენერგეტიკაზე დამოკიდებულების შესამცირებლად.⁷

ამერიკისთვის, როგორც დემოკრატიული სამყაროს მთავარი გარანტორისთვის, **დემოკრატიული ფასეულობები და ღირებულებები, ადამიანის უფლებები** ერთ-ერთ პრიორიტეტულ გამოწვევას და ინტერესების ზონას წარმოადგენს. შესაბამისად, აშშ აგრძელებს პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერას, გაყინული, რეგიონული **კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას**, რამაც ხელი უნდა შეუწყოს რეგიონის სტაბილურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ განვითარებას.⁸

აშშ-ს მთავარ ინტერესს წარმოადგენს **ტერორისტული საფრთხეების პრევენცია**, ვინაიდან კავკასია, რომელსაც ექსტრემისტული იდეოლოგიების გავრცელების დიდი პოტენციალი გააჩნია, უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში.

თურქეთის პოლიტიკური ინტერესები

თურქეთი, როგორც ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრე თვლის, რომ პირველ რიგში მისი ინტერესები კავკასიაში განისაზღვრება **ისტორიული და კულტურული კავშირებით**, ძირითადად აზერბაიჯანის კონტექსტში, რაც მას საშუალებას აძლევს და ავალდებულებს მეტ ჩართულობას რეგიონში, განსაკუთრებით კი პრაქტიკულ და პოლიტიკურ დახმარებას აზერბაიჯანის მიმართ.

მნიშვნელოვანია ასევე თურქეთის **სავაჭრო-ეკონომიკური და ენერგეტიკული** თანამშრომლობა რეგიონთან, რაც ცალსახად ეკონომიკური პარტნიორობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას შეუწყობს ხელს.⁹

კავკასიური სტაბილურობა თურქეთის მთავარ პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან უსაფრთხოების კონტექსტში მას საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს როგორც ქვეყნის შიგნის, ასევე მის სამხრეთ საზღვრებზე.¹⁰

მეთოლოგიურად, ცალკეულ შემხვევებზე დაკვირვების ან კონტენტ ანალიზის მხრივ, აშშ-სა და თურქეთის ინტერესები ამიერკავკასიაში წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ერთმანეთთან, ვინაიდან ზემოთ დასახელებული ორივე ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ინტერესები ნაწილობრივ თანხვედრაშია ერთმანეთთან, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ კავკასიის სტაბილურობის გამოწვევები ერთიანი პოლიტიკური ძალისხმევით იქნას დაძლეული. ამ აზრს ამყარებს ის ფაქტური გარემოებები, რომ თურქეთი შვიდი ათეული წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, სანდო და მყარი მოკავშირე იყო, რაც განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით. არავინ დაგობს იმ ფაქტზე, რომ ცივი ომის პერიოდში თურქეთი წარმოადგენდა ნატო-ს სამხრეთის საყრდენს. გარდა ამისა, 1990-იან წლებში ამ ქვეყანამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ირანისა და ერაყის შეკავებაში. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ბალკანეთის სტაბილიზაციის საკითხში, ასევე ენერგეტიკული დერეფნის და ავღანეთის ინსტიტუციური მშენებლობის მცდელობის მხარდაჭერაში. გარდა ამისა, თურქეთი ყოველთვის წარმოადგენდა ხიდს დასავლეთსა და ახლო აღმოსავლეთის არამუსლიმ სახელმწიფოებს შორის და ეკავა თავისი ადგილი იქ არსებული ყოველდღიური „ქაოსის“ შეკავების საკითხში.

7 Chausovsky, E. (2021). Integrating U.S. policy in the Caucasus.

8 Rumer, E. Sokolsky, R., Stronski, P. (2017). U.S. Policy Toward the SouthCaucasus: Take Three. Pp 2-7.

9 Aydin, M. (2002). Turkish Policy Toward the Caucasus. Kadir Has University. Pp 3-14

10 Asadov, M (2021) . Turkish-Georgian Cooperation in the Struggle for Security in the South Caucasus (The Caucasus Stability and Cooperation Platform). (Pp 17-21).

როგორც ცალკეული ავტორების კვლევები ცხადყოფს, თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში ძირეული ცვლილებები იწყება 2003 წლიდან, როდესაც თურქეთის რესპუბლიკის სათავეში მოდის სამარ-თლიანობისა და განვითარების პარტია, ხოლო მათი ურთიერთობები რადიკალურ ცვლილებებს განიცდის 2012 წლიდან. თურქეთი იწყებს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას, რაც ხშირად არ შედის აშშ-ს ინტერესებში. ამ მოსაზრებას ავითარებს ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი უსაფრთხოების საკითხებზე, აშშ-ს ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის მკვლევარი ქამალ ბეიოღლუ თავის მონოგრაფიაში, რომელიც გამოქვეყნდა აშშ-ს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტში (აშშ-ს ომის კოლეჯი).¹¹

ახალი ძალთა ბალანსი - სტაბილურობის მთავარი გამოწვევა

თურქეთი შვიდი ათეული წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, სანდო და მყარი მოკავშირე იყო, რაც განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით. პროფესორი **გლენ სნაიდერი** აღნიშნავს, რომ „**მოკავშირეობა**“ თავის მხრივ, არის მოკავშირე ქვეყნების საერთო ინტერესები, სურვილი და მოლოდინები, ერთმანეთს დაუჭირონ მხარი სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისების დროს.¹²

სტეფან უოლტი თავის სახელმძღვანელოში სვამს კითხვას „რატომ ძლებენ ან იშლებიან ალიანსები“ (Why Do Alliances End?) და იქვე განმარტავს, რომ როგორც კი იკლებს ან საერთოდ ქრება საფრთხის შეგრძნება, რომლის დასაბალანსებლად შეიქმნა ესა თუ ის ალიანსი, მისი რომელიმე წევრი (წევრები) იწყებს დეზერტირობაზე ფიქრს, თუ როგორ დააღწიოს თავი კონკრეტულ სამოკავშირეო გარემოს. უოლტი გვთავაზობს მოსაზრებებს, თუ რა განაპირობებს კონკრეტული მოკავშირეობის, თუ ალიანსების ჩამოშლას: ა) დასუსტდა ის სახელმწიფო, ვის დასაბალანსებლად შეიქმნა კავშირი, მოიკლო საფრთხემ და ქვეყნებს ინდივიდუალურად შეუძლიათ მისგან მომავალი საფრთხის არიდება; ბ) ალიანსის წევრი რომელიმე სახელმწიფო გაძლიერდა და უკვე აღარ სჭირდება ფორმალური ალიანსი სხვა სახელმწიფოს დასაბალანსებლად; გ) როდესაც ალიანსის წევრი ქვეყნების შიგნით იწყება იდეოლოგიური რყევები და საშინაო ვითარება გავლენას ახდენს საერთო ინტერესებსა და მიზნებზე, ამ შემთხვევაშიც აზრს კარგავს ალიანსის შენარჩუნება.¹³

მკვლევარების ზემოაღნიშნული თეორიული მიგნებების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ყოველთვის არსებობს საშიშროება შეიქმნას **ახალი ალიანსი** თურქეთ-რუსეთის სახით, რომელიც საფრთხეს შეუქმნის არამარტო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის არსებული ფორმით შენარჩუნებას, არამედ მთლიანად შეცვლის მსოფლიო უსაფრთხოების კონიუქტურას. ამ მოცემულობით **ახალი ძალთა ბალანსის სისტემა**, რუსეთის და ირანის ფაქტორების გააქტიურებით გამოიწვევს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის გავლენების შესუსტებას ამიერკავკასიაში, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში რეგიონიდან განდევნას, რაც ნამდვილად არ შედის ამერიკის საგარეო პოლიტიკის ინტერესებში.

დასკვნა

როგორც კვლევამ აჩვენა კავკასია, რომელიც ეთნიკურად და რელიგიურად წარმოადგენს მრავალფეროვან რეგიონს, მუდმივად განიცდის უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ საფრთხეებს, რასაც ძირითადად გარე ძალები უწყობენ ხელს. არაჯანსაღი პოლიტიკური ვითარება განსაზღვრავს ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს, აძლიერებს ტერორიზმისა და ექსტრემიზმის საფრთხეებს, ყოველივე ამას ემატება კლიმატის ცვლილებები, კიბერსაფრთხეები, იარაღის უკანონოდ გავრცელების რისკები, ახლო აღმოსავლეთში ახალი სიმძაფრით გაჩაღებული საბრძოლო ოპერაციები ქმნიან უდიდეს საფრთხეებს ფართომასშტაბიანი მიგრაციისათვის.

ამიერკავკასიის ქვეყნებისადმი, ცივი ომის შემდგომ აშშ-სა და თურქეთის მიერ განხორციელებულმა დახმარებების მრავალმხრივმა სამხედრო-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პაკეტმა მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობასა და მშვიდობიანი თანაცხოვრების დასაწყისს.

მთავარი და ძირითადი ფაქტორი სხვა დანარჩენ ფაქტორებს შორის, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებას მოახდენს რეგიონული სტაბილურობის კონტექსტზე, არის **ახალი ძალთა ბალანსის შექმნის მცდელობა**, ღია კონკურენცია ძირითად გლობალურ ძალებს შორის რეგიონში გავლენების მოპოვებისთვის. გეოპოლიტიკურ მეტოქეებს შორის სტრატეგიული კონკურენცია, რომელიც, პირველ რიგში, გამომდინარეობს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევებიდან, აისახება რეგიონული სტაბილურობის დინამიკაზე. აშშ-თურქეთის სტრატეგიული ურთიერთობების საბოლოო ჩამოშლა გამოიწვევს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს რეგიონში, რუსეთის და ირანის როლის გაძლიერებას, ეთნოკონფლიქტების ესკალაციას, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების შეჩერებას, ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემებს.

11 Beyoghlov, K.A. Turkey and the United States on the Brink: Implications for NATO and the US-Turkish Strategic and Military Partnership. 2020.

12 Snyder G.H. "Alliance Theory: A Neorealist First Cut". Journal of International Affairs. 1990, pp 105

13 Walt S.M. , Why Alliances Endure or Collapse." Survival – Global Politics and Strategy 39 1997, pp 158-160

გამოყენებული ლიტერატურა

- Şuhnaz Yılmaz, 2015. Turkish-American Relations, 1800–1952: Between the Stars, Stripes and the Crescent. First published by Routledge 711 Third Avenue, New York.
- James G. Harbord, 1920. Conditions in the near East: Report of the American Military Mission To Armenia.
- Dr. Hulusi AKAR. 2019. Harbord Askeri Heyeti Raporu. Gerçekleri Araştırmakla Görevlendirilen Amerikan Askeri Heyeti Çalışmaları ve Türk-Amerikan ilişkilerine Etkisi. Kuban Matbaacılık Yayıncılık, ANKARA.
- İsa Afcan, 2011. Turkish-American Relations in the Post-Cold War Era, 1990-2005. Florida International University
- Kamal A. Beyoghlou. Turkey and the United States on the Brink: Implications for NATO and the US-Turkish Strategic and Military Partnership
- Snyder Glenn H. “Alliance Theory: A Neorealist First Cut”. Journal of International Affairs 44, no 1 (1990). www.jstor.org/stable/24357226 (ბოლო წვდომის თარიღი 11.11.2023).
- Roache, M. What Biden’s Recognition of Armenian Genocide Means to Armenian-Americans. 27.04.2021. <https://time.com/5959135/biden-armenia-genocide/> (ბოლო წვდომის თარიღი 20.10.2023)
- Erdoğan (21.09.2021). <https://www.dailysabah.com/politics/diplomacy>. (ბოლო წვდომის თარიღი 24.10.2023)
- Rumer, E., Sokolsky, R., Stronski, P. (2017). U.S. Policy Toward the SouthCaucasus: Take Three- Carnegie Endowment for International Peace. <https://carnegieendowment.org/2017/05/31> (ბოლო წვდომის თარიღი 25.10.2023)
- Chausovsky, E. (2021). Integrating U.S. policy in the Caucasus. <https://newlinesinstitute.org/strategic-competition/u-s-foreign-policy> (ბოლო წვდომის თარიღი 25.10.2023)
- Asadov, M (2021) . Turkish-Georgian Cooperation in the Struggle for Security in the South Caucasus (The Caucasus Stability and Cooperation Platform). (Pp 17-21). Istanbul. Avrasya İncelemeleri Dergisi - Journal of Eurasian Inquiries. <https://cdn.istanbul.edu.tr> (ბოლო წვდომის თარიღი 25.10.2023)
- Aydin, M. (2002). Turkish Policy Toward the Caucasus. Kadir Has University. Pp 3-14 <https://www.jstor.org/stable> (ბოლო წვდომის თარიღი 25.10.2023)
- Walt, Stephen M. “Why Alliances Endure or Collapse.” Survival – Global Politics and Strategy 39, no 1 (1997).
- Snyder, Glen H. Alliance Theory: A neorealist First Cut. Journal of International Affairs 44, no 1 (1990). ბოლო წვდომა 14.09.2023. <https://www.jstor.org/stable/24357226>.



**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge

ტელეფონი: +995 32 2 30 52 85

ტელეფონი: +995 5 77 19 92 05

ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge

თირაჟი: 40

ISBN-